

ლიტერატურული გაზეთი

№14 (126) 18 - 31 ივლისი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ტარიელ ჭანტურია

მანანა ჩიტიშვილი

ქართველების დედამიწა

დიდი ევროპელი ქართველის,
სულხან-საბა ორბელიანის გახსენება

დროა, მთელმა მსოფლიომ –
დედამიწამ უწყოდეს,
რომ დედა ჩვენს პლანეტას
ქართველებმა უწოდეს!

ნატოს, ევროკავშირის
და გაეროს იდეაც
ეკუთვნოდეს ქართველებს –
ალბათობა დიდია!

სწორედ ეს დედა ჩემი –
სწორედ ეს დედამიწა –
მე – ქართველს – საქართველოს –
ყველგან, მუდამ დამიცავს!

ის ნიჭი – პატარა, პანია ნიჭი –
ის ნიჭი, მე ვფიქრობ, ნამდვილად ჰქონდა!
რად გინდა! — ბრიყვს რაში არგია ნიჭი! —
სიცოცხლე შესწირა ცხოვრების მონტაჟს!
ვერ მიხვდა, ვერ ჩახვდა ჯვარცმების სიბრძნეს –
სატანჯველს, ნამდვილი დიდების მომტანს!
კედლები ღება და შპალერი ანება –
სიცოცხლე შესწირა ცხოვრების მონტაჟს!

როგორც ვთქვი, ისეა – არ ეყო ჭკუა და
სიცოცხლე შესწირა ცხოვრების მონტაჟს...

ვერაფრით ვერ ჩახვდა უმაღლეს სიბრძნეს
ჭეშმარიტ პოეტთა, მოძღვართა, მოგვთა –
აგროვა ოქრო და ვერცხლი და თვლები და
რიგითი რიგითი სიკვდილით მოკვდა...
იცნობდა ბრწყინვალედ მთელი დედამიწის
ახალ თუ ყავლგასულ ყოველგვარ მოდას –
იცვალა შარვლები, ჩექმები, ბლუზები –
გადაყვა საწყალი ცხოვრების მონტაჟს...

ვერ ჩახვდა დიდებას უმაღლეს გონთა –
ბოლომდე გადაყვა ცხოვრების მონტაჟს...

გადაყვა მწვადსა და
ლეღსა და კონოს და
ხიზილალასა და
დაფნას და ქონდარს...
რა ექნა საცოდავს, რა მისი ბრალია! —
ეს ნიჭი ჰქონდა და ჭკუა არ ჰქონდა...

IV-V

მთვარის ამოსვლამდე

ტანი აიავაზო,
მამრი იგრძნო უნდა...
მე სიყვარულს ვთავაზობ,
დარდს მიბრუნებ ხურდად.

ვთქვათ ხუმრობაგაშვებით —
ვინ გაზომებს გამაშს,
დღეს ვის ეთამაშები
სიყვარულის თამაშს?

როცა ცისკენ მიმყავხარ,
რას ბუბუნებს მუხა...
ისე ძლიერ მიყვარხარ,
სიყვარულით მძულხარ.

ნისლი ქარს ვაპენტინოთ,
თორემ წვიმა დამდის,
არაფერი გეტკინოს
მთვარის ამოსვლამდე.

ნაგვიანები ავტომობილში

ქარი ალვის ჩრდილებს არხევს,
ჩუმად უსმენ წყაროს ლიკლიკს,
შენ იმდენი ავი ნახე,
არაფერი აღარ გიკვირს.

ზეცის თალი ჩაგირაზეს,
მწყურვალს არ გაღირსეს წყალი,
ვერ აენთო შენს კერაზე
სიხარულის ნაპერწკალი.

უნდობარად უმზერ წარსულს,
უამმა ბევრჯერ გაგაბრიყვა,
აღარავინ აღარა გძულს,
აღარც აღარავინ გიყვარს.

დროის საჩეჩელმა გჩეჩა,
ქარმა მოგისინჯა მაჯა,
აღარც სურვილები შეგჩაჩა,
არც უსურვილობა გტანჯავს.

აღარ ძალგძის, ღვარძლი თოხნო,
მშვიდად მოიჩრდილო ჩერო,
ველარავის ვეღარ მოყვრობ,
აღარც აღარავის მტერობ.

ქარი ისევ ალვებს არხევს,
ისევ უსმენ წყაროს ლიკლიკს,
შენ იმდენი რამე ნახე,
არაფერი აღარ გიკვირს.

VIII-IX

ყნოსვითი მახსიარება

ჩემს ყმანვილკაცობაში (მანამდეც და მერეც) თითქმის მთელ ზაფხულს მთაში ვატარებდი – საძოვრებზე ნახირს ვმწყემსავდი, ძროხებს ვწვებდი, ყველი ამომყავდა... მთელი თვეები ვცხოვრობდი ხის დაბალ, გაჭვარტულ, უფანჯრო ხის ქოხში. ღამით, ღამის ან ქონის სანთლის შუქზე გვიწვედა ყველაფრის კეთება და ამ უცნაურ გარემოში ყველა ნივთს თავისებური სუნი ჰქონდა (ტანსაცმელზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია). ამას, ცხადია, იქ მყოფნი ვერ გვგრძნობდით, მაგრამ კარგად მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, როცა ჩვენს ჭიშკართან მთიდან მომავალი კაცები ჩაივლიდნენ, ეზოში გვცემდა მათი სუნი. კვირაში ერთხელ ვახერხებდით შინ ჩასვლას, შაბათობით რიგინად დაბანას, მაგრამ ეს უცნაური სუნი თმებზე მაინც რჩებოდა. ერთხელაც სასწრაფოდ მომინა მთიდან ჩამოსვლა, ნაჩქარევად ჩავყარე ჩემი ნივთები გოდრებში (მათ შორის ნიგნებიც), ცხენს ავკიდე და წამოვიყვანი. საქმე ის იყო, რომ შენგენის ვიზა ჩაერთვით და სასწრაფოდ თბილისში უნდა წავსულიყავი, იქიდან კი – ევროპაში.

ასე ნაუცბათევად გავემგზავრე ბარსელონაში. ბუნებრივია, იქ ჩასული დიდხანს არეული და დაბნეული ვიყავი – ისეთ რთულ გარემოში აღმოვჩნდი, რომ წერაკითხვის ყველანაირი სურვილი გამიქრა. საერთოდ გადამეკეტა ფიქრისა და აზროვნების უნარი, სულ სხვა სადარდელი გამიჩნდა.

კარგა ხნის შემდეგ, როცა ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა. იმ აურზაურში ყოველთვის ვგრძნობდი რაღაცის ნაკლებობას, თუმცა იმდენად ვიყავი გამოფიტული, ვერც კი ვხვდებოდი, რა იყო ეს. როცა ამას მივხვდი, საშინლად დამწყდა გული – თურმე იმ სიჩქარეში ნიგნები დამვიწყებოდა.

ერთ დღეს, შემთხვევით, ჩემოდნის უბეში აღმოვაჩინე ანა კალანდაძის ნიგნი, ცელოფანში საგულდაგულოდ გახვეული. ამოვიღე და სახტად დავრჩი: უცებ ვერც გადავშალე, ნეტარებისგან თავბრუსხვევაც კი ვიგრძენი – ამ ძველ, გაჭვარტულ ნიგნს სწორედ ის სუნი ჰქონდა შერჩენილი, მთის სუნი, მთის ქოხის სუნი.

კოხინჯრობა

კატალონიაში, ბარსელონადან ოცდაათხუთმეტ კილომეტრში, ერთი პატარა ზღვისპირა ქალაქია – სიდჟესი. ერთხანს იქ მომინა მუშაობა. ბარსელონადან დავდიოდი, ძნელი იყო. ჯერ მეტროთი ვმგზავრობდი, შემდეგ მეორე ზონის მატარებელში მიხდებოდა გადაჯდომა, ბოლოს ავტობუსი იყო საჭირო სამუშაო ადგილამდე მისასვლელად. მიუხედავად მცირე მანძილისა, დიდი დრო მჭირდებოდა. ყოველდღე ხუთ საათზე ვდგებოდი და სამუშაოზე ათი-თხუთმეტი წუთი მაინც მაგვიანდებოდა. ყოველთვის ამის პატიება შეუძლებელი იყო, ისედაც, ეს იქაური ცხოვრების რიტმიდან ამოვარდნას ჰგავდა. სხვა გზა არ იყო, რადგან ემპრესამ (ვისთანაც ჩვენ ვმუშაობდით და ვინც ვალდებული იყო, ამაზე ეზრუნა) არ ინაშუსა, მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ, საკუთარი ხარჯებით, დროებით, სიდჟესის რომელიმე იაფფასიან ჰოსტელში გვეცხოვრა.

პირობები, რაც იქ დავგვხვდა, უკვე დიდად არ მოქმედებდა ჩვენზე, ისედაც ბევრ ტანჯვა-წამებაგამოვლით ემიგრანტებზე, თუმცა იმ მემენტისთვის სხვა რამე უფრო შეგვიქმნა დისკომფორტი: ზაფხულის დასაწყისისთვის სიდჟესი ტრანსების მსოფლიო ფესტივალს მასპინძლობდა. მათი საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა, მაგრამ მართლაც გამოვინებელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. წარმოუდგენელ გარემოში, რომელიც ფანტასტიკურ თუ მისტიკურ სამყაროში ამოყავი თავი. ზოგჯერ მეგონა, დროის აღქმას ვკარგავდი, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა – სულერთი იყო, ნიღბებით იქნებოდნენ თუ უნიღბოდ – თითქოს ჩემ გარშემო „ბოსლას“ მსგავსი ზოომორფული არსებები დადიოდნენ, სიდჟესი კი რომელიმე მითოლოგიურ ქალაქად წარმომედგინა.

ყველგან ისინი იყვნენ, ღამის აანოკის მთელი ქალაქი, ხმაური ღამითაც არ გვაძინებდა. იმ ძველისძველი შენობის კედლებში ჩვეულებრივად აღწევდა მთვრალი ადამიანების ყიყინა. შუაღამის

სოსო მეშველიანი

ბუნოს ტარდეს!

ას ძილგატეხილი და გაოფლილი წამოვხტებოდი ხოლმე, შემდეგ გახარებული იმით, რომ ის ყველაფერი სიზმარი იყო, ვდგებოდი, ნავიანი, შარდის გუბებზე იწევი. გვერდის ავლით ვტოვებდი შიშის-მომგვრელად გასუსულ ქალაქს და ყრუდ მოშრილად ზღვასთან, ამოჩემებულ ადგილას, პლაჟთან კი არა, ერთი ყრუ, ჭაობის-ბალახიან ადგილას, სადაც რომელიმე პატარა მდინარე უერთდებოდა ზღვას, ჩამოვჯდებოდი და ახლად გაღვიძებული, ყნოსვაგაღიზიანებული, ვისუნთქავდი ველური ბალახის სურნელს.

ერთ უქმე დღეს, კაფე „ატლანტიდაში“ შევედი. დამენათევი, მთვრალი ტრანსები ვერც კი მაჩვენებდნენ, ამიტომ უფრო თავისუფლად შემეძლო მათზე დაკვირვება. ისეთი აურზაური აეტეხათ, მათ შემყურეს სხვა გზა არ დამრჩა, მეც ზედიზედ გადავკარი ოთხი ჭიქა „ხოტაბერი“ და ზედსამი კახა ლუდიც მივაყოლე. სასმელი მალე მომიკვიდა, სიგარეტს მოვეუკიდე, თუმცა ჰაშიშის კვამლით გაჟღერებული ჰაერისაუნთქი სიგარეტის ნაფაზებს გემოს ვერ ვატანდი.

შარვლის ჯიბეში მოხილური აზუზუნდა – წერილი იყო საქართველოდან: ჩემი და მთხოვდა, დედაჩემისთვის დამერეკა. შემინებულმა იმწამსვე გადავრეკე. დედამ მითხრა, ცუდი სიზმრები ვნახე შენზე, თან კარგა ხანია არ დაგირეკავს, როგორ ხარო. მეც დავამსვიდი, შემდეგ იქაური ამბები გამოვკითხე, მითხრა: შვილო, ხვალ კოხინჯრობაა, ხომ იცო უქმე დღეა და ეცადე, არ იმუშაო. შეგპირდი, გულში კი გამეცინა: კოხინჯრობა კი არა, უკვე მეოთხე წელი იყო, რაც ჩემთვის არც შობა არსებობდა, არც ხარება და არც ამაღლება. აღდგომა უბრალოდ კვირა დღე იყო და ამის გამო ვახერხებდით დასვენებას...

კოხინჯრობა წარმართული დღესასწაულია სევანეთში, რომელსაც უფრო მამაკაცები აღნიშნავენ. ეს ერთგვარი ვედრებაა უზენაესის მიმართ, დაიცვას სეტყვისგან ნათესები. რიტუალი აუცილებელია სოფლის მოშორებით, ტყეში ან მაღლობზე ჩატარდეს, რომ, წარმოდგენის თანახმად, იმის ქვემოთ სეტყვამ არ ჩამოაღწიოს.

დედაჩემს ვესაუბრებოდი და თან სწორედ ამ ძველთაძველ დღესასწაულზე ვფიქრობდი, რომ უცებ საშინელმა ხმაურმა და აურზაურმა დამიხშო ყურთასმენა. შემოვბრუნდი. ორი შიშველი ტრანსი მაგიდაზე ასულიყო და გიჟურად ცეკვავდა. დანარჩენებს ერთი ამბავი აეტეხათ, კიოდნენ, ხარხარებდნენ, ტაშს უკრავდნენ. ადგილზე შევექანდი, უკვე მართლაც დროის შეგრძნებადაკარგული მოხილურს დავაშტერდი, საიდანაც ჯერაც ისმოდა დედის ყრუ, სუსტი ხმა. გაშტერებული ვიყავი და მეგონა, დედაჩემს კი არა, ჩემს ძალიან შორეულ ნინაპარს ვეხმებოდით საუკუნეების მიღმიდან.

იმ არ ჩანს ტკივილი...

რუბენ და ავრორა სეფუროლებს აქაც რა უცნაურია მზის ჩასვლა: თითქოს ქანდაკებებიც მოძრაობენ ბილბაოს მთების ჩრდილებთან. თქვენ კი სხედხართ ახლა მდიდრულ კაფეში, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს გვერდით, ზღვის დონიდან ოთხი-ხუთი მეტრის სიმაღლეზე და სმენადამაძებლ მეგობრებს უყვებით უშუალოდ, რომელიც ისე შორსაა ამ ყველაფრისგან, ცხადში ნანახი სიზმრებში გვერვით. თან როლაც შედარების მოყვანას ცდილობთ, რომ უფრო გასაგები იყოს დაბნეული მსმენელისთვის, მაგრამ არაფერი გამოგდით.

უკაცრავად! მეც ვერაფრით დავგებმარებით.

მაინც გვეცადა? მაშინ აიღეთ ცუდად გაპარსული ბასკი მწყემსები და შეადარეთ სვან გლეხებს, თავიანთი კუშტი გამოხედვით ან მოუხეშავი სიტყვა-პასუხით. ყოველგვარი ზედმეტი „უკაცრავად-გეთაყვათი“. ისინი ვერ ჩამოიტყუა ცივილიზაციამ, ვერც ნიკაპთან საგულდაგულოდ დატოვებული წვერით, ვერც ტურებში გაყრილი სამკაულით; პირიქით, უფრო მეტად დააფრთხო. მათ ისე ეფერებიან

ცოლები, როგორც მომინაურებულ ლომებს (რალაც გაუგებარი განცდებით) და არა როგორც კარგად დავარცხნილ, დაკოდილ ძაღლებს, რომლის მსგავსიც ბლომად არიან ვეროპულ ქალაქებში.

იქნებ ჩემს სოფელზეც გეთქვათ რამე, დედაჩემზე.... არა!

მამაჩემის ქოხმაში გატარებულ ღამეზე, სადაც ვეება ნაძვებს კენწეროებზე ვარსკვლავები ესხათ. ეს უკეთ ჩანს თქვენს მიერ გადაღებულ იმ ფოტოზე, მთელი ღამე რომ ხეზე გასუსულ ფოცხვერს დარაჯობდით თქვენივე ფოტოაპარატით მთვარის შუქით განახნახებულ ტყეში.

ეჰ!... ერთ დროს არჩვის მწვადებზე ნაქიფარნი სხედხართ ახლა და მოლუსკების წვნიანს ელოდებით (მაინც რა უცნაურია ცხოვრება).

იმ ფოტოებზე მთელი ჩემი სამშობლო – აჭარიდან ყაზბეგამდე – მთელი თავისი საოცრებებით... მაგრამ იქ არ ჩანს ის ტკივილი – ტკივილი, რომლის დასურათებაც შეუძლებელია.

MONT-BLANC

ჟირონაში ცხოვრების დროს ერთი ქუთაისელი ბიჭი დამიმეგობრდა. მომპარავი იყო, პროფესიონალი. ვინც მე მიცნობდა, ყველას უკვირდა მასთან ჩემი ასეთი ახლო ურთიერთობა. ისე კი ნაკითხი ბიჭი ჩანდა, განათლებული. თუ არ ვცდები, იურიდიული ჰქონდა დამთავრებული. ძალიან უყვარდა ჩემთან საუბარი. გამომივლიდა ბოლო მოდელის „აუდიო“ და თუ



დრო მქონდა, ხან სად მეპატიჟებოდა, ხან – სად. ერთხელ მალაგაშიც კი წამიყვანა (რომელიც ჟირონიდან ათასი კილომეტრითაა დაშორებული) პიკასოს მუზეუმის სანახავად. იგი ერთადერთი „შავი გაგების“ ბიჭი იყო, რომელსაც გავუძიებდი, ლექსებს რომ ვწერდი, და ისიც თავს არ ზოგავდა, ესიამოვნებინა ჩემთვის. ხან რას მჩუქნიდა, ხან რას. ვიცოდი, მოპარული იყო, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია საჩუქარზე უარის თქმა. ერთხელ ტყავის შავ ბუდეში მოთავსებული ავტოკალამი გამომიწოდა:

– გქონდეს ეს ჩემგან, Mont-blanc-ის ავტოკალამია, მაგარი ვეშა! – მითხრა და მაგიდაზე დაწყო ბილი ხელგეშა ჩამიძო. უხერხულობისგან დაბნეულად ვაუღიმი, სიტყვაც არ მითქვამს, მხარზე ხელით შევეხე მაღლობის ნიშნად. მაშინ გაგონილიც არ მქონდა, რას ნიშნავდა Mont-blanc-ის ავტოკალამი, ვერ ვერკვეოდი ასეთ რამეებში, ვერც ახლა ვერკვევი.

ცოტა ხანში დამავიწყდა კიდევ ეს ნივთი. მოგვიანებით, როცა ჟირონაში მუშაობას მოვრჩით, ჩემი ბრიგადა დაიშალა, ჩემი მეგობარიც სადღაც გაქრა და მხოლოდ წარკომანი ემიგრანტების გარემოცვაში აღმოვჩნდი. ეს ქალაქი ნამალდამოკიდებულებით განთქმული იყო მთელ კატალონიაში. ზონა-ფრანკას ბოშების კვარტალს ჰგავდა, ბარიგებისა და

წარკომანების ბუდეს, ბარსელონაში რომ სიმსიენსავით ამოჭრეს. მის ყველა შესასვლელში საგანგებო, გამაფრთხილებელი აბრები გამოაკრეს, რომლებიც ყველა გამვლელს (განსაკუთრებით ტურისტს) სასტიკად უკრძალავდა შიგნით შესვლას, პოლიცია კი გარე პერიმეტრზე პატრულირებდა. ეტყობა ამ სიმსიენს უკვე ბევრგან ჰქონდა ფესვები გადგმული, მათ შორის ჟირონაში, სადაც ვენებჩამქრალი, სახედაკარგული ქართველი ბიჭები სათესლე ჯირკვლებში იჩხერდნენ წამალს. ზოგიერთები უფრო შეძლებული წარკომანების წამლის ნახარშიდან წარჩენებს ამონმენდნენ ხოლმე წარმის პატარა სუფთა ნაჭრებით, ინახავდნენ, გასაჭირის დროს ერთად მოხარშავდნენ და ამ ნახარშს უშვებდნენ უკვე ისედაც მონამულ სისხლში.

არაამქვეყნიურ არსებებს ჰგავდნენ, ბოსხის კომპარებიდან გადმოსულ მოჩვენებებს – საქციელით, აღნაგობით, გამომეტყველებით, ხორცის სუნიითაც კი. ერთი მათგანი შევიფარე, რომელიმე სკვერში ათევედა ღამეს ძელსკამზე. შემეცოდა. მეგონა, მშველელი გამოუჩნდებოდა, მაგრამ ამაოდ. ღამე იატაკზე წვებოდა, გულამა, ისე, რომ თავი და ფეხები ჰაერში ჰქონდა.

თავიდან, ერთი-ორჯერ გავადვიძე. მთხოვა, არ შემენუხებინა: აუ, იცი, რა საკაფოდ ვარ ასეო?! – მითხრა. მეც შევეშვი. მეორე დღეს უკვე საშინელი „ლომკა“ ჰქონდა, საცოდავად იკრუნჩხებოდა.

ოთხი დღე შეეძელი ამეტანა, შემდეგ გავუშვი, უფრო სწორად, იძულებული გამხდა, გამეგდო. ერთ დღეს სახლში დაბრუნებულს ვიღაც თავის მსგავსი დამახვედრა – „პადდელნიკი“, რომელიც ტყუპისცალივით ჰგავდა და ძველბიჭური შესტით მომესალმა. მეც მივესალმე,

პროდუქტებით სავსე პარკები მაგიდაზე დავდე, ორი პიცა ამოვიღე და მიკროტალურ ღუმელში შევედე. ჩემი ახალი ნაცნობი აფუსფუსდა:

– აუ, ბრატ! კოკა-კოლას დავლევ, რა... თუ არ გავიტყუებ, – მითხრა და წამოდგა. მივხვდი, უკვე გაჩხერილში იყო, ყელგამშრალი, ჩამწყდარი ხმით ლაპარაკობდა, იმის შიშით პირდაპირ ბოთლიდან არ დაეღია, ჭიქას დავწვდი, ბოთლს თავსახური მოვხსენი და სავსე ჭიქა გავუწოდე.

– აუ, სპასიბა, ძმა ხარ! აბანოში შევედი, ხელ-პირი დავიბანე, ერთიანად გაოფლილს მომიხდა, წყალი გადამეგლო. მაისურის გახდა მოვასწარი, რომ მიკროტალური ღუმელის ზარის ხმა გაისმა. ნელ-ნელა შიშველი გამოვედი აბანოდან, გამოვითე და... თავზარდაცემულს ისეთი ხმა ამომხდა, მე თვითონ შემეშინდა – ჩემს ნაცნობს მუხლებამდე ჩახება შარვალი, საცვალეც და სავარძელს მიყუდებულს, ორად მოკეცილს, შპრიცი გაეყარა ყვერებში. ვიგრძენი, როგორ მერეოდა გული, მთელი შიგნეულობა ყელში მომანვა, ძლივს შევასწარი ტუალეტში. მთელი დღის უჭმელმა კაცმა სულ ნაღველი ვარწყიე. გაცოფებული, წყალიც რომ არ გამომივლია პირში, გიჟივით გამოვვარდი:



ბაშნძირველად წვანან. ჯერ ისევ დილაა. სისხამი დილა. ბიჭი ცალი თვალის კუთხით მხოლოდ ბალიშზე დაყრილ ცეცხლისფერ თმას ხედავს და ამერიკული ბომბ-დამშენის, Enola Gay-ს შავ-თეთრ ფოტოს კედელზე.

— B29... რატომ გაქვს ეს ფოტო? გოგო თავს სწევს და ფოტოს უყურებს. — სეხნიასა და იმიტომ. — კიდევ კარგი, არ გაგხარ მაინც. — რა იცი? — ენას უყოფს, — წეროებიც მყავს. ნახე? — რა წეროები? — ზემოთ.

სანდრო ზემოთ იხედება. ჭერში ქალაღდის გაყვითლებული წეროები ჰკიდია.

— ეს რაღაა?

— ბავშვობაში ვაკეთებდი და იქიდან შემომრჩა. მაშინ წავიკითხე რადიაციით დაავადებულეზზე. სჯეროდათ, თუ ათას ასეთ წეროს გააკეთებდნენ, გადარჩებოდნენ. როგორც იმ ამერიკელ მფრინავს სწამდა, რომ დედამის ენოლას დაბადების დღის საჩუქარი გაუკეთა, როდესაც ატომური ბომბი ჩამოაგდო. მოკლედ, იმათთვის ვაკეთებ. არ მიფიქრია, რომ საიქიოდან მადლიერი თვალეზით გადმომხედავდნენ. მათსავით ცრურწმენებით არ ვიტანჯები. უბრალოდ, დაუმთავრებელი საქმეები არ მიყვარს.

ბიჭს თავისი დაუმთავრებელი საქმეები ახსენდება და ცივად აურყოლებს. ვინ იცის, იქნებ ვერც ვერასდროს დაამთავროს.

— რატომ გიყვარს ასეთი ამბები? გარეთ მაინც გაიხედე რა დღეა! ზაფხული. აგვისტო.

— მაშინაც აგვისტო იყო. და რა ამბები ესაა?! ჩვეულებრივი ამბებია... თან ამაზე მეტი პოეზია რა გინდა?!

— მართალი ხარ. ჩვეულებრივი ამბებია... პოეზია ხომ არის და არის, მაგრამ სკულპტურა მაინც უფრო მაგარი გამოვიდა, — ამბობს ბიჭი და დგება...

ჯერ დილაა. მთვარეულს კი შუადღეს ხედავს. მაგრამ შუადღემდე რა ფული უნდა იშოვოს? უიმედო საქმეა მოკლედ. და გულიც ცუდს უგრძნობს, ძალიან ცუდს.

— რა სკულპტურა? ატომის სკო?

— ჰო. ის, რაც ცვლის სამყაროს. შენ ხომ მოგწონს, როცა სამყარო იცვლება ინოლა სანოლიდან მზემოკიდებული ფეხებს ჰკიდებს. ცალი მხარე მოშიშვლებია. მხრებს და მკერდს მკერდს გრძელი ნითელი თმა უფარავს.

— რა ლამაზია, — ფიქრობს ბიჭი და თვალს არიდებს.

— რა აუტანელია, — ფიქრობს გოგო, იატაკზე დაგდებულ კაბას იცვამს და შიშველი ფეხებით სამზარეულოში მიტყაპუნებს.

— ყავას დალევ? — ისმის იქიდან.

— არა, იყოს. მეჩქარება, — სანდრო ისევ თავსზემოდ დაკიდებულ წეროებს უყურებს.

— დღეს რაღაც სხვანაირი ხარ. ხდება რამე?

— არა... ცოტა არეული სიზმარი ვნახე და სულ ეგაა, — ცრუობს.

— წყალს მოუყევი. გინდა, ცუდი სიზმრის ლოცვა გასწავლო?

— რა? რა ლოცვა?

ინოლა ოთახში ცხელი ყავით სავსე ჭიქებით ხელში ბრუნდება:

— რა და... იესო ქრისტე, როგორც გალილეაში, კანას ქორნილოში წყალი ღვინოდ გადააქციე, ისე ჩემი სიზმარი კარგად

გარდამიქციე. სამჯერ უნდა თქვა.

ბიჭი უცნაურად უყურებს. ოთახიდან გადის. გოგო ხმაშალდა კისკისებს. სიცილის ხმაზე სადღაც სანაპიროზე თოლიები ფრინდებიან. ქალაქის მთვლემარე და ყვითელი ქუჩები გამვლელის ფეხის ხმაზე ფხიზლდება. უკვე ჩანს, რომ ცხელი დღე იქნება.

ინოლა ყავას სვამს და რადგან იჩვენება, რომ ოთახი ტრიალებს, ისევ სანოლზე წვება. „დედამინა ტრიალებს. ყველაფერი ტრიალებს,“ — ფიქრობს სევდიანად.

კვირა დღეა. ზაფხულის მშვიდი კვირა

თეონა დოლენჯაშვილი

ENOLA GAY

დღე. ყველაფერი ამ სიმშვიდეში რომ ჩაკირულა და ჩაგუბებულა, ისეთი... სანდრო მალე ბიჭებს შეხვდება და გულს მკრთალი იმედი უნათებს. იქნებ მათ მაინც მოახერხებს და ფული უშოვოს... ინოლა აბაზანაში წევს და სარკის დაორთქილ მინაზე ასოები გამოჰყავს. ასოები ფორმას სწრაფადვე კარგავს და იდებანება. „ასეა... ყველა აზრი, სიტყვა, ამბავი იქამდე ქრება, ვიდრე ვინმე მათ წაკითხვას მოახერხებს. ყველაფერი წყალად მიდის. ყველაფერი წყალდება. ღვინოც, პურიც, სიტყვაც წყალად იქცევა,“ — ფიქრობს და ისევ სანდრო ახსენდება, რომელმაც ზარატუსტრასავით განუცხადა, რომ მისი ლექსები დღეს არავის სჭირდება, რომ ზეცაში ღმერთი მოკვდა და ლიტერატურაში მოკვდა ავტორი. „საერთოდ რატომაა ჩემთან?“ — გული ეწურება ინოლას, — „ან მე რატომ არ ვეტიყვი, რომ მაინც არაფერი გამოდის და აღარ შეხვდეთ.“

ბიჭს ტელეფონზე ურეკავენ. „სად ვხვდებით? ათასსაფეხურიანთან... კარგი.“ მალაზის ვიტრინაში მანეკენს ვიღაც ნითელთმიან პარკს უსწორებს. მოკლედ, ეს გოგო ყველგან არის. ყველგანს დაყვება. აქაც... გოგო კი მხოლოდ სახლშია და იმ თავის ცეცხლისფერ თმას ივარცხნის. მაგიაზე აფთიაქში წინა დღით ნაყიდი ტესტი უდევს, მაგრამ ჯერ გახსნას ვერ ბედავს. სანაპიროდან გემის საყვირის ხმა ისმის და მის თავში ლექსის სტრიქონები იბადება: „მათ დატვირთეს გემბანები და წაიღეს გასაყიდად ნეტარების ბაზარზე თმები... მე დაგიტოვე გულისპირში ვინრო ბილიკი... შენ აწურწული: მათ აავსეს სამყარო ჩემით.“

სანდრო ათასსაფეხურიანი კიბის საფეხურზე ზის. მის წინ გრაფიკით მოხატული კედელია. მალე ბიჭებიც მოვლენ. იქამდე კი კედელს ათვალეიერებს. აეროზოლით შექმნილი სკაფანდრიანი ფიგურები, ერთდროულად ადამიანებსაც რომ ჰგვანან და უცხოპლანეტელებსაც, აგრესიულად და მტრულად უცქერენ... მას კი ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის, ბრონქსის ჯურღმულების, ჰიუ ნიუტონისა თუ ბასკიას ნაცვლად, რატომღაც, ძველი რომის ერთ-ერთი საროსკიპოს კედელზე შესრულებული ასზე მეტი ნახატი ახსენდება, რომელთაც მეძავები და მათი კლიენტები რაღაც აუხსნელი მხატვრული ფინით ხატავდნენ...

„მოვედი შენთან საათებით სავსე პეშვებით, შენ კი მითხარი — თაფლისფერი არა გაქვს თმები. ტანჯვის სასწორზე დავაფინე ჩემი ნაწნავი, მან გადაწონა სიმძიმე შენი,“ — ბუტბუტებს ინოლა. თან

ტესტს დასცქერის და გული უფრთხი-ალებს. არადა, ალბათ, სულ ტყუილად წერვილობს. ხომ იცის, რომ არაფერი იქნება...

— არაფერია? — ბიჭების მუხავე სახეებზე ხედავს სანდრო, რომ არაფერია. ბიჭები ხმას არ იღებენ. მხოლოდ პეტო აქნევს უარყოფის ნიშნად თავს.

— ნავედი... ვეტიყვი, რომ ცოტა კიდევ მაცადოს.

— სად ნახვედი? და ჩვენ აქ გვტოვებ? — ნაძალადევად იღიმება კობა, — ერთად ვეტიყვით. სად ხვდები? ზემოთ?

— ჰო.

— კარგი ადგილი მოუფიქრებია იმ ჩემისას. ამ ხვატში... — იჯლანება თომა.

— მთვარეულია.

— მათხოვარია, — ზიზლით აფურთხებს თომა...

ინოლა ქალაღდის ლურჯ კოლოფს ხსნის. „და ჩვენ ვყიდულობთ გულეზს. ლურჯებს. მორწყვისას რომ იშლებიან,“ — აგრძელებს მისი გონება სიტყვების აღმოჩენას.

ბიჭები კიბეებზე ადიან. ზემოთ მზე უფრო და უფრო აჭერს, ქვემოთ კი ქალაქის ხედი იშლება და ფართოვდება. სანდრო ქარისგან გაშლილ ღრუბლის ნაგლეჯს უყურებს. ისეთია, როგორც დღეს დილით თეთრ ბალიშზე დაყრილი ინოლას თმა. გოგო ისე გატაცებით აწყობს სტრიქონებს თავში, თითქოს მასზე მნიშვნელოვანი ახლა არაფერია: „მერე შემოდის ქონდრისკაცი, მუსიე სონჟი. თქვენ კარტს თამაშობთ და შენ აგებ ორთავ თვალისჩინს.“

— მაინც როგორ წააგე? საერთოდ, სად ნახე. ხო იცი, რო გიჟია ეგ დედამ... — ვერ ითმენს კობა.

— კაი ახლა, იაკობ, რაღა დრო ეგაა. ის თქვი, იარაღით რომ იყოს, ჩვენ რას ვაპირებთ?

— არაა...

— იქნება! — დარწმუნებულია სანდრო.

ყველამ იცის, რომ საქმეებზე მთვარეული ისე არ დადის...

ახლა კი მხოლოდ უნდა დაელოდოს. ალბათ სულ ერთი წუთი. „ისინი ზღვის წყალს, ხოლო მე კი ნანაწევებს ვყიდი...“ ერთი წუთიც გავიდა და ხუთიც. ინოლა საათს უყურებს და ვიდრე გაბედავს და ტესტის პასუხს დახედავს, ლექსის შემდეგი ფრაზაც მოდის: „მე გითმობ ნანაწევს, მასაც აგებ და ჩვენ ვმარცხდებით...“

ბიჭები მთაზე დგანან. აქ უკვე შედარებით გრილა. ქვემოთ სიციხისგან მერყევი პეიზაჟი ჩანს. თიხის ქოთანით გამოშრალი და დაბზარული ქალაქი, რომლის ერთ-ერთ სახლში ინოლა ზის და გაოგნებული უყურებს ტესტ-ჩიხრზე გამოსახულ ორ ნითელ ხაზს. „ღმერთო ჩემო,“ — თითებს იმტვრევს, — „ღმერთო ჩემო! ახლა რა ვქნა?“

მოვიდნენ! მთვარეული და კიდევ ორნი. „ეს ვისი დამნდობია,“ — მეტოქის თვალების დანახვაზე მთელ ტანში სუსხავს სანდროს...

ინოლა იატაკზე ზის და გონზე მოსვლას ცდილობს. „კი მაგრამ... როგორ? და დღეს რა რიცხვია? ფერიცვალა. ანუ 19 აგვისტოა და უკვე... ერთი თვე თუ ნეტა მეტი?... და რა ვქნა?! უნდა მოვიძიო... ისე, რომ ვერც გაიგებს. არაფერს ვეტიყვი! 12 კვირამდე ხომ შეიძლება... ჯერ დრო არის. მოვიძიო... მაპატიე, პატარა... მაგრამ არ შემიძლია ასე! არ შემიძლია მარტოს... არ შემიძლია გულისტკივილები... არ შემიძლია...“

— სად არის? მოიტანე? — ჯერ მზერას უმიზნებს მთვარეული.

— არა... ვერა... — რატომ?

— ვერ მოვახერხე... დრო მომეცი კიდევ. მოვიტან.

— რაღა დრო მოგცე, შე ჩემა? რა, ყოველდღე პაემნები გინიშნო?!

„მესვრის,“ — უკვე დარწმუნებულია სანდრო...

ინოლას თვალეზზე ცრემლები ჩამოსდის.

„შემოგტიროდი... თაფლისფერი არა მაქვს თმები. უკვე დრო არის, რომ მოხვიდე

და მემამბორო... გემშვიდობები... აღარ ვარ... ვკვდები...“ ცრემლი ხედვას უძნელებს. გამწარებული იატაკზე წიგნებს ყრის... მერე ჭერზე დაკიდებულ წეროებს ხედავს და სათითაოდ გლეჯს. „სისულელეა ეს ყველაფერი. სისულელეა! ბავშვობა დამთავრდა. ზღაპრები დამთავრდა! მოკლეა ზაფხული. მოკლეა სიყვარული. ოჰ, ეს მოკლეფეხება, დაგვაჯული სიყვარული.“ აივნის კარს აღებს და წეროებს ჰაერში უშვებს. თითქოს ასე ათავისუფლებს იმას, რაც მასში იყო. რაც აქამდე ათობდა, აცოცხლებდა, აძლებინებდა...

„ახლა მესვრის!“ — პატარა მზე ლულას ხედავს სანდრო და თვალეზს მაგრად ხუჭავს... ცაზე ღრუბლის მუქი ჩრდილები წვება. ინოლას ღრუბლის თმა შავდება. გრგვინის ხმა ისმის. და გოგოს ჰაერში გასაშვები მორიგი წერო ხელში უშეშდება. ნამით ჰგონია, რომ სადღაც კიდევ ერთ ატომის სოკო აფეთდა და გაიშალა. არადა, არაფერი. უბრალოდ ქუხილის ხმაა. ჭიქა-ქუხილია. ღრუბლები ერთმანეთს დაეჯახა და გაავდრდა. სამინლად გაავდრდა.

ინოლა ქსუტუნებს, ცრემლს იწმენდს და ხელში შერჩენილ წეროს დასცქერის. ახლადა ხედავს, რომ ამ წეროს ფრთაზე რაღაც აწერია. თეთრ ფრთაზე შავი ფანქრით: „მიყვარხარ“. კი, ნამდვილად ასე აწერია. ინოლას სახე უნათდება. ეღიმება: „ეს დღეს დილით დაწერა? არასდროს რომ არ უთქვამს, აქ დაანერა! რა უცნაურია, რაღა მაინცდამაინც ამას...“

— რა მოხდა? — კითხულობს სანდრო და გაოცებული უყურებს, როგორ აქცევს ზურგს მთვარეული. უთქმელად, უბრად ტოვებს ბრძოლის ველს და კიბეზე ჩადის. არანაკლებ გაოცებული ამფსონები უკან მიყვებიან. კოკისპირულად წვიმს და ცაზე ელავს.

— რა ვიცი, ალბათ ქუხილის ეშინია, — შვებით იცინის კობა.

— არა, ცა გაიხსნა და ღმერთმა უთხრა, არა კაც კლაო, — სრული სერიოზულობით პასუხობს პეტო.

— ეგ და ღმერთი? — მხრებს იჩეჩს თომა.

— ნუ ხარ შენ ურწმუნო.

— ისე, მართლა რა უცნაურად დაქუხა ჰა? — ვერ ისვენებს პეტო.

— და ისიც როგორ შეიცვალა. ასეთი გარდასახვა გინახავთ? ნამდვილად მეხმა დაკრა და გონება გაუნათა... ჰაჰაჰაა.

— რა მალე მოინმინდა, — ერთიანად სველი ბიჭები უკვე ერთიანად ლურჯ და მოსარკულ ცას უყურებენ.

— მოინმინდა რა... უბრალოდ მალლა ვართ და აქ უკეთ ჩანს, — ყველაფერში ლოგიკას ხედავს თომა.

— აგვისტოა... — ამბობს სანდრო...

ინოლა სანოლზე წვება. თმაზე მზის სხივი, გულზე წერო, ხოლო ნამტირალევი სახეზე ღიმილი ადევს. „თუ სიყვარული არსებობს, გადავრჩებით,“ — ფანჯარაში შემოჭრილ ცას უყურებს. ლექსის სტრიქონებიც ბრუნდება: „წვიმაც მიყვება, როცა იგი დგება და გადის... ვინქით და ვსუნთქავდით მკვდრები... ვსუნთქავდით მკვდრები.“

ბიჭები უხმოდ ეშვებიან ქვემოთ. სანდრო ფიქრობს, რომ ასეთი სუფთა ცა არასდროს უნახავს. არც ასეთი აგვისტოს ნათელი. და არც ასეთი ფერმეცვლილი ქალაქი. სულ სხვანაირი, ინოლას თმასავით ნითელი ქალაქი...



ნაგებული კაცი. ნაგებული ქალი

საბოლოოდ ტუზიც და
საბოლოოდ დამაც და
საბოლოოდ კაროლიც
საბოლოოდ დამარცხდა!
გამარჯვება ვერც შოთას
დიდ სიყვარულს – თამარს ხვდა! —
ისიც, მსგავსად დავარის –
საბოლოოდ დამარცხდა...
გამარჯვების სიხარულს
ბედი არც მე დამაცდის...
...ასეც მოხდა! — მეც, ბოლოს,
რა თქმა უნდა, დავმარცხდი...
...ბედი არ აქვს სამ ტუზს და
სამ დამას და სამ კაროლს...
ბედი არ აქვს თავად მას –
ჩვენს სინანულს – სამყაროს...

სიმღერა

რა კარგია განშორება! —
მონატრება იცის! —
მონატრება საყვარელი
ქალის,
კაცის,
მინის...
გახსენება წლების წინათ
დადებული ფიცის!
რა ვქნა! — მომწონს განშორება —
მონატრება იცის...
...
...ოღონდ შენ ეს არ გეხება —
შენ ერთს არ გეხება!
არ გეხება მხოლოდ შენ ერთს,
შენ ერთს არ გეხება! —
შენმა წასვლამ ფიქრი ჩემი
ცხარე ცრემლით ღება...
რაც ზემოთ ვთქვი, რაც ვიმღერე —
შენ ერთს არ გეხება...

სუპერ-სარჩელი,
პეტანოლი უფალთან

გადაგვაგდე და დაგვკარგე,
როგორც ჩერქეზმა ისარი...
ათას ომგადანახადი —
რას აშავებდა ის ერი...
სწორედ იმ ათასმეერთე
ომმა მოგვტეხა კისერი!
დაგვრჩა კი რამის იმედო? —
ალბათ პანია... მიზერი...

შენით, და მხოლოდ შენით ვართ,
უფალო, გადასარჩენი!
შენთან ამიტომ შემოგვაქვს
ბოლო თხოვნა და სარჩელი...

პარძი ოლიბარძი

იმ ფულის პატრონს ჯიბეში
ფული არასდროს დებია!
კაცები – მისი ძმებია!
ქალები – მისი დებია!
თუ კაცს ბევრი აქვს ხურდაო,
იმ კაცს ცოტა აქვს ფულიო! —
ეს კორტასარის აზრია —
ეს ასე უთქვამს ხულიოს!
ხურდა მეც ქე მაქვს საკმაოდ,
ლამის ვიქეცი ხურდებად!
თქვენ – ოლიგარქის შეგშურდეთ! —
თქვენ ჩემი ნუ შეგშურდებთ! —
კი, ნამდვილია — ჯიბეში
ფული არასდროს დებია!
კაცები – მაგის ძმები ვართ!
ქალები – მაგის დებია!

ახლობელი; შორეული;
აზიური; არიული,
ულირსი და ღირსეული
გვაქვს ტვინებში არეული!
ჩვენთან, მისთან,
შინაური, გარეული,
ეს – მსხვერპლი და ის — ჯალათი —
გვაქვს ტვინებში არეული!
ვაგზლის ბოზი და ოჯახის
ღვანლმოსილი მზარეული,
სატანის და უფლის ხალხი
გვყავს საშინლად არეული...
ჩქარა დადის ნელი ღლონტი,
ნელა დადის ჩქარეული! —
ეს სიღინჯე, ის სიჩქარე —
გვაქვს საშინლად არეული...



ტარიელ ქანტურია
ნიგნიდან: სიყვარულის შავი ყუთი

...ამ ტკივილზეც ვსაუბრობდით
მე და ლექსო დორეული! —
ილიას და სულხან-საბას
ახლობელი შორეული...

უნახავს კი ვინმეს სადმე სიყვარულის შავი ყუთი! —
რა იყო და როგორ იყო დაღუპულის ბოლო წუთი! —
ლალატის და ერთგულების საშინელი ბნელი წუთი,
ფარისევლის ავი სიტყვა თავის ბინძურ სუ-სუ-სუთი...
უნახავს კი ვინმეს სადმე სიყვარულის შავი ყუთი...
სიხარული – თითო წვეთი! სინანული – ასი ფუთი!
სევდა მოუნელებელი დაცარიელებულ ბუდის...
ან კაკებზე იცის რამე? – თავის სოდით, თავის კუდით...
დახეული წერილები... დამწვარი ნამუსის ქუდი...
უსაბუთო ვარაუდი! — ვისთვის – კარგი... ვისთვის –
ცუდი...
...
დაღუპული სიყვარულის – არ არსებობს შავი ყუთი...

ბოლო ტექსტი

ვერ დავინყე
ვერ დავასრულე
ვერ მივუსწარი
ვერ დავესწარი
ვერ დავასწარი
ვერ ვიმღერე
ვერ გამოვესარჩლე
ვერ გადავიხადე
ვერ შევეხიდე
ვერ გავისტუმრე
ვერ გამოვასწარი
ვერ მოვიწიე
ვერ ვუერთგულე
ვერ ვულალატი
ვერ ვაპატიე
ვერ მოვერიე
ვერ ვისწავლე
ვერ გავიხარე
ვერ დავივინყე
ვერ ვიუარე
ვერ დავემომნე
ვერ დავენერე
ვერ დავამთავრე
ვერ გავიხარე
ვერ გავიმეტე
ვერ ვუსმინე
ვერ ვიფიქრე
ვერ გავზარდე
ვერ მოვიგე
ვერ მოვარტყი
ვერ დავენიე
ვერ გავასწარი
ვერ ავფრინდით
ვერ მოვკალი
ვერ მოვ...
ვერ მოვიწიე
...
ვერც შენ?

თამარქალს და თამარქალებს,
ოქროს ვერძს და ოქროს ვერძებს —
ძველ დიდებას, ძველ სიხარულს
ძველებური ვნებით ვეძებთ! —
იმ საქართველოს ვეძებთ და
ამ საქართველოში ვერ ვძლებთ! —
ველარც ძველებურად ცხატავთ,
ველარც ძველებურად ვერ ვწერთ!
ვეძებთ, ვეძებთ იმ წარსულში
გადამალულ ოქრო-ვერცხლებს...

...ისე, ძველი საქართველო
ვერ მიგვიღებს ალბათ ვერცერთს...

ავტორიანი

ვხატავ.
მიყვარს.
ვწერ.
ვადუღებ.
ვრეცხავ.
ვხერხავ.
მომდევს.
მივდეგ...
...დავიღლები,
მივწვები და
თავს
საფლავის
ქვაზე
მივდეგ...

მივლიდინებ და მივდივარ
ვაჟას მთავარი ქუჩით!
...ვაჟას რა უჭირს, ძვირფასო —
ვაჟას თავი აქვს ქუდში! —
დანერილი აქვს – ერთი ვთქვა? —
დანერილი აქვს ქუჩი!
არ უფიქრია — ყოველდღე
რით ამოევსო კუჭი!
რით გაეფერადებინა
კაცის ცხოვრება – ფუჭი...
უკვდავებისკენ ილტვოდა
თავის მთავარი ქუჩით...
დარდობდა – რისთვის დაიქცა
თმოგვი ან ხორნაბუჯი...
დარდობდა – მაინც და მაინც
ღირსეულ ხალხს რომ უჭირს...
ვაჟა ფშაველას ამიტომ
აქვს, ძმაო, თავი ქუდში!
ერთი ვთქვა? კარგი, ერთს ვიტყვი —
დანერილი აქვს „ქუჩი!“

N
კაცია ნალდად მურტალი!
აქვს საქციელიც მურტლის!
წარმოიდგინეთ – შობელძალს
აქვს გარეგნობაც მურტლის!
რასაც შეხედავს – იტაცებს,
ინახავს, მალავს, ფუთნის!
ასე გონია – რაც კარგი
არსებობს – მას ეკუთვნის!
აქვს გარეგნობა მურტლის და
აქვს საქციელიც მურტლის!
სულ კურტანწამოკიდებულს
უყვარს ეს თრევა კურტნის!
მოკლედ, როგორც ვთქვი, ისეა —
ნალდი სახეა მურტლის!

ჩემი დილა

— მირჩენია, ჩაფრენილი ვიყო ახლა ცხენის ფაფარს,
მე კი ბედმა დამავალა, ცოლს ვუხარშო ცხელი ფაფა!
სხვანაირად? არ გამოვა! არა-მეთქი! ა-პა-პა-პა!
ყოველ დილით! ფაფა! ფა-ფა!
ნიგნი? ლექსი? — ა-პა-პა-პა!

2013 წელი

სუპერ-საახალწლო

ორიათას ცამეტი! —
მიწა მეტი! ცა მეტი!
ორიათას ცამეტი
წლის დოქი და კრამიტი!
...ძველი ორიათასი! —
რა – ნაკლები, რა – მეტი!
...როგორ გაქრა სასახლე,
როგორ დარჩა კრამიტი...
გამოსახულებები
შენიერული ტარიგის...

...
რიგში – სამიათასი! —
გამოცანა-თარიღი!
...
სამიათას ცამეტი წლის გაეროს სამიტი...

იმ ცამეტის მოუბარს,
ამ ცამეტზე მოუბარს,
ნალვლიანად მოუბარს —
ეუსმენთ დიდმონამე ტიპს...

...ორიათას ცამეტი! —
მიწა – მეტი!
ცა – მეტი!

 — სიცოცხლე და სიკვდილიც —
 ორივე შენ გაბარია!
 ერთიცა და მეორეც —
 ერთნაირი ზღაპარია!
 რაც რესტორანია და
 კაფეა და კაბარეა —
 შენ და მხოლოდ შენ და მას —
 მხოლოდ თქვენ ორს გაბარიათ!

ნამდვილი რომ გვგონია,
 ის ნამდვილიც — ზღაპარია!
 ეს ახალი სიცოცხლეც
 ძველი ამბავ-ხაბარია...
 ასი რომ ყავს პატრონი,
 ისიც მიუსაფარია!
 ხვალზეგ ჩამოსაწერი —
 ო, რა მთა და რა ბარია...

 გულზე დარდის ლოდი
 სანამ უნდა მანვეს... —
 გაკვირვებული ვარ —
 ჯვარზე რად არ მაცვეს!
 რაც მე მაგათ შხამი
 და სამსალა მასვეს —
 გაოცებული ვარ —
 ჯვარზე რო არ მაცვეს...
 ღმერთო, წყევლა მისი
 დაუბრუნე მასვე...
 ...
 მგონი თავად უკვირთ,
 ჯვარზე რომ არ მაცვეს...

ანბარიში...

სულ სხვაგვარად ვატარებდით
 მე და ჩემი ძმები დროს —
 ვკითხულობდით ჰაიდუგერს,
 სარტრს, კამიუსს, ლევი სტროსს...
 არასოდეს მიგვიკლია
 გრიალი და სასმელი...
 ...მაინც სხვა ხალხი ვიყავით —
 ჯვარზე კაი საცმელი...

N
 ნიგნი აგერ — საჩუქარი
 უფლის ნაჩუქარი ძმის! —
 სივრცე უცხო ოცნების და
 უფრო უცხო ქარიზმის! —
 კაცი, მრავალტანჯული და
 ათას შხამდალეული,
 კაცი, მართლა სასწაული,
იმ ჯვარზეც რომ არ იცმის...
 ...
 სახელს არ დავასახელებ —
 მტრები რად გავუჩინო! —
 იყოს ისე, როგორც არის —
 უსახელო... უჩინო...

აოჯი

რაც საიდუმლო ვიცით,
 ყველა ენაზე გვადგას!
 ტკივილი გვტანჯავს თითოს —
 ერთად მოკლავდა ათ კაცს...
 ამის ყველაფრის მცოდნეს
 რად არ გვიჩნდება კითხვა:
 რა გვემართება, ხალხნო,
 რა გვჭირს, რა ძალა გვადგას...

 ფული იყოს? — ტონას
 აიკიდებს კურტანს! —
 ადამიანები —
 ვართ ყველანი ხურდა...

ალარ უნდა ამას
 დიდი ფიცი-მტკიცი! —
 გვანაცვალებს ყველას
 ასიანის ტკიცინს!

დათვლის! კიდევ! კიდევ!
 მერე კარგად ფუთავს!
 დაძინებას ქალთან —
 უჯობს ძილი ფულთან!
 დაკავშირებული
 თუ არ არის ფულთან —
 პრობლემას და საკითხს
 ვერ მიიტანს გულთან!
 ურჩევნია ყველა
 ხელმწიფეს და სულთანს! —
 ფულს და ძალას მისას
 აიგივებს **სულთანს!**

ალარ უნდა ამას
 მეტი ფიცი-მტკიცი —
 გვანაცვალებს ყველას
 თუმნიანის ტკიცინს...

 თეფშზე — ზღმარტლი.
 ზღმარტლში — მატლი.
 უნდა ჭამო ალბათ ზღმარტლი...
 ალარც ცოდვა,
 ალარც მადლი! —
 სულ არ არის ცოდვა მატლი?
 თუ? — სიცოცხლედ არ ითვლება
 ის სიცოცხლე! — მისი, მატლის
 ვაი, საცოდავი მატლი!
 ვაი, უბედური მატლი...
 ...მოვა ერთხელ ჩვენთანც მატლი
 სხვა აზრით და სხვა სიმართლით...

 ყველა ანთება, ყველა ეკზემა,
 ყველა ტკივილი ექცა ლექსებად!
 თვით სიცოცხლედ კი საქმეს უჭირებს
 და ეს ცხოვრებაც ცუდად ექცევა...
 ძველ ძმაკაცს ხელი რომ გაუმართოს,
 არ შეუძლია — არ აქვს შეძლება!
 რა ქნას! როგორ ქნას! ხომ ვერ ადგება
 და პარტიებში ხომ არ შეძვრება!
 ცაიტნოტშია! — დრო უთავდება!
 მალე ლექსისთვის ალარც ეცლება!

თუ ძმაკაცების ღადავს ვენდობით —
 უკვე დაენძრა... უკვე ენძრევა...

 მეჩვენება:
 მეც ევა
 მომდევს... მომდევს...
 მეწევა...
 მეც ბედს ალბათ ვენევი,
 და ბედს ევაც ეწევა...
 მაგრამ თუ სვამს? თუ ბოზობს?
 თუ იკეთებს? ეწევა?
 ...
 ჩემი ბედი რომ ვიცი,
 ნამდვილად დამწევა!
 ჩემი ბედი რომ ვიცი,
 ალბათ ვერ დამწევა...
 ...
 რაც ვთქვი, სწორედ ის მოხდა —
 მოვიდა!
 ამეწება!

 მაქვს პრეტენზია მეც დედაჩემთან! —
 რა დავუშავე, — რისთვის მაჩენდა...
 ის — აკუშერი, გინეკოლოგი —
 მე რას მერჩოდა, რისთვის მაჩენდა...
 ხომ იცოდა მან — როგორ, რა გზებით
 შეიძლებოდა მუცლის მოწყვეტა...
 ...
 მთელი ცხოვრება ჩემი სულიდან
 ის ცრემლები და სისხლი მოწვეთავს...

ბოლო საგაზაფხულო

გაზაფხულმა თავის მოკვლა გადამაფიქრებინა!
 ხელში ია ეჭირა და გულზე ვარდი ეფინა!
 მე თუმც ვარდი არ მეფინა — გულზე მეც მომეფონა:
 შანსი გაჩნდა — მეც ვილაცა... მეც რალაცა მეპოვნა...

რა პრობლემა არის ერთი — ე სესხი და ე ბინა! —
 ვარდობისთვის თავის მოკვლა გადამაფიქრებინა...
 ...
 ჩემო ხალხო, იმნაირი დარია და კარგი დღე,
 თუმც მიტირე მამის სული — არც ვიფიქრებ, განგიდგე!

 როცა გასურდა, როგორც გასურდა —
 ჩაგიქვრივარ... აგინთივარ...
 არც მე ვიცი, არც შენ იცი —
 ახლა რატომ არ გინდივარ...
 თუ მინდოდა — ჩამიქვრიხარ...
 თუ მინდოდა — ამინთიხარ...
 არც შენ იცი, არც მე ვიცი —
 ახლა რატომ არ მინდიხარ...
 ხომ დასრულდა წარმოდგენა —
 ახლა რატომ არ მივდივარ!
 ხომ დამთავრდა ის სპექტაკლი —
 ახლა რატომ არ მიდიხარ...

დავიუბი

ნინო კაკაჩია

შენ მზის ცოლი ხარ!

შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მაგრამ მე ვიცი,
 ყველა ღრუბელთან და ვარსკვლავთან რომანებს აბამ,
 დედამინიდან მოტაცებულ გიმრისფერ თვალებს
 ნუკრივით ნაბავ!
 შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მე ვიცი, ვიცი,
 ყველა ქალღმერთი შემოგნატრის ზიზლით და ბოლმით;
 შენ ხომ არასდროს არ გახდები დედა ჭინკების,
 კანის მოდგმის!
 შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მაგრამ მე ვიცი,
 მთვარემ ათასჯერ მიგაჯაჭვა ზევსის საწოლთან.
 უცებ დაემვა ოლიმპოდან ღმერთების ჯარი,
 მთებიც გასწორდა!
 იყო მდიდრული, ბოჰემური ღამე და ალბათ
 იმ ღამით კლავდნენ ჯადოსნური დაშნით ონაგრებს.
 შენ მზის ცოლი ხარ, უმანკო ხარ, მაგრამ მე ვიცი,
 ყველა ღრუბელთან და ვარსკვლავთან აბამ რომანებს!

ბოგონა ყიდულობს ასკილებს

იმატეს ქალაქში წვიმებმა,
 ზამთარი თებერვალს აცილებს.
 სუნია ობის და სინესტის.
 ბოგონა ყიდულობს ასკილებს.
 შელებს ფანჯრები მუშებმა.
 ვაჭრებმა დაცალეს დახლები.
 ვერ უძლებს ამინდი ცდუნებას.
 ქუჩიდან გარბიან ძაღლები.
 ქალაქში გაზაფხულს ელიან.
 ბოგონა ყიდულობს ასკილებს.
 ბოშები ბრძოლებზე მღერაინ.
 ზამთარი თებერვალს აცილებს.

კურტიანის საგა

როგორ გიხდება ხავერდის კაბა,
 მოგავხარ ტანით ჰერცოგინიას!
 დახვეწილი ხარ! ღვთაებრივი ხარ!
 მომწონხართ შენ და შენი ფინია!
 დაბერავს სველი ნიაფი ღამის,
 წვეთი გაჩნდება ბროლისფერ მკერდზე.
 მოყვება ქალი სევდიან საგას
 თავის წარსულზე და თავის ბედზე.
 შერჩება ზამთარს ცრემლები ცხელი —
 პურიტანივით როგორ გაგნირეს.
 იქ შენი ქმარი იქნება მცველი
 და შიშველ ღამეს არ გააცეცებს.
 როგორ გიხდება ხავერდის კაბა,
 მოგავხარ ტანით ჰერცოგინიას!
 დახვეწილი ხარ! ღვთაებრივი ხარ!
 მომწონხართ შენ და შენი ფინია!



ლეგიონი

აგათა, ბრაუნელი
დემიტრი? მასზე მორცხვი არავინ მი-
ნახავს. თანაც ჩუმი. აი, ხომ არიან ეგეთე-
ბი, ზედმეტად ნყნარები, ორ სიტყვას

მესამე ქმარს რომ გავშორდი, მაშინ
გადმოვედი აქ. ადრე ნებრასკაში ვცხ-
ოვრობდი, მაგრამ დედა ცუდად გახდა,

ბრაუნელი მოსაველეად ჩამოვედი და
მისი გარდაცვალების შემდეგ ვეღარ წავე-
დი აქედან. სწორედ მაშინ გავხსენი ეს ბარ-
იც. ფულით მცირე ბიზნესის წამოწყება

ბრაუნელიდან რვა მილის მოშორებით
პატარა ქალაქია, როკპორტი. იქ თურმე
ყველაფერი მოუვლია და ვიღაცას უთქ-
ვამს, ბრაუნელის ბარში სჭირდებათ

მირიან რჩეულიშვილი

ასობით მილი და შორს



მაგრამ ჩემი პირობა წვეულებით, მოტოციკ-
ლის გასაღები მე უნდა მქონოდა.
ფიქრობდი, რომ გაიქცეს?... და ამ დროს
გასაღები მაგიდაზე დავაგდე. მიმხვედრად,

გასაღები გამომართვა და ბარში დაბრუნ-
და. ეს იყო და ეს, მას მერე დემიტრის
ალარავინ გადამტერებია. ერთხელ მისი
ნივთებიც კი გაქრხრიკე, მაგრამ რა ნივთე-
ბი...

უკვე მეშვიდე თვე გადიოდა, რაც დემ-
იტრი ჩემთან მუშაობდა. ანუ... აპრილში
მოვიდა, ოქტომბერი თავდებოდა და ნოემ-
ბრის სიტყვები დაიწყო. არ ვიცი, ზამთრის
მოახლოვებამ შეაშინა თუ რა მოხდა, მა-
გრამ წასვლა გადაწყვიტა. ჩემი მიცემუ-
ლი ხელფასი საერთოდ არ დაუხარჯავს,

ასობით მილი და შორს
სამშუაშროდ, ამ შეკითხვაზე ვერ
გვიპასუხებთ. მას შემდეგ დემიტრი არ შეგ-
ხმინებიათ?

მონტე, ლისაბონი

შურალოდ, თქვენმა ჩაცმულობამ დამ-
აფრთხო. ადრეც შეგამჩნიეთ. ვერ ხართ
კარგი მზევრავი. მე მეგონა, მომადგენს-
თეთი. კიდევ კარგი დემიტო ასხენეთ,

აგვეწი ჩაგვიხებდით. ეს ქალაქი ერთ-ერთ
ყველაზე დაცულად მიიჩნევა ევროპაში,
მაგრამ ამ უბანში, ალტო დო ლუმბარში,
სამშენებლო ზონაა. დაგმარხავენ და ზედ

დემიტოს ეძებთ? ეჰ... ეგ ბიჭი თავგა-
დასავლების მოყვარულია, როგორ მომ-
პარა მოტოციკლი... მაგრამ მე მგონი, კარ-
გი ქნა, ასე რომ მოიქცა. სხარტი იყო, ენ-

დემიტოს კალიფორნიაში შევხვდი.
უდაბნოს გზატკეცილზე მოვდიოდი ჩემი
მოტოციკლით. არ ვიცი, როგორ, მაგრამ
ავარია მომივიდა. არ მახსოვს, რა მოხდა.

ბოლოს ტელეფონი ჯიბეში ჩამიღო,
გაბრუნდა. ვიფიქრე, ალბათ სასწრაფო
გამოიძახა და თავის საქმეზე მიდის-მეთ-
ქი. მაგრამ სმენა უცბად დამიბრუნდა და

ეს უბრალო მოტოციკლი არ გვეგონოთ.
მე და ბიძაჩემმა ერთხელ კაზინოში ათი
ათასი დოლარი მოვიგეთ, ბიძაჩემს და-
ბადების დღე ჰქონდა და ვუთხარი, რაც

ეს მოტოციკლი სხვებს არა ჰგავს. ხმაც
კი გამოჩნეული აქვს, ხმაურიათ, მაგრამ
რბილი. არც გრძელია, არც მაღალსახე-
ლურებიათ. თვალისადაც არაა, მაგრამ
თუ ყურადღებას მიაქცევ, ფარეში სხვა

ლოს-ანჯელესის დიდი ნაწილი ჯერ
კიდევ გეტოა და დიდხანს ისევ გეტო იქნე-
ბა. უბრალოდ, უნდა იცნობდე ხალხს. მე
ლათინოსებთან ვიყავი კარგად, რადგან


შავკანიანები ერთ ფენაში გადიან, მე შავ უბანში ვიზრდებოდი. მოკლედ, ყველგან მყავდა ჩემიანები.

ერთი სიტყვით, ასე მიდიოდა ჩემი ცხოვრება, სანამ ავარია არ მომივიდა და დემიტო არ გამოჩნდა. ვგდივარ მიწაზე, ვერ ვმოძრაობ. დემიტო ჩემს მოტოციკლზე ზის, ჩემთან მოგორდა, გადმოვიდა. მტაცა ხელი და მოტოციკლზე დამსვა. თვითონ უკან მომიჯდა და წავედით. გზაში ვითიშებოდი ხოლმე, საბოლოოდ ჰოსპიტალში მოვედი აზრზე. სერიოზული არაფერი მჭირდა, ოდნავი დაბეჭობისა და რამდენიმე კოპის გარდა. დემიტოს ჩემს პალატაში ეძინა. ჰო, დემიტრი, მაგრამ მე დემიტო შევარქვი. დემიტრი უცხოვდ ჟღერს, დემიტო მირჩევნია. ფულის შოვნა უნდოდა. ჰოსპიტლიდან არ მწერდნენ, მაგრამ დემიტომ მაინც გამომაპარა.

ფულის საშოვნელად, ძირითადად, ჩემს მეგობრებთან მივდიოდი. მოკლედ, საქმე ვიშოვეთ, და თანაც სერიოზული — ამერიკის ნაციონალური ბანკის ფილიალის გაძარცვა. ჩვენი ნაცნობები მუშაობდნენ იქ დაცვაში. ფული იმთავით უნდოდნენ, ხო იცით, ჩვეულებრივ, ციხე შიგნიდან ტყედება. დანარჩენ სტრატეგიას აღარ მოგიყვებით. მე მინივენით ხალხი მივიყვანე, დემიტოს ჩემი მოტოციკლი მივეცი. ყველანი დათქმულ დროს ფილიალთან ვიყავით, შეცვივდნენ მიგინი და ატეხეს ერთი ამბავი. მაგრამ პოლიციამ მაინც მოგვისწრო, ვიღაცამ ჩაგვიშვა. ბიჭები დაიჭირეს, მე მანქანაში ვიჯექი და შეუმჩნეველი დავრჩი. როცა პოლიცია მიგინი შევარქვა, მე მანქანიდან გადმოვედი და გავეუჩინარდი. მაგრამ მთავარი დემიტოა! ჰა, ჰა! ეს ამბავი შეიძლება გაგონილიც გქონდეთ და იცოდეთ, რომ ეს დემიტომ ქნა. ეს ფილიალი კანიონ ქანთრიში იყო. დემიტომ მოახერხა ფულით სავსე ტომორით გაქცევა, მოახტა მოტოციკლს და კანიონ ქანთრიდან სანტა კლარიტას ბოლომდე ამ ფულს ქუჩაში ყრიდა! შეიქნა ერთი ამბავი, ეს დოლარების შეკრები ყრია ქუჩაში — ხალხი გაგიჟდა! ტელევიზორში სულ ეს იყო და სულ ამაზე ლაპარაკობდა ყველა. ხალხი შეკითხვობდა, ვინ არის, სად იპოვე, სახლი მოიყვანეო? მე კი ვპასუხობდი, რომ დემიტომ თვითონ მიპოვა.

იმის მერე აღარ მინახავს. არც არაფერი გამიგია მისგან. მეუბნებოდა ხოლმე, ეს მოტოციკლი მხარზე ჩამომჯდარი ეშმაკია შენთვის, უნდა მომცეო. მართლაც, იმ ამბის მერე ფულის შოვნა ნორმალური გზით დავიწყე და საქმეები კარგად მიმდიოდა. დავუბრუნდი მშენებლობებს და, მაგონი, უფრო მეტსაც კი ვშოულობდი.

აქ ერთი სამშენებლო კომპანიის უმცროს არქიტექტორ-კონსულტანტად ვარ. რადგანაც განათლება არ მაქვს, იურიდიულად ვერ გამაფორმებენ როგორც არქიტექტორს, ამიტომ კონსულტანტის სტატუსი მიჭირავს. განათლებულები ხაზავენ ფურცელზე რაღაცას და როცა საქმე ბლოკების ერთმანეთზე დადებას მიაღწევა — არ იციან, რა ქნან. მშენებლობაზე ამას თავისი ალღო უნდა, ცოდნა, გამოცდილება. გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს.



რატომ გამოგექცათ დემიტო? რატომ ეძებთ?

— სამწუხაროდ, ამ შეკითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ოჯახის საქმეები ოჯახში უნდა დარჩეს.

— ჯანდაბას თქვენი თავი. ამ ლუდისას თქვენ გადაიხდით. ძალიან უცნაური ბიჭია დემიტო, ერთი შეხედვით მარტივი — ახალგაზრდა და გადარეული, მაგრამ დროთა განმავლობაში ვატყობდი, რომ ძალიან განონასწორებულად და წინდახედული იყო. ჩვენ მაგივრად ჩვენზე ადრე ჰქონდა დაგეგმილი იმ ბანკის ამბავი. დარწმუნებული ვარ, იცოდა, პოლიცია რომ მოვიდოდა. დაჟინებით მოითხოვა, მოტოციკლი მას ჰყოლოდა და მე, ჩემდა დაუკითხავად, მძლოდად გამამწესა. დიდი დანაკარგი უნდა იყოს თქვენი ოჯახისთვის ასეთი კაცის გაქცევა.

— ესე იგი, ჩემი ძმა შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობდა?

— კი. მაგრამ ასე ნუ გაიგებთ. ჰო, გეტყვით ბანდასთან ერთად ბანკი გაიტანა და გაიქცა, ალბათ იძებნება, თუ უკვე არ დაიჭირეს. მაგრამ, ყოველ საღამოს მუხლებზე იდგა და ლოცულობდა. დემიტომ კარგად იცის, სად იყო და რა უკეთებია. ვიღაცამ უნდა უბიძგოს სწორი მიმართულებისკენ. ისევე, როგორც თავად მიბიძგა მე.

მირჩევნია, ლოთი ვიყო, ვიდრე — ბრმა. ვერაფერს ვაძამარწმუნებს, რომ საკუთარი თვალით დავინახე! არც ვაბედავ და თქვან, რომ ვითომ რაღაც მომლანდებია... მითუმეტეს მაშინ, როცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ნუთუბი ჩემი უკანასკნელი ნუთუბი იქნებოდა ამ ქვეყანაზე. ჩამომჯდარხარ ბარში, შუაგულ უდაბნოში და გგონიათ, ვინმე რამეს გეტყვით იმ ბიჭზე? მე თუ კუთხეში ვდგვივარც ცარიელი ბოთლით, ჩამოფლეთილი ტანსაცმელი მაცვია და შეუხვდავი ვარ, მაშასადამე, ადამიანად აღარა მთვლით? არაუშავს. რა მნიშვნელობა აქვს. რა? რას მომშტერებხარ გაკვირვებული? სწორედ შენ გელაპარაკები! ის მოტოციკლი გარეთ რომ დგას, ჩემია! ამ ბარში არავინ გამოტოვებ, ყველას შეეკითხე დემიტრიზე და მე არ მეკითხები, არა? ვოდკას არა სვამ? რატო, რა?! რუსები არ გეყვასები? არაუშავს, მე მაინც უკრაინელი ვარ.

თქვენსა და ჩემს შორის დიდი განსხვავება არაა. თქვენ ხელში ფული გიჭირავთ, მე ცარიელი ვოდკის ბოთლი. ფულიც ისევე აგიჭებს ადამიანს, როგორც ვოდკა! ჩვენს შორის დიდი განსხვავება არაა. ოღონდ თქვენ ეძებთ დემიტრის, და მე... მე მან თავად მიპოვა!

მახსოვს, კარგად მახსოვს. და რა ჯანდაბად ეძებთ მაგ ბიჭს?! გადაამხდით? თქვენ მე გადაამხდით?.. ჰოდა, გადაამხადეთ, რამდენია მაგ შეკვრაში? კაი ბლომად კი გქონიათ, არ მაინტერესებს, მომეცით! ბოლოს ასეთი შეკვრა რომ მეჭირა... თუფი! არც არასდროს მჭერია ასეთი შეკვრა! ფული ამხიარულებს ხალხს. ფული დაგებრუნებთ მეგობრებს, და ნათესავებს, და ახლობლებს...

ანდა, რა ვიცი მე ფულსა და კარგ ცხოვრებაზე, არც არაფერი. მეგონა, გავეუბნებდი ეგმოს, ბრმად მჯეროდა, რომ „ამერიკული ოცნებით“ ვიცხოვრებდი ისევე, როგორც ბევრ სხვას ეგონა. მაგრამ... ეჰ.

დაინგრა დიდი იმპერია, განადგურდა საბჭოთა კავშირი, გაიხსნა საზღვრები. და ჩვენც, საბჭოელი ხალხი, ძაღლებივით მივცვივდით ჯერ უნახავ მინებს. ზოგი ევროპას, ზოგი ამერიკას. თითქოს მეზობლის ეზოში გაზონი მართლაც უკეთესი ყოფილიყო.

ჩემი ბიძაშვილი ჯერ კიდევ ცივი ომის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა აქ. როგორც მწერდა, მცირე ბიზნესს ფლობდა და ყვაოდა. ყვაოდა არა, ჩემი ფეხები! მიგზავნიდა თავის სურათებს მანქანებითა და ქალებით, დასალევით და ძვირფასეულობით. მეც ვიჯერებდი. იდიოტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ დრო იყო ასეთი. ყველამ ინამა, რომ უცხოეთში უკეთესი ცხოვრება იყო. არ ვიცი, რატომ. მასობრივად გვეჯეროდა ამის, ისევე როგორც დემეტრის. არაფერი გვენახა, არაფერი გავგეგონა, მაგრამ თუ ვინმე მოახერხებდა და საზღვრებს გააღწევდა — უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევდით.

ჰოდა, ჩამოვედი მეც. თუ რამე ფული მქონდა, ჩემმა ბიძაშვილმა ამწაპა და აახვია. დამპალი ნაბიჭვარი... დავრჩი უფუ-

ლოდ და უყველად, სრულიად უცხო მიწაზე. თუ სადმე ღმერთი არსებობს — მეტად საზიზღარი იუმორის გრძობა ჰქონია. ამბობენ, რაც უფრო მაღლა ეცდები აფრენას, დაცემაც მით უფრო მტკივნეული იქნებაო. მაგრამ დაცემის შემდეგ ერთადერთი გზა ისევ აღმა სვლაა, არა? ჩემს შემთხვევაში — არა.

ტყეში ვიყავი. საფლავს ვთხრიდი, საკუთარს. თავის მოკვლა მქონდა გადამწყვეტილი. რაც უფრო ღრმად ჩავდიოდი, მით უფრო საცოდავი და უაზრო ჩანდა ჩემი ცხოვრება. მალე გაათენდებოდა, უეცრად პოლიციის სირენის ხმები გავიგე. უამრავი, გამაყრუებელი. მთელი კოლონა და მოდიოდა. გზიდან შორიანხლოს ვიყავი, გავედი ტყიდან. ვხედავ პოლიციის მანქანებს და ნელ-ნელა მოტოციკლიც გამოიკვეთა. ვიფიქრე, დაერხა-მეთქი ბაიკე. მალევე მომიახლოვდა, მე გზასთან ვდგავარ ნიჩბით ხელში. უკვე ორას მეტრზე იქნებოდა, რომ გაქრა! დიახ, გაქრა! ყოველ შემთხვევაში, პოლიციელებს ასე ეგონათ. ძრავი გამორთეს, სინათლეები ჩააქრო და ტყეში გადმოუხვია — ბნელი პოლიციელებმა ვერ დაინახეს და, ჩვეულებრივ, გზატკეცილს გაუყენენ. ამივარდა სიცოცხლე. ასეთს ფილმში თუ ვნახავდი მხოლოდ.

გავბრუნდი ისევ ჩემი საფლავისკენ. უკვე თენდებოდა. შორიდანვე დავინახე მოტოციკლი. მივედი ახლოს. ბაიკერი ჩემს საფლავში ჩანოლილიყო, ხელები გულზე დაეწყო, ცას მიშტერებოდა და ცახცახებდა. თავზე დავადექი. შემომხედა, ცოტა ხანში დანყნარდა, გვერდზე გადაბრუნდა. ვუთხარა, რომ ეს ჩემი საფლავი იყო და თავისი თავადვე გაეთხარა. ზიზღით შემომხედა და გაიხედა. ცოტა ხანს ვიდექი ასე, ვაკვირდებოდი. საინტერესო გარეგნობა ჰქონდა. შავი გრძელი თმა, განიერი მხრები, გრძელი მკლავები, წვერილი და მოკლე ტანი და გრძელი ფეხები. კი, ახალგაზრდა იყო... ასე ოცდახუთი წლის, შეიძლება ცოტა მეტის. მის თვალბეჭდში გაცილებით დიდი შიში, ტკივილი და უიღბლობა დავინახე, ვიდრე მე ოდესმე გამომიცვლია. არადა, ბავშვია ჩემთან შედარებით! ცოტა ხანში დანყნარდა. ნამოვაცენე, საფლავიდან ამოვიყვანე და იქვე ხის ძირთან დავსვი. მითხრა: „ვის გაუგია, კაცი საკუთარ საფლავს თავად თხრიდეს?“ მხრები ავიჩიჩიე. მხრები ავიჩიჩიე და მივხედე, რომ ერთი გზააბნეული ბეჩავი ვიყავი. ეს ბავშვი პოლიციელთა კოლონადას ემალება და ჯერ თვითმკვლელობაზე არც კი უფიქრია. ან რას იფიქრებდა, ჯერ ახალგაზრდაა. ავი თუ კარგი, ცხოვრება სწყურია. დროდღაღობა ითიშებოდა, ჯიბეები გავუჩხრიკე, ორი ასაღობიანი კუპიურა ვუპოვე. მითხრა: „დანარჩენი ხალხს დავურიგე.“ ერთი კუპიურა მე ჩავიდე ჯიბეში, მეორე კი დავუბრუნე.

გამოვცოცხლდი რალაცნაირად. საფლავისკენ გახედვაც არ მინდოდა. თავი რალაც დიდის ნაწილად ვიგრძენი, სამყაროს ნაწილად. მე შემეძლო ამ ბიჭის დახმარება. შემეძლო რალაც კარგის, ღირებულის გაკეთება. ასეთი არჩევანის წინაშე ბევრჯერ ვმდგარვარ, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება არასოდეს მიმიღია. სახელი ვკითხე. შევანჯღრე და ვეუბნები: „მე შენ დაგეხმარები, დემიტრი, გესმის? შენს მოტოციკლს დავაჯდები და გავალ გზაზე. მე დამიჭერენ შენს მაგივრად! შენ თავისუფალი იქნები! გამიგე?“ ვასაღები მუჭით ჩაეძლუჯა, ძლივს გავაშლევინე თითები. ჩემი ლაბადა დავაფარე. მოტოციკლზე დავჯექი და გავძახე:

- ხომ არ მოკვდები, ბიჭო?!
- არა. სამი დღეა, გავრბივარ...
- ჰოდა, ანი ნულარ გაიქცევი!

ლუკასი, ქალაქი

— ეჰ, სიბერე რას უშვება ადამიანს, არა? დრო ყველას ერთნაირად გვექცევა! და არც შენ ხარ გამოწაკლისი, ბატონო სალიერი. ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული ვეღარ ლაპარაკობ, ძლივს სუნთქავ... მაგრამ მე მაგონი, თავადვე დიდიუპე თავი. პრინციპები, ემოციები, შეხედულებები... ეს ყველაფერი არაბუნებრივია. დროისთვის სულერთია, შენ ვინ ხარ და რას წარმოადგენ, ადრე თუ გვიან წარსულად გაქცევს. დროისთვის სულერთია შენი კანის ფერი, სქესი, სოციალური თუ ფინანსური სტატუსი. მის ქარიშხალში შენგან მხოლოდ აჩრდილი თუ დარჩება. მაგრამ, დონ სალიერი, მე მუხლჩაუხრელად ვშრომობდი მთელი წლის მანძილზე, რომ თქვენი ყვე-

ლაზე მკრთალი ჩრდილიც კი გამექრო.

ხელცარიელი არ ვიკადრებდი მოსვლას. თქვენთვის განკუთვნილი ძღვენი გულის ჯიბით დამაქვს. ნება მიბოძეთ, გადმოგცეთ ეს კონვერტი... სამწუხაროა, თავად რომ მიწვევს გახსნა. ეს გეცნობათ, სალიერი? დიახ, ეს ვერცხლისფერი, ფირუზით მოჭიქული ჯვარი თქვენს ძმისვილს ეკიდა გულზე. ეს ოქროს ბეჭედი ვისი იყო? აჰ, გამახსენდა! პოლი არ დაქორწინდა ერთი თვის წინ?! თქვენი ერთგული ხელქვეითი. ამბობდნენ, რომ ქუჩიდან აიყვანეთ, ჯერ კიდევ ბავშვი და თავად ზრდდით. ჯერ ნუ აღელდებით, აქ ტროფეები კიდევ ბევრია. ო, ეს საინტერესოა, მახსოვს, როგორ აჩუქეთ სემს ეს ჯიბის დანა. ვზეიმობდით, რომ პოლიტიკოსი, რომელიც ჩვენს გვერდით არ დადგა, „ჩვენს ქვეშ“ მოექცა. ეს სიკვდილის აღმნიშვნელი ახალი მეტაფორა, მაგონი, თქვენ მოიგონეთ.

მოკლედ, რელიკვიები აქ კიდევ ბევრია, კალთაში ჩაგვიყრით და საითთაოდ გაიხსენეთ ყველა. თქვენი ნათესავები, თქვენი მეგობრები, თქვენი კაპოები — ყველა მკვდარია.

არ ღირდა ჩემი გასტუმრება იმ ქვეყნად. რატომ, რისთვის? რადგან ოდნავ ზევით მომინდა ასვლა?! რადგან რასაც შევეხე, ოქროდ ვაქციე?! თქვენი ბინძური საქმეების კეთებით რომ დავილაღე?! კარგად იცით, რომ ბევრჯერ კინაღამ მოგვეკლეს ბიჭები მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი ავტორიტეტი არ დაცემულიყო! და როგორ გადაგვიხადეთ? ბიჭები, ვისთან ერთადაც მე ვმუშაობდი, უკვე აღარ არიან. და მათ სიას ჩემი სახელი აკლდა, არა?! მხოლოდ იმიტომ, რომ „ჩვენ ბევრი ვიცოდით“. მართალია! ჩვენ დაგაყენეთ თქვენც და თქვენი ბინძური ოჯახიც იქ, სადაც გუშინდელ დღემდე იყავით! ჩვენ! დასისხლიანებული მუშტებით და სროლისგან დაგუბებული ყურებით!

იცი, რა! გეხერხება, როგორ გამანარო ხალხი! რა, მოკვდებოდი, ერთხელ მაინც რომ გეთქვა — „ლუკას, შეილო... შეიძლება, ასე დაგვიძახო? ხომ იცი, შეილივით მიყვარხარ. მჯერა შენი, არასოდეს გაგიცრუებია იმედო...“

მაგრამ არა! მომბეზრდა უშუალო მოხუცის ოინები! უფრო მეტიც! უნდა ამაყობდე ჩემით! შენ ბევრი მასწავლე, ჩემი ცოდნა გაცდა კიდევ შენსას და ესეც შენი დამსახურებაა. და დღეს სწორედ ჩემი შესაძლებლობების დემონსტრირებაა ჩემი აქ მოსვლა.

შენ, რა თქმა უნდა, არ მოგკლავ. იცოცხლე, სანამ შეგიძლია. აგერ შენი წვეთივანი, აპარატი და მთელი კომპლექტი... მე ცენტს არ დავიშურებ შენს მკურნალობაზე. მინდა, რომ რაც შეიძლება დიდხანს იყო აქ იმ აზრით, რომ შენგან აღარაფერი დარჩება, და, რომ ეს შენივე ბრალია.

მტრები მეგობრებზე ახლოს უნდა გყავდესო, შენ არ მასწავლე? აი, იმ ბიჭს ხედავ, კორიდორში რომ დგას? სახელად „დემიტრი“. საქმე ისაა, რომ მე აზრზეც არ ვარ, ვინაა ეგ ტიპი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მოკვლა უნდა. არ ვიცი, ალბათ როდესღაც ბიძამისი მოეკალი, ან მამამისი, ან ძმა... ყველას სჯერა, რომ დემიტრი ჩემზე მუშაობს, მე კი გუშინ ვნახე პირველად. ბიჭებმა შენი გარდაცვლილი ცოლის ძმა რომ დამარხეს, ამ ტიპთან ერთად დაბრუნდნენ. იქ დაგვხვდა, საფლავი ჰქონდა გათხრილი და გველოდებოდა.

შენ წარმოიდგინე, მჯერა კიდევ, რომ ის მომკლავს. ზებრალოდ, ვეცდები, გავიხანგრძლივო სიცოცხლე. მირჩევნია, ისევე ამ ტიპმა მომკლას რამდენიმე წელიწადში, ვიდრე შენსავით სავარძელში დავლპე! ბოლოს და ბოლოს, ჩემი ოცნება ამ ქალაქის მართვა სულაც არ ყოფილა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შენზე უკეთ გამოიშვა.

და... ჰო, გილოცავ დაბადების დღეს!

კარლო

ჰეი, დემიტრი, გაგიხარდა ჩემი ნახვა? შენი მოღუშული სახე და გაყინული გამოხედვა ყოველთვის გეხმარებოდა ემოციების შეკავებაში, საკუთარი თავის მართვაში. არც კი ჩაეხუტები ამდენი ხნის უნახავ ძმას? ჰმ. ლამაზი ხედი იხსნება ამ სახურავიდან ქალაქზე, მითუმეტეს ღამით... გგონია, ვერ მიგვიხვებ? ძალიან კარგად ვიცი, რომ მე არ მიპოვინხარ, დემიტრი. სიხარულისა არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად არ გაგაკვირვებია ჩემი დანახვა.

მანანა ჩიტისვილი



შენ – ჩემდა მიერ გაბზარულ გულით და მე – შენს გამო დამსხვრეულ კალმით.

არ გამოგვეყვება სიო ალერსით, სიფრთხილით შევხსნით წარსულს ურდულებს, აღარ ჩავხედავთ ერთმანეთს თვალებში, არც თავმიდებით არ ვიჩურჩულებთ.

და თუ ეგ გული ისევ მენდობა, თუ ძველი ალი ოდნავ პარპალებს, ჩვენს უიღბლობას თუ უბედობას ერთიმეორეს ნუ დავაბრალებთ.

მარალიული კითხვა

რაც კაცობრიობა გაჩნდა, მის თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდულია პასუხგაუცემელი კითხვა – „ყოფნა, თუ არყოფნა?“ მე ვინ ვარ, მაგრამ მაინც „ყოფნას“ ვარჩევდი, რადგან ლეთას გადაღმა სიყვარული აღარ არსებობს.

ველზე თოვლისფერი კვიცი, როგორ უცებ იამინდა... რა არ მინდა, ის კი ვიცი, ის არ ვიცი, თუ რა მინდა.

ღამით ვარსკვლავების სიცილს ვუსმენ, ქარი მზერას მპარავს, როგორ შეგიყვარო, ვიცი, როგორ შეგიძულო – არა!

ახლა სულ ერთი გამხდარა

ნისლი, გერგეტით დაძრული, ნავა, გადივლის ბიდარას, შენი უარით მოკლულმა გულმა ვერ გამოიღარა. გამლენა ნუთისოფელმა, ჟამმა შემჭირხლა იმგვარად, ახლა სულ ერთი გამხდარა – გინდა მოდი და გინდ – არა!

სიცოცხლის იქით

არად ღირს განძი ოქრონაფერი, თვალში სიკვდილი თუ ჩადგა ბინდად... სიცოცხლის იქით, სხვა არაფერი, შენი ღიმილის ნალევა მინდა.

ერთად გაქრება მტრობაც და ლიქნიც, დარჩება სული – ბროლივით წმინდა... სხვა არაფერი, სიკვდილის იქით შენი ალერსის ნალევა მინდა.

ნისლეპი მოვლენ

ქალიშვილი არ მყავს და, ბუნებრივია, დამტირებელიც არ მეყოლება... მხოლოდ ღამ-ღამობით ქსნის ხეობიდან ნისლეპი მოვლენ, მჭვირვალ ლეჩაქებს შეიხსნიან, თოვლისფერ დალალებს ჩამოშლიან და უჩუმრის პირით ჭირისუფლად დამადგებიან. დილით კი მათ ნადგომ-ნაალაგარზე ცრემლის კამკამა გუბებზე დარჩება, სხვას უკეთესს რას ვინატრებდი.

შენ სიხარულზეა მიაგა

გამომიქრება კოცონი, რჩება ფერფლი და ნაცარი, აღარც ყაყაჩო შემხვდება კისკისით, გულის ფანცქალით. სერზე მიდიან ნისლეპი, დამთვრალნი, ბანცალ-ბანცალით, შენ სიხარულზე მიაგებ, დარდი მეც ვიცი, რაც არი.

ყველა ისარი კი არა მკლავს, ზოგი უფრო მამაგრებს კიდეც... სამების მისანს ეთქვა მართალი: თუ გინდათ, მოკლათ, ვინც ყველაზე ძალიან უყვარს, იმას ასროლინეთო!

სიზმრად მაინც მომეჩვენე

დამიგრისხეს დარდის ულო, ბოლმას ვებრძვი ავს და ხენემს, მოდი, ქსნის ხეობის სულო, სიზმრად მაინც მომეჩვენე.

რაც აქამდე ცრემლი ვმალე, ლანზე დამდის ნება-ნები, შენი ნახვა ამიკრძალეს, მხოლოდ შორით გეფერები.

შენ მიხვდები, როგორ ვქრები, გულში ან რა ცეცხლი მივის, სევდიანი იმზირები, ქაჯეთს მყოფი ნესტანივით.

მტერმა გაიტანა ლელო, ვერც შენ ჰგუობ აფთრის ძუნძულს, ძვირო, როგორც მამის ცრემლო, ტკბილო, როგორც დედის ძუძუც.

გამიზეზდა ყველა წყლული, თურმე უნინ არც რა მჭირდა, ვაი, ამ ლექსებში სული რა ბავშვივით ამიტირდა.

კარს აპრილი მომივარდა, კვირტი ებერება ატმებს, შენს იებს და ყოჩივარდებს სიზმრებში თუ მოვიხატრებ.

შველას ვითომ ლექსით ვლამობ, იმედი რომ არ მაქვს სხვისა, ერთადერთი ხარ მალამო წყლულთა ჩემთა კურნებისა.

სხვანი სხვისას ეტროფნ ჯავარს, მე შენ უნდა აგიჩემო, შენზე დარდით ავად ვარ, მომიოხე, გულო ჩემო.

დამიგრისხეს დარდის ულო, ბოლმას ვებრძვი ავს და ხენემს, მოდი, ქსნის ხეობის სულო, სიზმრად მაინც მომეჩვენე.

მუხრანის სამზღვარს

ნეტავ რას მედიდგულები, მუხრანის სამზღვარს, მთვარეო, ჩანს, უკვე დაგვიწყებია ერთ მე და ეს არემარეო, გზად შემოყრილი ყივჩაღი,

სისხლით მორწყული მზვარეო, ქსნის ციხე, ლიბომოშლილი, ქარის ქვითინი მწარეო. დიაცმა, ლერნამტანამა, თმანი ბეჭს გადვიყარეო, ქალმა, ქალობამშიერმა, ტუჩ-კბილი ვამარმარეო, თვალნი ვაცერე, ნამნამნი

ისრებად მოვიხმარეო. ნავკიდე ლომი და ვეფხვი, ქართლის იძვროდა მხარეო, ვარსკვლავნი ჩაქრნენ, თავადაც შავ ღრუბელს ჩაეფარეო. ძნელი ყოფილა კარგ ყმათა ომი, მტრის შემაზარეო, უწყალოდ ჩეხეს ერთურთი, ვერც რითი გავეკმარეო. ორივე გასისხლმდინარდა, დღე დაიღამეს ცხარეო. ორნივე გვერდი-გვერდ დავმარხე, სამარე გავუთხარეო. კარგ ყმათ უხდება ტირილი, ცა მყვანდა მოზიარეო, ცრემლებად ჩამოდიოდა ღრუბელი მგლოვიარეო. ჩვენ სამთა ბედი უბადო მუხრანის სამზღვარს გარეო, საფლავს ძეგლივად დავადგი, ნიავ-ქარს მივებარეო — სტრიქონი, ელვად ნაშობი, მდულარი, განა მდარეო, ჟამი გააპო, გაგლიჯა, არ დასჩენია ბზარეო, საუკუნეებს გამოჰყვა, სიტყვა, მზედ მოელვარეო. ლექსო, რა ძალამ გაკურთხა, დრო რომ არ გაიკარეო, ბევრისა გული დაფლითე, ბევრ თვალზე იავდარეო, ყოვლის შემმუსვრელ სანუთროს წინ სალ კლდედ აეფარეო, სამივე გაგვაუკვდავე, ჟამს მარადს გვაზიარეო, ნება თუ იყო უფლისა, - სხვას ვერას შევადარეო.

მუხთალო ნუთისოფელო, რამდენჯერ უნდა ამჩალო, მომწყინდი, როგორ მომწყინდი, ნალმა-უკულმა ჩანჩალო. სისხლო, ვითომდა მქუხარეო, მართლად-დუნეო და ლაჩარო, ავაჰმე, დედულ-მამულო, მტრის საპატრონოდ დამრჩალო.

ოდესმა

ოდესმე ალბათ ავიხდენთ სურვილს, შევხვდებით ღიად და არა – მალვით,

ჰაიმოდომის მონოლოგი

ჩაიარა შენმა ქალობამ, დაიკრიფა, როგორც მსხმოიარე ვენახი, გაითიბა, როგორც გაზაფხულის ყვავილოვანი მინდორი, როგორც მონეული ყანა, მზეკაბანი რომ გადაუფლის ხოლმე. შენთვის ახლა გვიანი შემოდგომაა... – როცა აღარავის ენატრები, აღარავის ესურვილები და თვალის აღარავის უშტერდება შენს დანახვაზე. ერთგულები აღარა გყვანან! – სხვის პალატებში დაიდეს ბინა, იქ ლხინობენ, იქ მუსიკობენ, უქმ, ფუყე სიტყვებს კამათლებივით აგორებენ და უგულო თანაღმობასაც მშვენიერად სწავლობენ. შენი ნამდვილი მეგობრები დიდი ხანია, რაც ზეციურ ბილიკებს გაპყვენენ. ისინი იყვნენ შენი ფესვები – სიცოცხლეს მათით ებღაუჭებოდი, შავ ღრუბლებს თუ უამურ ამინდს ისინი გარიდებდნენ. მათ გარეშე

უაბჯროდ და უსაჭურვლოდ დარჩენილ მეომარს ჰგავხარ, როცა აღარც დამძახებელი ჩანს სადმე და აღარც თავის შემომბრუნებელი. ვილას ახსოვს, რამდენ უპოვარს ანაყრებდი, რამდენ შიშველს და უპერანგოს მოსავდი, წყლულებსა და იარებს უშუშებდი. ჩაიარა... ჩაქრა... ჩაინავლა... შენს სიბერეშეპარულ ტოტებში ახლა მხოლოდ ცრემლი მიმოდის და ღამეული ნიავის ყოველ შემობერვაზე ჩუმი კვნესა ისმის.

ჩაიარა შენმა ქალობამ, მსხმოიარე ვენახივით ჩაიკრიფა, გაზაფხულის ყვავილოვანი მინდორივით გაითიბა, გული შიგნით ჩაბრუნებულმა ცრემლებს შადრევნებმა დაადნო. აღარც შენი თბილი მოკითხვა და სალამი უნდა ვინმეს, ახლა ეკლიანი სიტყვებია მოდაში... ისეთი, ნაჩხვლეტს ერთი კვირის შემდეგ რომ იგრძნობ და არც არასდროს მოგიშუშდება.

დაიხარა ამაყი თავი, ცეცხლოვანი თვალები ჩაქრა, ბაგეები ღიმილს გადაეჩვია, სული — სილაღეს. ახლა წინ მკაცრი, მარადიული მდუმარების ზამთარია და კიდევ — „თავსაფრიანი დედაკაცის“ გზა, გააჩნია, რომელს აირჩევ...



ბაბუა ალუდაურის ფოტოები



ნინო სიხარულიძე

შალტერნატივო

ყველაფერი წყდება ძალზე მარტივად: სველ ტოტებზე მირატრატებს მარტი. მარტს არა აქვს სხვა რამ ალტერნატივა – ცერცეცია, ვერ გახდება ზანტი. ყველაფერი წყდება ძალზე მარტივად: გეტმასნება მოტივტივე მირაჟი, არც შენა გაქვს სხვა რამ ალტერნატივა – ეჭვებს ბეჭდავ ნულოვანი ტირაჟით. ყველაფერი წყდება არცთუ მარტივად: ლურჯი ზეცა ახლა უფრო ბაცია, ზეცას ჰქონდა ბოლო ალტერნატივა – დარჩა, როგორც მინის დეკორაცია. ყველაფერი დასრულდება მარტივად: ლექსის სუფრას მიატოვებს თამადა, ლექსს საერთოდ არ აქვს ალტერნატივა. (რა ხანია, დაუფარდა მაზანდა). ...მარტობს მარტი, მარტობა აგიჟებს, ქარ-წვიმებმა აატირეს კვირტები. ხიდი ითვლის შენს არეულ ნაბიჯებს, კიდევ ნამიც და ქარგაღმა იქნები...

გამაღლობა!

მკითხველს

რითმა გამირბის ურა კვიცივით, თეთრი ლექსები თეთრ ღამეს ვანდე. თქვენ კი ამაზე მხოლოდ იცინით, სვამთ „კაპუჩინოს“ ან „რიო გრანდეს“. ღამე გავლიე, ანდა პირიქით: აღმოდებულმა ღამემ გამლია, მომიხსენიებთ ზოგჯერ ქილიკით, რაიც, უდავოდ, ჩემი ბრალია. მოდით, გამეციხეთ, რომ სიტყვამ მძლია, რომ ვერ დავარქვი სახელი ნაღველს, ჩემს უმწეობას დასცინის წვიმა –

კოკისპირულად მამხელს და მამხელს... წვიმამ დაგასწროთ, მერე კი გარეთ მიხმო წვეთების მწყობრი მარშებით, ჭრელ ქვაფენილზე ერთად ვცეკვავდით, ახლა – ქვაფენილს ერთად ვაშრებთ და ნანვიმარი სიტყვების ტევრში შევდივარ კრძალვით, როგორც მლოცველი, რომ გულით ვიცნო ის – შეუმცდარი, ერთადერთი და დასაკოცნელი სიტყვა – ხსნა, სიტყვა – მაშველი რგოლი და ჩემი თქვენთან შემრიგებელი, სიყვარულისთვის – ღია კარი და მტრობისთვის – ციხე აუღებელი.

რითმა იქროლებს ურა კვიცივით, თეთრ ლექსებს ისევ თეთრ ღამეს ვანდობ, თქვენ ახლა ჩემთან ერთად იცინით? სხვა რალა უნდა ვინატრო, გამაღლობა!

იყო ერთი ორშაბათი

იყო ერთი ორშაბათი და... წვიმდა, წუწუნა და თარსი იყო და მინდა – გავიძრო სხეული, როგორც ძველი წინდა, თავი შევაფარო ორიონს, სირიუსს ან მთვარეს, მე აქ მიუცხოვეს და... გამთვალეს. იყო ერთი ორშაბათი და... ცრიდა, წუწუნა და თარსი იყო და მინდა, სიყვარული ეკლად არ მექცეს, მაღლი კი – მატლად, ძერასავით არ მძიძგნიდეს ბილნი ყოველდღიურობა, ბილნი ობივატელები. ჩემს მზერას უნდა ცი-ცი-ნა-თე-ლე-ბი,

სულ ცოტა მზე და სულ ცოტა შვება, მაგრამ დრო გადის, მაგრამ დრო გადის და ეს კომპარი აღარ მთავრდება. მე ვიცი – მოვა ერთი ორშაბათი, წუწუნა და თარსი, გავიძრობ სხეულს, როგორც ძველ წინდას, მოძულეებულ წინდას და... მორჩება ფარსი.

ოჯახი

მას შემდეგ, რაც ნახვედი, ზეცა უფრო შორია, ჩამოლლილი დღეები დარდისფრად იდალება. ახლა უკვე სიმართლევც უსირცხვილო ჭორია და აღარ მესიზმრება შემოდგომის ბალები. ავად მიღრენს ნოემბრის ბოლიმანი ღრუბელი, ლამისაა, საკუთარ ჩრდილთანაც კი გამყაროს, ღრიანკალობს ამინდი და მეტს ველარ დავიცდი – ერთ ფოთლადაც არ მიღირს ეს ყვითელი სამყარო, არც ეს ჯილა-ქუჩები: ვერცხლისა თუ შავთელის, არც ეს სიზმართოლია, მტკვარს რომ ეფარფატება, მტკვარი მაინც მარდია, ძველი დარდიმანდია, ვიცი, ვიცი, არაფრით რომ არ ელაღატება. მაგრამ ისე შორი ხარ, ცხრა მთას იქით მგონიხარ, სიტყვასავით გამიწყვი, ვერ ამოვთქვი თავიდან – დავალ მზერადაცლილი, მაქილიკებს მაცილი, მიმზერს მთელი ქალაქი ჭორის ჭუჭრუტანიდან და აღარ მესიზმრება შემოდგომის ბალები და თარეშობს, თარეშობს ქარაშოტი თავხედი. შენ აქვე ხარ, კარს მიღმა, გიჭირს კარის გაღება, შენ აქვე ხარ, ჩემ გვერდით, მაგრამ... მაინც ნახვედი.

ვცხოვრობ, რომორც მცხოვრება

ვცხოვრობ ისე, როგორც ჩემი ხორკლიანი ლექსი, ყოველი დღე პირალესილ სამართებელს მოჰგავს. დაუშვალე, მაგრამ ფეთქვა გულს ვერ ავუკრძალე – ისევ ისე განიცდის და ისევ ისე ბორგავს. ამ ქვეყანას ვუმზერ ისე, როგორც მიჭრის თვალი, იმ ქვეყნისა ჯერ სრულიად არაფერი ვიცი. რაც ოდესღაც დავიფიცე, არ გასვლია ყავლი, ლექსი ნულარც გამეკაროს, თუ გავტეხო ფიცი! მავნე ჩვევად გადამექცა დედამინის ტკეპნა, განა ჩემი ნებითა ვარ ნუთისოფლის მგზავრი – ბედის ჩიტი ისე უსტვენს, როგორც თავად ნებას, მე რა მნებას სულის პურად, არ აქვს ამის ჯავრი. ნაფაზიდან ნაფაზამდე იზლაზნება წამი, პროფილიდან ანფასამდე სახეებიც გაცვდა... ეჰ, გრანელო, მეც შენსავით ვნატრობ, მინას გავცდი, მაგრამ ჟამის დადგომამდე აქ მომიწევს დაცდა. აქ მომიწევს, მოღუშულ ლექსს გავუთიო ღამე, ყოველ დღით თითო იმედს დავუხუჭო თვალი – ნეტა, ბედს ვინ გაქცევია – თავად ტატოს მერანს ვარსკვლავეთში ქვენებისას აძვრა, თურმე, ნალი... ზოგს „ბოდიში“, ზოგს – „მადლობა“, ზოგს – უსიტყვო მზერა, რაც გავეცი, ბუმერანგად უკან დამიბრუნდა. ხელისგულზე გადავითვლი ფრთამოტეხილ სიტყვებს – სულ ესაა წლებისაგან მორჩენილი ხურდა. მოგონებებს ბოშასავით ჭრელ ბოლჩაში ვკრავ და გული ისევ ისე ჩივის, ისევ ისე ბორგავს. ვცხოვრობ, როგორც მეცხოვრება ხორკლიანი ლექსით, ყოველი დღე პირალესილ სამართებელს მოჰგავს.

კომპარი

გადაიფიქრა ცამ განვიმება, შაშვმა – გალობა, ქალმა კი – კოცნა და ღამისთვის ყველა რეკორდი დალილმა დარდის დღიურმა მოხსნა. გადაიფიქრა დილა-სისხამზე იასამანმა თვალის გახელა და რა გგონიათ? ამის მიზეზად უგუნებობა დაასახელა. გადაიფიქრა მთვარემ შეკრთომა, ქარმა – ქროლა და სტვენა – თოლიამ და არვინ იცის, სიცოცხლე ახლა უფრო ძნელია თუ იოლია. გადაიფიქრა გონებამ ხსოვნა, გულმა – ტრფიალი, ზარმა კი – რეკვა და გედის ბოლო სიმღერის ფონზე ფოთლებმა იწყეს გრივალთან ცეკვა. უფალო, ნუთუ გულგრილად უმზერ ამ უსასრულო სამყაროს ნგრევას, ევას გარეშე დარჩენილ ადამს და ადამისგან მონყვეტილ ევას?!

P.S. ბოლო აქტია, ჩამოგდა ჟამი, გადაიფიქრა ღმერთმა ღმერთობა და, ბელზებელის პირისპირ მდგარი, მხოლოდ და მხოლოდ მასთან ერთობა.

გაგრძელება

მელოდებოდი, შეიძლება ნერვიულობდი კიდევ, რატომ იგვიანებდა. ალბათ ისიც იფიქრე, რომ ოჯახმა ხელი აღო შენს ძებნაზე. „ნავიდა და ნავიდა, ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!“ ხომ ფიქრობდი ასე? შენს უფროს ძმაზე უკეთ განა ვინ შეიძლება, გიცნობდეს? ახალ დონთან მუშაობ? დონ ლუკასი. ჩვენს ოჯახს მჭიდრო ურთიერთობა აქვს მასთან. როგორც მახსოვს, შენ ვერ იტანდი ასეთ ცხოვრებას, ამიტომაც გარბოდი სულ. მაგრამ უცბათ ლუკასთან დამეგობრდი? არა და არა. მოგებურდა ხეტიალი. ახლა ხომ ხვდები, რომ მართო არც ისეთი მაგარი ხარ, როგორც გეგონა? რომ ყოველთვის გჭირდებოდი, ყოველთვის გჭირდებოდა უფროსი ძმა, რომელიც ყოველთვის ხიფათიდან გამოგაძვრენდა და შენ ისევე თავისუფლად გააგრძელებდი ლალ ცხოვრებას. დამიჯერე, ამის კეთება არ მომეზრებოდა, შენ ისეთი ხარ, როგორც ხარ და საკუთარ ძმაზე თუ არ ვიზრუნე, აბა, ვილაზე ვიზრუნო?

— შენ შენს ძმაზე არ ზრუნავ, შენ შენს სახელსა და საქმეზე ზრუნავ. ჩემი ნარუმატებლობა შენი ნარუმატებლობაა.

— უკვე სამი წელია, ჩვენი ოჯახი გეტყობს! სად აღარ ვიყავით! მთელი ვეროპასა და ამერიკაში სულ სამი ადამიანი ვიპოვეთ, ვინც შენი ამბავი მოგვიყვანა! ყოველი ამბის მოსმენისას ერთი სული მქონდა, ბოლომდე გასულიყვნენ და გამეგო, ცოცხალი იყავი თუ არა!

— ცოცხალი ვარ.

— არა, დიმიტრი. შენ ცოცხლობ, ცოცხალი არ ხარ! ყველას როგორ გმირად მიაჩნიახარ... ადრეც ასე იყო. ნიჭი გაქვს, ნიჭი ხალხის მოტყუებისა და თავის შეყვარების! არაჩვეულებრივი ნიჭი, რომელსაც ტყუილად ფლანგავ! რამდენჯერ მიფიქრია, ახლა დიმიტრის აქ ყოფნა საქმეს ასჯერ უკეთესად წაიყვანდა-მეთქი. მგონი, ვერც კი იაზრებ, რისი გაკეთება შეგეძლო ერთად, რისი მიღწევა! დონ ლუკასი და ჩვენი ოჯახი ერთმანეთს გადაბმულა ჭიანჭველები იქნებოდნენ! მაგრამ კიდევ კარგი, მალევე მიხვდები, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ოცნება იყო. უამრავი ადამიანი შეუწირავს საკუთარ ოცნებებს. არ მინდა, მეც მათ რეგმი მოვხედე. მაგრამ შენი ნასვლიდან ახალი ოცნება გახდა ამოცანა, დიმიტრი. შენი ოცნება. რაზე ოცნებობ შენ? თავისუფლებაზე? ამაზე ოცნებობდი? რადგან ახლა ვხედავ, აღარ მოგწონს. ჩვენი ეზოს გარეთ ცხოვრება არ ყოფილა ადვილი, არა? კარგია, შენი თვალით რომ დაინახე, შენი ყურით რომ გაიგონე. ნუ დაემშვიდობები ამ ცხოვრებას, რადგან უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილია. ჩემი ძმა დიდი ხანია, დაიკარგა და მასზე არავის არაფერი სმენია.

— არის ხალხი, ვისაც ვახსოვარ.

— კი, არიან, შენი ახალი მეგობრები, რომლებიც სულ ერთხელ ნახე და სამუდამოდ მიატოვე. რა თქმა უნდა, შენი მეგობრები... სულელები არიან ყველანი! მცდარი წარმოდგენა აქვთ შენზე. შეიძლება, ისინი გააცურე, მაგრამ მე ვერ მომბატყებ. „ჩვენი დიმიტრი, ჩვენი გმირი, ამოუცნობი და ბრძენი! მამაცი და მოუდრეკელი!“ შენი ფიზიკური სიძლიერე დიდხანს არ დარჩება შენთან, გმირო. ბოლოს და ბოლოს, შენ იყავი, ვინც პოლიცია გამოიძახა ზანკის გატანისას, არა? შეგეშინდა გეტოს ურდოების! შეგეშინდა, რომ არც ფული შეგვდებოდა და შეიძლება, ცოცხალიც არ დაეტოვებინე იმ ხალხს! ვერც მონტი დაგიცავდა და ვერც მისი მოტოციკლი! ამიტომ უნდა გაქცეულიყავი! მაგრამ ფულს თავადაც ვერ დახარჯავდი, რადგან მამინევი გიპოვიდით. ამიტომ ქუჩაში გადაყარე, ხალხს დაურიგე — ნაციონალური გმირი გახდი! მეცინება. ან იმ საწყალ ბიჭს რას ერჩოდ? დარწმუნებული ვარ, რომ ბრაუნვილში ყველა ჩხუბი შენ წამოიწყე. იმ ზანკის ამბის მერე გააფთრებული იყავი, მძაფრმა შეგრძნებებმა დაგიმორჩილეს, როდესაც პოლიცია გეტყობდა და არსად ნაგესვლებოდა. სახლში ვერ დაბრუნდებოდი, რადგან შენს ვერ იტან! ალბათ ყველაზე უბედური ადამიანი ისაა, ვისაც სახლში დაბრუნება არ უნდა, მაგრამ მასზე უბედური ისაა, ვისაც საერთოდ არ აქვს სახლი. ისე ნათლად წარმომიდგენია, როგორ გაუნოდე იმ ბიჭს ხანჯალი და აქეზებდი, მამის გამო შური იძიე, დასციინდი კაცების თვალწინ. მაგრამ ბოლოს მოგებურდა ჩხუბიც და სუფთა ჰაერიც, და იქიდანაც გაიქცევი. მაგრამ გაქცეულს ისევ დაგებრუნდა შიში, ისევ გეტყობს პოლიცია

და ისევ არსად ნაგესვლება! დამიხსოვრე ეს შიში, დიმიტრი, რადგან ესაა ყველაზე ცოცხალი! ყველაზე მწარე! რომ მოულოდნელად დაგიჭერენ ან მოგკლავენ! რომ წამში ამოტრიალდებო შენი ცხოვრება და ეს აზრი თავზარს გცემს! ამ აზრით ვცხოვრობდი მთელი ჩემი ცხოვრება! ამ შიშით! და ამ დროს პატარა ძმა მყავდა მის-ახედი! შენ დაგდევდი უკან, როდესაც ჩემი სიცოცხლე სასწორზე ეკიდა!

დონ ლუკასი დარწმუნებულია, რომ მოკვლას უპირებ. ძალიან ცდები თუ გგონია, რომ მისი თბილი მოპყრობა ნდობასა და მეგობრობას ნიშნავს. მასაც თავისი პარანოია დაემართა, მთელი ცხოვრება მტრები ჰყავდა, ყველა მოიშორა და ახლა მათი გამოგონება დაიწყო. სამწუხაროა, დიდხანს ვერ გაძლებს ასე.

ყველაზე ჭკვიანური, რაც კი ოდესმე გაგიკეთებია, სწორედ ეს გაქცევა იყო. ბევრი გეტყობდა, მაგრამ ვერ გიპოვეთ. ჰოდა,

მირიან რჩეულიშვილი

ასობით მილი და შორს

გადავწყვიტეთ, რომ აღარ გავგეგმოდებოდა. შენ ხიდი სამუდამოდ ჩაანგრე და რა ცხოვრებითაც ცხოვრობდი ბოლო რამდენიმე წელი, ისევე ის ცხოვრება უნდა გააგრძელო.

გაიქეცი, დიმიტრი, გაიქეცი!

დიმიტრი

— გთხოვთ, დიმიტრი დამიძახოთ, არ მიყვარს, როდესაც გვართი მომმართავენ. — კი ბატონო, გთხოვთ, დაბრძანდით, ბატონო დიმიტრი. თავს კომფორტულად გრძნობთ?

— არა, საშინელი სკამია, კაცს გააგიჟებს.

— იუმორი ყველაზე კარგი ნამალია. თქვენი საქმე, ნომერი 47, ხელში მიჭირავს. თქვენ ჩვენს კლინიკაში მოხვდით, რადგან ოთხი თვის წინ საკუთარი ძმა სცემით მისივე პენტჰაუსის სახურავზე.

— მაღლობთ შესხენებისთვის, უკვე მომეშვა.

— მინდა, გითხრათ, ძალიან გაგიმართლათ, ასეთი ძმა რომ გყავთ. სწორედ მან მოახერხა თქვენი ციხიდან დახსნა და ფსიქიატრიულში მოთავსება.

— არაფერი მოუხერხებია, მან ჩემს მაგივრად გააკეთა არჩევანი: ციხე თუ აქაურობა.

— შეიძლება, ასეც ითქვას, თქვენი ძმა გავლენიანი ადამიანია. გვეყო მასზე, თქვენ დღეს აქ სხვა რამისთვის ბრძანდებით. დარწმუნებული ხართ, რომ შეგიძლიათ საზოგადოებაში დაბრუნდეთ და ნორმალური ცხოვრებით იცხოვროთ? მიუხედავად თქვენი წარსულისა, თქვენ ამტკიცებთ, რომ დახმარება არ გჭირდებათ?

— არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. ჯერ ამას ვიტყვი — დახმარება ნამდვილად არ მჭირდება, რაზეც ალბათ მიპასუხებთ, რომ დახმარება შეიძლება, ნებისმიერს დასჭირდეს, მაგრამ მე მტკიცედ ვდგავარ ჩემსაზე. მე ბევრს დახმარებია და ბევრიც დამხმარებია. ჩემი თავი ყოველსავე ძლიერ არ მიმჩნია, მაგრამ არის შემთხვევები თუ მოვლენები, რომელსაც ადამიანი თავად უნდა გაუმკლავდეს. ეს ერთი, და მეორე — ნორმალური ცხოვრება? ეს სიტყვები ჩემთვის უმნიშვნელოა. მე არ ვარ ნორმალური, არც ვიქნები ნორმალური, არც მინდა, ვიყო ნორმალური. თქვენსავე თუ ყოველ დღით გავიღვიძო, ტელევიზორი ჩავერთო, მოვიმინინო, თუ როგორ მენგრევა ქვეყანა თავზე, ნავიდე სამსახურში — რაც ყოველდღიურ ჩვევადაა გადაქცეული, დავბრუნდე სახლში, ისევ ვუყურო ტელევიზორს და დავიძინო? კი, თქვენ ამ ცხოვრებას ნორმალურს ეძახით და სხვა ფაქტებსაც დაასახელებთ, რომ გყავთ მეგობრები, თვეში ერთხელ ბარბიკიუს აწყობთ, ან სათევზაოდ გადიხართ. თქვენ ყველანი ცხოვრობთ ერთნაირად, და თუ განსხვავდებით, განსხვავდებით ერთნაირად. ამას ნორმალურს ეძახით. მე თქვენ არ გაკრიტიკებთ, ეს თქვენი არჩევანია. მაგრამ მე სხვა ცხოვრებით ვიცხოვრე, გესმით? თუ არ გესმით, ჩემს საქმეში მაინც უნდა ნაგეიკობათ. თქვენ ოდესმე ადამიანი სიკვდილამდე გიკვამით?

— არა, ეს რა შეკითხვაა?

— თქვენ ოდესმე მოგიპარავთ? მოგიპარავთ ის, რაც მართლა მნიშვნელოვანი იყო?

— არა. მისმინეთ, შეკითხვებზე აქ თქვენ სცემთ პასუხებს.

— თქვენ ოდესმე წლობით გაურკვეველი მიმართულებებით გივლიათ?

— არა!

— აბა, როგორ მელაპარაკებით მე ნორმალურობაზე? თქვენ არ ყოფილხართ, სადაც მე ვიყავი, არ გაგივლიათ ის, რაც მე გავიარე. თქვენ არ ხართ ჩემნაირი და მე არ ვარ თქვენნაირი. თქვენ არასოდეს არაფერი, გვრეთ ნოდებულები, „არანორმალური“ არ გაგიკეთებიათ. თქვენ მხოლოდ ლიტერატურა გაქვთ წაკითხული, თუ რა ხდება მენტალურად აშლილი ადამიანის გონებაში, როდესაც ის ეიფორიაშია. ნეირონებისა და სინაპსების მოქმედება, ქვეცნობიერისა და ზეცნობიერის კავშირი და კიდევ ათასი რამ... მაგრამ თქვენ ეს არ გამოგიცდიათ. არადა, ეს ყოველ ჩვენგანშია, გამბედაობაა საჭირო. მე ნორმალური ცხოვრებით ვერ ვიცხოვრებ, რადგან მე არ ვარ ნორმალური. და ეს აზრი

არ მთრგუნავს, პირიქით მაძლიერებს. „კარლოს გიჟი ძმა ისევე ხიფათშია...“ ეს და მსგავსი ფრაზები წლების განმავლობაში ჩამესმოდა და მეგონა, ამას გავუგოდი. საკუთარ თავს არ უნდა გაეჭვო, არც უნდა ებრძოლო, რადგან ნააგებ. როდესაც ვინმე ჩემს სახელს არასწორად ახსენებს, ვხვდები, რომ მათი ყბა ცუდადაა დაკავშირებული გონებასთან. მე მთელი ცხოვრება ჩემს ადგილს ვეძებდი და ვერ ვიპოვე, მთელი ცხოვრება ჩემს მეგობრებს ვეძებდი და, თქვენგან განსხვავებით, ვერ ვიპოვე. ეს აზრი მაშინებდა და ფიქრობდი, რომ გავრბოდი, მაგრამ ეს ასე არაა. მე, უბრალოდ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდივდი, რადგან გასაქცევი არსადაა, რადგან მოჩვენებების გარდა არც არაფერი მომდევდა. წარსული სულ ერთია, მომავალი ბუნდოვანი, მე ვარ ადამიანი, რომელიც დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობს და სიკვდილისაც არ ეშინია. ჩემ ძმას ეშინოდა სიკვდილის, ო, ძალიან ეშინოდა, მაგრამ მაინც რისკავდა საკუთარი მიზნების გამო. მას არ შეეძლო ცხოვრება უამისოდ. ყოველთვის თავისი უნდა გაეტანა, თორემ ცხოვრება აზრს კარგავდა. სიკვდილის არ უნდა გემიოდეს, ადამიანის უნდა გემიოდეს, მოტივირებული ადამიანის. ეს აქ რასაც მინდა, იმას ვიტყვი, ოთხი თვე ჩემი ნებით გავატარე აქ და როდესაც საჭიროდ ჩავთვლი, მაშინ გავალ. გავალ და გავუყვები გზას, რომელიც არაფერს მპირდება. ეს მე ვარ ასეთი, არ მემინია საკუთარი თავის, არ მემინია ჩემი ქვეცნობიერა, არ მინევეს რაღაც აზრების დათრგუნვა. თქვენ უამრავი აზრი გივლევთ გონებაში, რომელთაც არათუ არ ამბობთ, არამედ საკუთარ თავსაც კი არ უშხელთ, რადგან სასწრაფო კვებითა და ეძლევი — როგორ შეიძლება, ასეთი რამის გაფიქრება? მე არ მაქვს მსგავსი პრობლემები. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ თავი ყველაზე კეთილ ადამიანად მიმაჩნია. უბრალოდ, ვიცი, რომ მე ბოროტი საქმის ჩამდენი არ ვარ, ჩემს ბუნებაში არ ზის. დიახ, მე შემიძლია საზოგადოებაში დაბრუნება და არანაირ საფრთხეს არ წარმოვადგენ. ბრაზთან ვერ გამკლავება ჯერ-ჯერობით საკმარისი მიზეზი არაა, რომ ადამიანი საეჭიეთში გამოამწყვდიონ. მე არ მაქვს ილიაკი, რომ დავაჭირო და ემოციები გამოვროთო. ჩემი ცხოვრების ფილოსოფია ბევრად განსხვავდება თქვენისგან, რადგან ჩემს თვალწინ უამრავმა ხალხმა გაიარა, უამრავიც დაიხოცა. ვცდილობდი, ამასაც გაეჭვოდი.

— ახლა აღარ გარბიხართ?

— არანაირად. ამ ყველაფერმა ჩამომავალი ისეთად, როგორც ვარ. მომეწონა მოგზაურობა. როგორც უკვე ვთქვი, ჩემი ადგილი ვერ ვიპოვე და ამიტომაც გადავწყვიტე, მთელი ქვეყანა ჩემი იყოს. ამ ქალაქსაც უკან მოვიტოვებ და მისგან მხოლოდ აჩრდილი დარჩება. არ ვიცი, იქნებ მოვხვდე კიდევ იმ მხარეში, სადაც თავს შინ ვიგრძნობ. და იქნებ „ნორმალურად“ დავიწყო ცხოვრება. ჰმ, „ნორმალური“, მოხუცი კაცი ბრძანდებით, ამ საქმეში დაბრუნდით ალბათ, ასეთი სიტყვების ხმარება არ შეგეფერებათ. განა, ეს ნორმალურია?

— მინდოდა, თქვენთვის გასაგები ყოფილიყო.

— იმედია, მეც გასაგებად ვისაუბრე.

— როგორ ფიქრობთ, რამდენი ხანი დაგჭირდებათ სრული სულიერი სტაბილურობის მისაღწევად?

— რამდენი ხანი?... ცოტა.

— შეგიძლიათ, ხვალვე ნახვიდეთ.

ჯოელი, ქალაქი

რას დაყუდებულხარ? წამოდი... წამოდი მანქანაში. ვაჰ, რა კარგი ამინდია, ზაფხულია, ამაღამ არაჩვეულებრივი ცა იქნება. ორიონი და ისინი რომ დაეწყობიან, კარი ფრთხილად დახურე. ხომ იცი, როგორ მიყვარს ჩემი მეშვიდე ეშმაკი? ოჰ, ეს ახლები, რა... რას შემომყურებ გამოშტერებული? ხო, რომ მოვდიოდით, ვერ ვიყავი ხასიათზე, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. ჭორებს ბოლო მოეღო, ბოსის ძმა მკვდარია, ამდენი წელი გადაკარგული იყო და ახლა მკვდარი იპოვეს. რა ტრაგედიაა ოჯახისთვის, არა? ფუ, მათი! შენ დიმიტრი არ იცი!

მე და დიმიტრი ახლო მეგობრები ვიყავით. ყოველთვის მეშვიდე სერიის „ბემევეით“ კი არ მივლია. მთელი ზაფხობა ერთი ნითელი ქურთუკი მქონდა, ბუმბულს ბალიშით იყრევინებოდა. დედა კი ძალიან მიყვარდა, მაგრამ წამალზე იჯდა. ზამთარში კარდონის ნაგლეჯი ჩემთვის ციგა იყო. დიმიტრიმ პირველმა მომიშინა, რომ ყველაფერი შემიცვალა. მართლაც ბევრი შეიცვალა, მაგრამ ბევრიც იგივე დარჩა. კეტები ცერა თითებზე ყოველთვის გახეული მქონდა, ახლა კი სულ ფეხშიშველი დავდივარ სანაპიროზე. დახმარების ცენტრში ცარიელი მეცლის მაგივრად უკვე სავსე ვაჭრით მივდივარ, რომ სხვების ულუფა გავავსო. ნაგავში ვიყავი და, თქვენი დედაც, ახლაც ნაგავით ვარ გარემოცული. მაგრამ ეპიდემია მაქვს, გავთავისუფლდი. გავცემ, რამდენსაც მინდა და ავიღებ, რამდენსაც მინდა. არადა, მე არაფრიდან მოვდივარ, არაფრიდან. გაინტერესებს, ჩემს ადგილას როგორ მოხვდებ? ჰა-ჰა! რა თქმა უნდა, გაინტერესებს. მთელი ცხოვრება უნდა მიუძღვნა შენს საქმეს, მთელი გული და სული. და რაც მეტს აკეთებ, უფრო მეტი ჩნდება გასაკეთებელი. შეუპოვრად იქნე ხბალი და ნუ ელოდები, რომ თავები აღარ გაიზრდება. იცოდე, რომ დრაკონი არ მოკვდება და მკვდარი დრაკონიც არაფერი სარგებელია. ასეთი ჩაკეტილი ღვარძლიანი წრეა ეს ცხოვრება.

დიმიტრი ქუჩაში გავიცანი, დავმეგობრდით და ნარკოტიკებს მაძლევდა, რომ გამეყიდა. არ ვიცი, თავად საიდან მოჰქონდა. მოგვიანებით გავიგე, რა ოჯახის შვილიც ყოფილა. ცოტა ხანში ჩვენი ბანდა შევეკარით, მე და დიმიტრი ვარბენინებდით სხვებს გასაყიდად, კი ფულს ვაკეთებდით. მისთვის რომ ესროლათ, დაუფიქრებლად გადავეფარებოდი. თანაც, ყოველ მეორე დღეს ხათბალაში ვიყავით. ჩვენს ბიჭებს ხან ვინ დაიჭერდა, ხან ვინ... ზოგის გამოხსნას ვახერხებდით, ზოგისას — ვერა. კარლო ხშირად აკითხავდა ხოლმე დიმიტრის. მე და დიმიტრი უკვე კაი ხნის მეგობრები ვიყავით, როცა კარლო პირადად გავიცანი, მაგრამ რაც მას დავუშეგობრდი, დიმიტრის გამოხედავა სიძულვილით გაივსო და შეხება ყინულივით გაცივდა. კარლომ თავისთან წამიყვანა, თავის საქმეებზე მამუშავებდა. დიმიტრის ეს არ მოეწონა. არადა, ჯერ სულ ბავშვები ვიყავით. თუ სადმე შემხვდებოდა, აღარ მელაპარაკებოდა და შემიღებ გაქრა და გაქრა, დაიკარგა. და მერე ცოტა გავაფრინე, ეჭვებით ავივსე, ვერ გამეგო, ვინ იყო ჩემი მეგობარი და ვინ არა. სიარულისას უკან უფრო მეტს ვიხედებოდი, ვიდრე წინ. შევიზღუდე თავი — არც ქალი, არც გართობა, არაფერი. ვინცა ფულზე ფიქრობდა და გული მომავალზე. ამასობაში ბევრიც ვისწავლე. გავიდა წლები, წინდანი წავედი. ახლა უკვე დიდი გავლენა მაქვს ქალაქში, ჩემი ეშინიათ, პატივს რამდენად მცემენ, არ ვიცი, მაგრამ დიმიტრისა დღემდე ვერაფერი გამიგია, თითქოს ამისკენ მოვდიოდით ორივე, სად გადაუხვია და არ უნდოდა, არ მესმის. ძმებთან ვიყავით, ერთად დავდიოდით, ერთად ვმუშაობდით. მე მგონი, სწორედ ამაზე განაწყენდა. ვერ მივუხვდი, გულში რა ედო. მას ყველაფერი ჰქონდა, მე კი არაფერი და ჩვენი ბავშვობა მაინც ძალიან ჰგავდა ერთმანეთისას. მაგრამ ჩემი მიზანი სწორედ დღევანდელი დედა. მთელი ცხოვრება ამისკენ მოვდიოდი. მე იმ ფენაში ვიყავი, რომლებსაც დასახოცად აგზავნიან, ახლა კი პირიქით,

მე ვაგზავნი ხალხს. რა იყო, გგონია, ჩემი ბავშვობის მეგობრის სიკვდილი მიხარია? არა, არა. მთავარი ახლა ჩვენი საქმეა, კარლომ ახალი დავალება მომცა. ლუკასია მოსაშორებელი. ოო, თითქმის დამავინყდა ეგ ტიპი. მაგასთან პირადი ანგარიშიც მაქვს გასასწორებელი, ამიტომ სხვას არავის ვანდობ. მე ვალს ყოველთვის ვაბრუნებ, მითუმეტეს, ტყვიები თუ მმართველს. ახლა რესტორანში მივალთ, იქ ვახშობს დონ ლუკასი. გეგმა ძალიან მარტივია: მე ბართან დავდგები, შენ გარეთ იქნები. დარეკე ბარში და ბარმენს უთხარი, რომ სასწრაფოდ დონ ლუკასთან გასურს დალაპარაკება. როგორც კი ტელეფონთან მოვა, გამოვასალმებ სიცოცხლეს.

ყველაფერმა ჯოელის გეგმით ჩაიარა. ლუკასი ტელეფონთან მივიდა და მაშინვე იგრძნო, როგორ შეეხო ჯოელის პისტოლეთი მის კოსტუმს.

— გავიგე, დიმიტრი მომკვდარა. როგორაა კარლო?

— შენს მერე დგას რიგში, ნაბიჭვარს თავისი ძმა ველარ უცნია.

— მეც მომკლავ და კარლოსაც?... ჩვენ ვმართავთ ამ ქალაქს, ჩვენ ვართ ძალაუფლება! შენ მხოლოდ შენი ინტერესები გამოძრავებს. წარმოიდგინე, რა ქაოსი იქნება ქალაქში!

— თქვენს დამყარებულ წესრიგს ჩემი ქაოსი მირჩევნია.

ულალი ძალი, ქალაქი

როგორ არ მახსოვს, მახსოვს დიმიტრი თავის სქელ მეგობართან ერთად. მე რომ ვნახე, იქნებოდა ასე ოცი წლის, ჯერ ღლაპები იყვნენ. ამ მლაშე ქალაქში აღმა-დაღმა დარბოდნენ ეგ და თავისი ბანდა.

ერთადერთი, რაც აქ მაჩერებდა, იყო ზღვა და სუსხიანი ამინდი, რაც ალბათ ყველა ზღვისპირა ქალაქს ახასიათებს. მე ზღვაზე დავიბადე და ძვლებიც მის მჭახე ტალღებში მაქვს ჩასვენებული. სხვებისგან განსხვავებით, ჩემს ზღვას, მუდამ აღელვებულსა და ადიდებულს, ყოველთვის უხვად აწვიმდა. ხარბად იტაცებდა ციდან მომავალ წვეთებს და შემდეგ ერთიანად ადიდდებოდა ხოლმე, ერთმანეთის მიყოლებით ისროდა ზვირთებს ხმელეთისაკენ. თითქოს ერთი მონარცხებაც და ისევ თან წამიღებდა ნაპირზე გამორიყულს. ერთი მონარცხებაც და დატბორავდა ქალაქს. ერთი მონარცხებაც და დაგვნიტავდა ორივეს. შუქურასთან ჩამომჯდარი ხმორად ვტკბებოდი ამ სენსაციებით. სანაპირო იყო ჩემი ადგილი. თუ საქმე ჰქონდათ, იქ მაჩიებდნენ.

მაშინ უფრო ახალგაზრდას ხშირი ნითელი თმა მქონდა. ოკეანიდან მონაბერ ქარს უყვარდა ჩემთან თამაში. სახელოებში შემომერებოდა, აუყვებოდა იდაყვებს, მკლავებს და საყელოდან ამოფრქვეული თამბი ბოროტობდა. ვენბა სისხლს მიდუღებდა და მხრწოლაკი კოცონით მენთო გულში, მაგრამ ახლა უკვე დავიღალე ჩემი გზაბნეული ცხოვრებით.

გასაქცევად და კვალის ასაბნეევად ყოველთვის ვიწრო ჩიხებს მივმართავდი. ვერასდროს მპოულობდნენ, ან რას მიპოვებდნენ, გადარეულივით გავქანდებოდი ხოლმე და მთელი სისწრაფით მივუყვებოდი ვიწრო შესახვევებს. წვიმა კვალს რეცხავდა, ნისლი გამოსახულებას მალავდა, ნათლები გზას მიჩვენებდნენ და სინათლეზე სანაპირო მელოდა. სინათლე შუქურისა იყო, მზე იშვიათად თუ მოავლებდა ქალაქს სხივებს. შუქურასთან მისული კი სამშვიდობოს ვიყავი. ეს ადგილი ჩემი ტერიტორიაა და აქ ხელშეუხებელი ვარ.

ასე გავრბოდი ერთხელაც. წვიმის მსხვილი წვეთები საღამოს ჩამონოვლილ ნისლს ფანტავდნენ. ბილიკთა გზაჯვარედინზე გადავეყარე მკვდარ ბიჭს. სანაპირო უკვე ახლოს იყო. შევედექი. მივუახლოვდი. ზურგზე ნატყვიარები ჰქონდა. მივჩხრიკე მოვჩხრიკე და ნარკოტიკები ვუპოვე. მივხვდი, რაც მოხდა. სანაპიროსკენ გამავალ გზამდე, ქვით ნაშენ თალში შევჩერდი, სიგარეტს მოვუკიდე. ცოტა შევისვენე, მაინც სამშვიდობოს ვიყავი უკვე. შემალღებულად უკეთ ჩანდა ჰორიზონტის ხაზი, ღრუბლად ქცეული ნაცრისა და უკუნი ზღვის შერწყმამ გამიტაცა.

ცოტა ხანში ფეხის ხმა გავიგე. მორბიან. ქვაფენილმა და გუბებმა განგაში ატეხეს. მაგრამ არ შემშინებია. უკვე ჩემს სახლთან ვიყავი. საქმე იმას ექნებოდა გასაქცევად, ვისაც სამიზნეში ამოვიღებდი. პისტო-

ლეთი მოვიმარჯვე, ჩავიმუხხე, ღრმად ჩავისუნთქე და სიგარეტს კბილები დავაჭყდე. რაც უფრო მატულობდა ფეხის ხმა, მით უფრო შესამჩნევი იყო მორბენალის მერყევი ბუნება და დაბნეულობა. მსუბუქმა და უსწორმასწორო ნაბიჯებმა თავიარაინი პატრონები გაყიდეს. მივხვდი, რომ მკვდარს მეგობრებმა მოაკითხეს, ავდექი და სიგარეტი მეტად ავაბოლე. ბიჭებიც შემოცვივდნენ. დიმიტრის სახე დაკანროდა, სველი თმიდან ჩასისხლიანებულ თვლებს აბრაილებდა. ჯოელი ქოშინით მოდევდა უკან, ისიც მთლად გალუმიპული. ჩემს დანახვაზე შედგნენ. ჯოელმა დაინახა, რომ ხელში იარაღი მეჭირა და გაოგნებულმა დამიყვირა:

— შენ მოკალი?!

დიმიტრიმ მეგობარს მხარზე ხელი დაადო და ხმადაბლა გადაულაპარაკა: „ულალ ძალი ჩვენ ბიჭებთან არაფერი ესაქმება.“ მე იარაღი შევიწახე. ჯოელი ვერ წყნარდებოდა, ისევ ჩემკენ გამოიხედა:

— რალას დაყუდებულხარ? გაიარე, რა! საქმე არ გაქვს?

გამელიმა. ამ სვენიტო მოვიხიბლე. არ ვაპირებდი წასვლას. გაგებული მქონდა ამ ბიჭების შესახებ და ვიცოდი, რა საქმეებსაც ატრიალებდნენ. არ გამოსდიოდათ, ან როგორ გამოუვიდოდათ, ქალაქი ისედაც სავსე იყო სიბინძურითა და ნაძირლებით. მკვდარს ისე დაპყურებდნენ, თითქოს სამყარო ჩამონგრეოდეთ თავზე. სიგარეტი გადავაგდე და გავძახე:

— რაო, ბიჭებო, პირველად ხედავთ მკვდარს?

ჯოელი ნატყვიარებს ათვალეიერებდა და დასისხლიანებულ ზურგს ძლივს მოაშორა თვალი.

— ეს ვილაც მკვდარი არაა, ჩვენი მეგობარი იყო!

— ჰოდა, აღარაა. მორჩა. ასე აპირებთ თქვენ აქ ცხოვრებას? არ გავა ორი დღე და თქვენი ეგდებით თქვენი მეგობრის ადგილას.

დიმიტრი ჩემკენ წამოვიდა, მოახლოვება ვერ გაბედა. თალში დროდადრო შუქურის სინათლე იჭრებოდა, თავად ბნელში დადგა. მომამტერდა და სიტყვები ავად გადმომიგდო:

— ულალი ძალისაგან არაფერი გვესწავლება.

— ცდები. გატყობთ, საქმე პირიქითაა. ნარკოტიკი და მსგავსი სიბინძურე გაჩერის დღიდან არ მომშორებია. თქვენზე მეტი გამეგება მაგ საქმისა და რადგანაც დღეს კარგ ხასიათზე ვარ, მომიხმინე, იქნებ რამე ისწავლო. ასე ადვილი რომ ყოფილიყო, შენ და შენი სქელი მეგობარი კი ვერ დამასწავლებდით. მოგიგოვებთათ ბატები და დარბიხართ ქათმებზე! მე ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე. მეც ისეთივე ბინძური და დამპალი ვარ, როგორც სხვები. მიხახავს თქვენნაირი ბიჭების დაბადება, ცხოვრება, აღზრდა და სიკვდილიც. მთელი ბავშვობა ვიჯექი და ვუყურებდი, მაგრამ დამიჯერე, სათქმელიც ბევრი მქონდა. ახლა, უკვე დიდი ხანია, სული ტალღებს მივყიდე. შენზე უმცროსი ვიქნებოდი, როცა უღალ ძალს მეძახდნენ. მახრჩობელა გველვით ვაცლიდი ხალხს ხელად სიცოცხლეს. მართალია, პირველად შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ ჩანს, მიცნობ. ალბათ ბევრი ამბობს, ძალზე მაგრები ვართო, არა? მაგათ ძალღურ ცხოვრებას რა ვუთხარი. არასოდეს სახე არ დამიფარავს, არაფერი ჩამომიფხატავს თვალეზე. თუ იმდენს ბედავ, რომ კაცი მოკლა, კაცობაც გეყოს და სახე დაანახე. გამოიჩინე სიმამაცე, რომ შენი დამპალი სიფათი იყოს უკანასკნელი, რასაც დაინახავს. უნდა ჩახედო ფართო გუგებში და მათში ჩალვრილ ბოროტებას, ტყუილს, ყალბობას და სიძულვილს. ანდაც პირიქით, იცოდე, რომ შენი მსხვერპლი გულკეთილი და უბრალო ადამიანია, რომელიც გარემოებებმა იმსხვერპლა, ხოლო ბოროტი და ნაძირალა თავად ხარ.

და ვინც ასე არ იქცევა, იმასთან საქმის დაჭერას არ გირჩევ, იმიტომ, რომ ასეთი ადამიანი მხდალი და ლაჩარია. ისინი უვარგისად დადიან ქვეყანაზე და უმჯობესია, არსად გადამეყარონ. დემერტმა ძალაუფლება ძლიერებს ტყუილად კი არ მინიჭა. მარტივად გეტყობ: თუ ამ ქალაქში აპირებთ ტრიალს, ფრთხილად იყავით, მე სხვაში არ შეგეშალოთ! კარგად შეუშვით თქვენს გაუკუღმართებულ თავებში, რომ სხვა მეტალისგან ვარ ჩამოსხმული. თუ ერთხელ ცოცხალი გავუშვი ვილაც, იმას კი არ ნიშნავს, თითქოს შემშინებოდეს!

ყეფას ყეფითვე ვპასუხობ, ძალსაც ამიტომ მეძახიან. აკვნიდან მოყოლებული მტაცებელი ვიყავი და საფლავამდე ასე იქნება. ეი, დიმიტრი! შესწავით ბამბებში კი არ გავზრდილვარ. ერთ საღამოს გამოსულხარ გარეთ და უკვე ჩამოგიყვია მხრები. ბებიას დედას ვეძახდი, იმიტომ, რომ სანამ გონზე მოვიდოდი, დედა უკვე მკვდარი იყო. მამა თვალთ არ მიხახავს და, მგონი, ჯობდა, საერთოდ ტურებს გავეზარდე. ობოლს მეძახდნენ და ვერავინ მეკარებოდა. მე არც მამაჩემის შვილი ვყოფილვარ და არც მამამისის შვილიშვილი. მე დაბადებიდან ჩემი ჯიშისა ვიყავი... ეი, ჯოელ! რა არის ეგ? ცრემლს ვხედავ შენს თვალებზე? რას შეშინებულხარ, ნეტავ? სიკვდილი მაინც არ აგვცდება არავის!.. პირველ მკვლელობას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და მესამეს მეოთხე. იარაღების ნაირსახეობით ხალხს ნაირ-ნაირ ფრთებს ვურიგებდი. ისე კი, არა მგონია, რომელიმე მათგანს სამოთხემდე მიეღწიოს. მართალი ვითხრა, მომწონს კიდეც შენი საქციელი, რომ ოჯახს გაექეცი. შენც ნაძირლების გზა ავირჩევია და იცოდე, სხვა გზას არ დავიტოვებ, ან ჩემნაირი უნდა იყო, ან უარესი. ნაძირლები-მეთქი, ეს სხვების ნათქვამს ვიმეორებ, თორემ ჩვენნაირი ხალხიც საჭიროა. ადვილი არაა იმის კეთება, რისთვისაც ჩვენ გადავვიდით თავი. მაგრამ თავი გმირი ნუ გეგონება, არც ცხოვრებამ ავგარჩია ამ გზისთვის და არც ჩვენ გავიკეთებთ არჩევანი, ჩვენც მშობრები და ლარები ვართ და უბრალოდ სხვანაირად არ შეგვიძლია. ამ სამყაროს სხვანაირად ვერ მოვერგებ. ჩვენ უნდა გვერდობოდეს ყველა და ჩვენი უნდა ემინოდეთ, ჩვენნაირობა არ უნდოდეთ და ჩვენი დანახვა ანუხებდეთ. ამ ქალაქის ობლები ვართ და ობლებად უნდა დავრჩეთ. ქეციანი ძალღებოვით დავრბივართ ამ გაუფალ ჩიხებში და ჩვენნაირებს დავეძებთ. ბნელი შესახვევები ჩვენი თავშესაფარია და ჭექა-ქუხილი ჩვენი მეგობარი. ყოველ ღამე მუხლებზე დაემხე და ღმერთს ეხვეწე, რომ შენი დამპალი სული ჯოჯოხეთში არ ჩაუძახოს!

დიმიტრი არც განძრეულა, არც შეტოკებულა, გაშეშებული მისმენდა. ჯოელი კი მას მიმტერებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის გაცელებოდნენ იქაურობას.

— ნადით, ყილეტები მაინც იშოვნეთ, თორემ თქვენნაირები აქ გასართობად ცხრილავენ. არადა, ერთი განახათ, როგორ დანიოკდებიან ხოლმე ჩემი იარაღის დანახვაზე. მეძახონ გიჟი და უმეცარი, ავადმყოფი და შემლილი, მე ჩემს სამიზნეს არასდროს ვაცდენ და მერე ვკრები, — წინ ნავისევი, დიმიტრის მივუახლოვდი, ხელები საყელოში ჩაჭყვდი. მისი ჩანთიღებულ თვალები არ მანებებდნენ გაჩუმებას:

— არ უღალატო შენს საქმეს და არც არასდროს გაჩერდე! ნურც პოლიციის შეგეშინდება და ნურც ამ ნაყარნუყარი ბანდებისა! სიკვდილისთვისაც მზად ვიყავი! შემომხედე თვალებში! მიყურე და მითხარი, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი სულერთია შენთვის! ახლა რომ გესროლო, როგორ ფიქრობ, სადამდე გეყოფა ფრთები? მიაღწევ სამოთხის კარამდე? თუ შენი სულიც, სხვებივით, ამ თალს ვერ ასცდება?! ჩემთვის არაფერია შენი მოკვლა, დაგხვრეტდი და გადაგიძახებდი ზღვაში! გავათავისუფლებდი შენს სულს ამ აცახცახებული სხეულისგან და შენს გულს შენი მომავლისგან! ოდესმე გამოგიკარავს ჩახახი? ხალხის ხოცვა არაჩვეულებრივი შეგრძნებაა! განა, შენ მზად ხარ, რომ მას გაუმკლავდე?! თავი ყოვლისშემძლე გგონია, არადა, ადამიანი ყველაზე სუსტი მაშინაა, როცა თავი უძლეველი ჰგონია! ცხოვრებაში მტრები პირისპირ კი არ გხვდებიან, გვერდით გიდგანან! შენს მოშორებას რომ დააპირებენ, ძირს დაცემული მოახერხებ, რომ ისინიც თან წაიყულო?! ჰა?! ენა ჩაგივარდა?! შენ გგონია, მზად ხარ ამ სამყაროსთვის?! გინდა, რომ გადაეშვა კომმარში, რომლისგანაც ვეღარასდროს დადგანან! როგორ დახვდები უკულმა დატრიალებულ ბედის ბორბალს?! ტყვიების სროლა ბუმერანგის სროლას ჰგავს, ყოველთვის უკან ბრუნდებიან ხოლმე! არ გავა ცოტა ხანი და შენც ზუსტად ისეთივე იქნები, როგორიც შენი მეტაბრის მკვლელები არიან. იმ ადამიანთა ტყავში ამოყოფ თავს, ვინც ასე გძულთ ახლა ორივეს. ეს გარდაუვალია! რა გგონია, რატომაა ეს ქალაქი ასე უხეში და ჩამოყანგული? ჩვენ ვაქციეთ ასეთად. მშვენიერი ნუთუბია, რომ კარგად



დაფიქრედ და სამომავლო გეგმები შეცვალო. ჯერ კიდევ არ არის გვიან. სინდისი ძალიან ბევრ შეკითხვებს დაგისვამს და არ მოგასვენებს, რა პასუხები გაქვს მომზადებული? რით გაიმართლებ თავს საკუთარ თავთან?! სროლის ხმები მარტო ჩახმახის გამოკვრისას კი არ გვესმის. ისინი მუდამ ჩვენთან არიან, შეგუბებული ყურები არ წყნარდებიან, პირიქით, ბარბანის სულ უფრო და უფრო გამალებით სცემს. თავიდან განუხებს ეს ხმა, შემდეგ განამებს, გინდა მოიშორო, გინდა დაისვენო. მაგრამ მერე ეჩვევი და მხოლოდ მის გაგონებაზე გრძნობ თავს წყნარად. ჩემი სიტყვები ჭრილობაზე დაყრილი მარილივითაა, ფხიზლად დაგანახებენ, თუ რა ჩიხისკენ გადამოგიხვევია! ამ კაზინოში ფსონი ერთია და ის ყველაფერს მოიცავს! მზად ხარ, სასწრაფო შეაგლო შენი ცხოვრება? და არა მარტო შენი, შენი ძმისაც, აგერ შენი ძმაცაცისაც, შენი შეყვარებულისაც! მათი ცხოვრება სიმბოლოდ გადაიქცევა, მხოლოდ იმის მაუწყებელი, რომ შენ ეს ყველაფერი გქონდა და მათი დაფასება მხოლოდ მათი დაკარგვის შემდეგ შექმელი. შენი დროც მოვა მერე, ყველას დრო მოვა. ჩვენ ჩვენი სიკვდილით კი არა ვკვდებით, ჩვენნაირებივე გვჟღერებენ. მე შენი მომავლის არჩილი ვარ და გუბუნები, რა მოხდება ხვალ. გამცემ პასუხს? რა მოგაქვს შენ ჩვენს სამყაროში? რას გეტყვი ახალს? — შევანჯღრიე და ხელი გავუშვი. განზე გადავა. მისი დაჟინებული მზერა გაიბზარა. გამელიმა. ნელში გავიმართე, სახიდან წვიმის წვეთები ხელით ჩამოვიწმინდე და სანამ სანაპიროს გზას ჩავუყვებოდი უთხარა:

— იფიქრე, დიმიტრი, იფიქრე... ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა: მგრძობიარე ხალხისთვის სამყარო ტრაგედიაა, მოაზროვნეებისთვის კი — სანახაობა!

ასე არხეინად ვაპირებდი სანაპირომდე მისვლას, სანამ მისი თავხედამცემი პასუხი დამეწეოდა:

— მჯერა, რწმენის ღობეზე ფიქრის ძალები ვერ გადმოვლენ! ნამიერად გავშეშდი. ყბა ჩამომვიარდა. უკან არ მიმიხედავს. გავოცდი და მერე გამეცინა, გულთანად გამეცინა. ხელი ავუქნიე და გავაგრძელე გზა.

ლილის დღიური

გუშინ გვიან დავბრუნდი. სამზარეულოში შესვლისთანავე შევნიშნე, რომ სიბნელეში მაგიდასთან ვილაც იჯდა. ძალიან შემეშინდა, სუნთქვა შემეკრა. უცხო სინათლე ანთო და მომიახლოვდა. შიშისაგან კედელს ავეკარი. ალბათ, რომც შემძლებოდა, მაინც ვერ დავიყვირებდი. ცოტა ხანს მიყურა, შემატყუ, რომ მემინოდა. ხელები ოდნავ განზე განია, მანიშნა, არაფერს გავნებო და შენს ხელს მივცე. დაეწყნარდა, მაგრამ მაინც ვერ გამეგო, რა ხდებოდა და ჩემგან რას ითხოვდა. კაცმა ხელები კიდევ უფრო განზე გაშალა, თითქოს მეკითხებოდა რაღაცას, და მივხვდი — ვილაც უნდა ამომეცნო. სანამ მოგონებებს მივეცემოდი, უცხო ძალიან დაბალი, შორეული, ჩანჭვეტილი ხმით თქვა:

— დიმიტრი ვარ.

და მე ისევ ხელახლა გავიყინე. ოღონდ არა შიშისგან. გამყინა იმ ამოუცნობმა და

გივი

თვალისჩინი დაკარგა გივი ხორნაულ-

მა. მახსოვრობა, ღვთის წყალობით, სალსალამათი შერჩა.

ზაფხულის სრული ორი თვე კვლავ კანალხევეში იყამკრა: ავარგარებულ დედაქალაქში რა გააჩერებდა, როცა არავი და სახევესურეთო გზის ძირში გამოგუბებული ვეძა (მჭავე, მინერალური წყალი), დადგება თუ არა მისი, მთებისკენ უხმობენ.

არაერთი ღირსი სტუმრის მომსწრე და მიმღები ერთსართულიანი სახლის აივანზე რომ გამოვა, ხელით მოაჯირს მოიანდევებს, წამით კანალხეურას შრიასს მი-აყურადებს და სადათვე მთებიდან (სადაც ბევრჯერ წარმატებით უნადირია ღვთისმ-ვილთაგან ხელმომართულს) ჩამოქვეყვე-ბულ დილის ნიავს აიაზმასავით ისხურებს ტკივილნაცხებულ შუბლსა და სახეზე...

დღე ისე მიიღევა, ბედის სამდურავი თუ სოფლის საგმობი სიტყვა არავისთან დასცდება. მოსწონთ მეზობლებს მისი სიკ-ერპე, შეუპოვრობა, მედგარი ბუნება.

დღესა და ღამეს უერთფერებენ „მოგ-ონებანი გარდასულ დღეთა“.

ბევრი მოასწრო — დანერა და გამო-აქვეყნა.

დარჩენილთ ახლა უკაფავს გზას — ნვალებით, მაგრამ მაინც ახერხებს ფურ-ცელზე ნაფიქრის გადატანას.

ისევ პირდაპირი, პრინციპული, შინაგა-ნად შემართული და უკომპრომისო პოლე-მისტია. და ამაში კიდევ ერთხელ დავრწ-მუნდი ნონა კუპრეიშვილის წერილების კრებულის — „სიტყვის დეგუსტაცია“ — წარდგინებაზე, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა ოქროსფერი ოქტომ-ბრის ერთ მშვიდ, დარჩან საღამოს...

ვაჟა-ფშაველას და მისა ხელაშვილის ღვთისწიერი სულების ანათალს, მათი ცხ-ოვრებისა და შემოქმედების ამადარ მკვ-ლევერსა და ჭირისუფალს ასე იოლად ვერ მოერევა და დაიმორჩილებს (მითუფრო, ვერ დააჩოღოტებს) მართალთა მიმართ მუდამ ჯიბრინი და დაუნდობელი ნუთი-სოფელი!..

სიმონის ცრამლი

სხვის ნათქვამს, ალბათ, ადვილად არც მე დავიჯერებდი. პირადად ნანახს, განცდილსა და გადატანისად ნაუხ-ვალ, სად დაემალები?! ის ცოდვიანი დღე ფხვდაფხვ მომდევს და ხშირად მახსენებს თავს... არაფერს ვცვლი: არც ვაკლებ და არც ვამატებ. ვყვები იმას და ისე, რაც და როგორც იყო...

ეხისთავის სანადიროები ხდის ხეობა-ში.

ამ ჯერზე ბაჭყალით კობა მახლავს. გამო-ცდილი, თანაც იღბლიანი მონადირეა. თვალის უჭრის და მუხლიც. იშვიათად, რომ ხელმოცარული დაბრუნდეს სანად-იროდან...

იძრა ცის კიდე (როგორც მისა ოჩიაუ-რი იტყოდა: „ცისპირი შამაბედენდა, კარი გაალო ცამაო“). წითს აღმოსავლეთი. ლო-პრიანი ქარაფებიდან შურთხების სა-გათენებო ზარი და გნიასი ისმის.

ორ მალალ, ქანჩახიან, ფოლადისფერ სიმარგეს („ჯიხსნი ჰყვან სიმარგეშია, არ აძინებენ ძილსაო...“) შუა მშრალი ხევი.

დურბინდებს ვიმარჯვებთ, ვათვა-ლიერებთ, ვეძებთ ნილკერძს.

მზე რომ მიადგა გაღმა მხარეს და უთე-ვალავი ჩრდილი გააჩინა მრავალჯერ ნამეხ-არ სიმალღებში, ერთი ნამოყებული კლ-დის ძირში, ნაბდის გაშლა ბალახიან ბაქან-ზე, მარტომდარტო ხარჯიხვი შევნიშნეთ. არ იჩურება. ვინ იცის, როგორ სიამოვნებს დილის ნიავი! ნებზერად წევს და „ყამი არა აქვს მტრისაო...“

შუადღემდე მოვუნდით დაბლა ჩამოს-ვლას, ხევის მალევი, უჩუმრად გადაჭრას, ქაცაბანის შეუმჩნეველად ავლას და სათოფეზე მისვლას, მიპარებას...

ჩვენი მხრიდან ნიავი რომ იკრა და წინა ფეხებით ფიცარკლდეს აეტოტა, ბეჭებში გავლილმა ტყვიამ უკანვე გადმოაგდო. ვიდრე ბიჯის მოსაკიდს დაკარგავდა და ძირუჩინარ ფრიალის აეძალდებოდა, წამით წაიჩოქა და მძიმე თავ-რქა რალაცნაირი შეყოვნებით ჩვენკენ შემოატრიალა... და მაშინ დავინახე ველური არსების დიდ, მეტყველ, სიცოცხლის ნიშანტმილეულ თვალებში აბრჭყვილებული ცრემლის ორი ალალი, კამკამა მორევი, ულიბრო

ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი

სარკეებივით რომ ირეკლავდნენ აბარბა-ცებულ მთებს, ლიხიან ქედებს, წყაროებს, ყინულიან მწვერვალებს... სამდურავის, საყვედურის, სამზეოსთან გაყრის მკენე-სარე ტკივილის ნაკადი მოდიოდა მისი ღამაზი, მართალი, უმარჩხო თვალეზი-დან...

და წააფარა სიკვდილმა თავისი შავი ფრთა.

შუნის ცრემლიანი თვალეზის დანახვა, ახლა რომ ვფიქრობ, ბევრად იოლი ასატანი იქნებოდა: ცრემლი ხომ დედროვანთა სამკაულია!

სიმწრით აგმინებული კაი ყმის უფონო მდგომარეობის დასადარი ყოფილა მის-ულფერებული, უღონკრო, დღეგათაული ხარჯიხვის სულ მუდამ ხიფათიანი სიც-ოცხლის ბოლო ნაშები!

მონატრება

— ვინ გვაკლია?! — „გამომცდელი“ კაცის კილოთი და ინტონაციით მოგვმარ-თა ელდარ შენგელაიამ მე და ეთერს, როცა ერთმანეთს პრეზიდენტ გიორგი მარგვე-ლაშვილის საზეიმო მიღებაზე შეგვვითი სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“.


— ჩუბჩიკა!

— ჰოო...

და დაუკითხავად მოსული სევდით მო-ნისლულ თვალეზით ცრემლის ობოლი სხ-ივი აუციმციმდა...

მივხვდი, თითქოს მთელი არსებით, სულიან-სხეულიანად ვიგრძენი, როგორ აკლდა და ენატრებოდა თავისი ძველი, შეუდარებელი მეგობარი...

თენგიზ მირზაშვილი გცნობოდა და არ გენატრებოდა, არ გესაკლისებოდას ოჯახის წევრებსა თუ სისხლით ნათესავე-ბზე არანაკლებად (შესაძლოა, მეტადაც!),



ჩემთვის ისევე წარმოუდგენელია, როგორც დადლილი დღის დაუღამებობა!..

გაგვმორდა და მოხეიმე ხალხის ტალ-ლას მხარში დაჭრილი მანძილა ხარვით შეერია „ცისფერი მთების“ რეჟისორი...

ხატიონი და თამარი

მეორე სამამულო (!) ომში ქმრის გამე-ზავრების წინა საღამოს თამარი ტომრი-დან (თუ თიკრუნიდან) სერი ფქვილის ნარ-ჩენს წამობერტყავს, ცომს ვარცლში მო-ზელს, ხმელი ბარათის ცეცხლს დააგზებს და სამ სიფრიფანს საფრთხელას (მრგვალ პურებს) გამოაცხობს... ერთს მამინვე, ვახ-შმად მიირთმევს ჯალაბობა, ხოლო დან-არჩენ ორს საგზლად გაატანენ სამშობ-ლოდან შორს, შორს, სისხლიან სისასტიკე-სა და გაურკვეველობაში მიმავალ ხატიონს (თავისი ერთადერთობით დასამასოვრე-ბელი სახელი ჯუთელი კაცისა!)...

ძალიან რომ შეაჭირვებთ შიმშილი, ბა-ბალათ მიხიელი საპურე გოდორში გადან-ახულ სვილს უნილადებს ხატიონის უქონელ, უხელკაცო ოჯახს... და გაზაფხ-ულზე, როცა სვილის ჯერიც შემოეღვევათ, თამარი ერანაში ახალმოსულ ჭინჭარს მოთუთქავს, ერბოს ჩაადებს, ჩაადნობს, მანვირობას მისცემს და... პურის ნაგრამ უქონელნი ასე, მხალეულით გადიან იო-ლას...

... ხატიონი შინ აღარ დაბრუნებულა —

ომში დაიკარგა. და დამწუხრებულ ცოლ-შვილს გვიანობამდე ჰქონდა მისი გამოჩე-ნის იმედიანი მოლოდინი.

ხშირად მახსენდება ერთადერთი ვაჟიმ-ვილის (იმასაც რა კაი სახელი ერქვა — ნათელიძე!) ტრადიციული სიკვდილისგან გაშეშებული თამარის ქვისფერი სახე და სოფლის სამდურავით სავსე ცრემლგამ-შრალი თვალეზი...

კვრა ისე სწენავდეს კაცის გონს თავუჩინარი ძალიო, ხან ნისლს რო აანოკებს მთაზე ლემადის ქარიო.

ხალხური

პირისქარი. ხუცობა. ქადაგობა. ჟამის-წირვა. კურთხევანი. სადიდებელი...

მთიელთა ყოფის საკრალური სფეროს რიტუალური ტექსტები.

ამ ტექსტებს ბეჩავი, ეული (//უფულო), დასაბამიერთან წილუქონელი კაცი ვერ გაახშიანებს; საყმოს ერთიანობის და მფარველ ღვთისშვილებთან მისი სულიერი საახლოვის ხელშემწყობი ფაქტორის რანგ-ში ვერ აიყვანს, ვერ აამალღებს.

„მაგას კაც თავისით ვერ იტყვის, თუ რალაცა არ სძრავს“.

მოსმენისთანავე მენიშნა ბერდიშვილთ ნისლაურის მიერ წარმოთქმული ამ ფრაზის დამამთავრებელი სიტყვა, რომელშიც, ზოგადად, შემოქმედებითი აქტის ძირისძირული საიდუმლოა მარტივი ენით ახსნილი, გადმოცემული, გაცხადე-ბული: იმისათვის, რომ ღირებული რამ ამოთქვას (შექმნას, მოიმოქმედოს...), მე-ორე, დროებით გაუჩინარებულმა და მიჩ-უმებულმა „მემ“ უნდა გაიღვიძოს ადამი-ანში... ვულკანურმა ბიძგმა თუ არ შეძრა მთელი მისი არსება, ფარსაგი არაფერი გამოვა, ღვთის კართან (და კარავთან) მის-ტიკური კავშირის დამყარება ვერ მოხ-ერხდება...

„რალაცა სძრავს“ განაცრებული სახ-ის მეჭეშმარიტე კულტის მსახურებს და ამ ძვრის წყალობით ალაგვინენ უზენაეს ძალთა ღირსების საკადრის სადიდე-ბლებს...

„რალაცა სძრავს“ მესიტყვეს (ასევე: მხატვარს, მომღერალს, მქარგველს, ოქრომჭედელს...) და ამ ძვრის მეოხებით ქმნის (ქმნიან) შედეგებს. ორივე — ღვ-თის „გამძღოც“ და შემოქმედიც — ლაბუ-შია (სხვაგვარად: შეპურობილი, „დაჭე-რილი“, უფლის ხელდებული).

და მათი ამ არაორდინარული შინაგანი მდგომარეობის, ანუ, პერიოდული ძვრის შედეგია ის, რომ ჩვენი სულიერი ცხოვრე-ბა ჯერჯერობით ბოლომდე არ გაუღაბ-ნობებულა; არ დაშრეტილა იმ მაღლისგან, რომელიც გვინარჩუნებს უფლებას, პირმეტყველ არსებებად, ბუნების ნაშობ-თა და ნაშეერთა გვირგვინად ვთვლიდეთ თავს.

ქალი და შვილი

ჯავახი რესპოდენტი სარა ველიჯანაშ-ვილი აწერიწებს დიალექტოლოგიური მასალის შემკრებს არამ მარტივოსოვს: „ოთხმოცდაცხრა წლისა ვარ. თერთმეტი შული მყამ: ორი ქალი და ცხრა შული“.

ჯერ „აური“, მერე — დაალაგა: ორი ქალი „შეცდომით“ მიათვალა შვილების საერთო რაოდენობას და წინადადების მე-ორე ნაწილში ისე გამოაკლო, — „გამო-ასწორა“ უნებლიე შეცდომა...

მტრიანი საქართველოს რიგ კუთხეებ-ში ყოველთვის აშკარა იყო ქალებთან შე-დარებით ვაჟების უფლებრივი უპირატე-სობა და პრივილეგიებული მდგომარეო-ბა. „ლექვი ლომისა სწორია“-ს პრინციპ-სა თუ მსოფლმხედველობრივ თვალ-საზრისს არც ხევესურეთში ჰქონდა გასავა-ლი.

ხევესურებსა და მათთან ზეპირსი-ტყვიერების შესაკრებად მისულ აკაკი შანი-ძეს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

- რამდენ შვილი გყავ?
- ორი, — პასუხობს სტუმარი.
- რა გიქვიან?
- ლელა და მზექალა.
- ეგენ ქალები, ჩვენ შვილებ გკითხ-ეთ!..

„ყარყატი“

2013 წლის 7 დეკემბერი.

ბარისახოდან ვბრუნდებით.

„ყარყატი“ (თიკუნი გიორგი სესიაშ-ვილისა) ვსაუბრობთ და (როგორი დამთხ-ვევაა!) აი, ისიც: გზის პირ-პირს მოსდევს მალაროსკარში.

ვჩერდებით, რათა ავეძრახოთ, მოვი-კითხოთ, ახალი ლექსები (თუ აქვს) მოვი-სმინოთ და მოახლოებული ხალხური პოეზიის საღამომო მონაწილეობაზე დავ-ითანხმოთ...

— თვალთ დამაკლდა, ლანდალდა ხე-დავ, წლეულს იალაღებზეც ველარ ავედი, მამაგონდება ჩემი საზაფხულო ქოხ-ბინა და სიმწრისგან გვმინავ, გული დამიღონ-დება, აღმართებში სიარულის ფილფო რო აღარ მამდევს...

პოლიტიკურ პამფლეტს კითხულობს. ფშაურად „ამკობს“ წინა მთავრობასა და ხელისუფლებას. რალაც ავიწყდება და ყოვნდება. ისხენებს. აგრძელებს და გადის ბოლოში...

იმ ცეცხლისა და ცინცხალი იუმორისა, წლების წინათ რომ ჰქონდა, ნასამალიდა თუ შერჩენია. სასტიკი ქარების ქროლვას მასზეც უქნია „რიალი“.

— აღარც-რა ვინ მალაროსკარის ახ-ლომახლოა, შირი-კავიისა რო რამე გაე-გებოდეს. ფშაური შამღერნებაც იშვია-თია. მივდივართ. მივიკრიფებით...

მოპაექრებმა გრძელი, კვიანი ცხ-ვირის გამო შეარქვეს „ყარყატი“.

მის პოეტურ ნიჭს დიდად აფასებდნენ თენგიზ მირზაშვილი, ვახუშტი კოტეტიშ-ვილი, ალექსი ჭინჭარაული; აფასებდნენ და ინვედენენ ფოლკლორულ თავყრი-ლობებზე. გიორგი სესიაშვილიც უთავ-პატიჟოდ ჩადიოდა ხოლმე არაგვის ხეო-ბიდან დედაქალაქში. ჩადიოდა და მარ-თალ, უბრალო, უქვეტექსტო სიტყვას დან-ატრებული მსმენელის გულში სიკეთისა და კაიკაცობის მარცვალს თესავდა...

„დაუდგარნი პოეტის სულნი!“ — გამ-ახსენდა ერთი დროგნელი ხევესური ნათქ-ვამი, ზამთრის გაკაპასება-გამკსინვარე-ბის მოლოდინში საეჭვოდ მიყურებული მა-ლაროსკარის უკაცისძეო გზაზე ჩვენი დაუ-ვინყარი ფოლკლორული საღამოების ერთ-ერთი უკანასკნელი ფალავანი რომ დავინახე: ფშავის ადმინისტრაციული ცენტრის შარაგზა — მოლობილებში, გარ-და „ყარყატისა“, იმ დღეს არავინ შეგვხ-ვედრია...

ასეც ხდება

— ოცი წელი იქნება, რაც ეს სურათი უბეში მაქვს, — გვეუბნება 90 წლის ყანო-ბელი მოხვევე ვასილ ითონიშვილი და გვაჩვენებს ფოტოსურათს, რომელზედაც ვაჟა-ფშაველა თავის ცოლ-შვილთან ერ-თად არის აღბეჭდილი (ლევანი, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარი, თან-ამზრახველი და, ამდენად, ხელისუფლებ-ისთვის საშიში პიროვნება, ოჯახის შემად-გენლობიდან „ამოღებულია“ და იმ ადგი-ლას, სადაც ის უნდა იდგეს, საომარი ფარი ჰკიდია).

ფოტოსურათის თვალყრება ჩვენი მხ-ცოვანი მთხრობელის მამის გიორგი ითონიშვილის მოგონებასაც ძალდებულანე-ბლად მოიყოლიებს: — მამაჩემსა ანანურ-ში ტაჭკით ჩეიტანა ფქვილი. ამ დროს ვა-ჟაი ჩარგალჩივით ვადმასულიყო ჯო-რაკებითა. მედუქნეს ეთქო მამაჩემისთვი: — აქ ერთი დიდი კაცია, იმას უნდა მიჰყი-და ფქვილიო! — ვინ არისო? — ვაჟა-ფშა-ველაო... ცალი თოლი აღარ ჰქონდაო, — იამბის მამამა. ინტერესით გააბა ჩემთან საუბარიო. მეკითხებოდა ხევეო, ჩვენ ცხოვრებაზეო. თან ქალაღზე რალაცას სწერდაო. იყიდა ფქვილიო, ჯორაკებს აშ-კიდა და წაილოო...

— ეს გონჯაი კაცაიც შავინახე, — შეცვლის საუბრის გეზს პაპა ვასილი და რუხი კოსტიუმის უბის ჯიბიდან გამხდარი, გალუული ხელით სტალინის სურათს ამო-აცურებს...

... ყვავილიან სათიბებში ჩაკარგულ ყანობს 1986 წლის 10 ივლისის მცხუნვარე მზე დაწნათის გაბაცებული ციდან.

გრძელდება ხევეში ფოლკლორული ექსპედიციის მუშაობა.

ასაბია
„ასაბია — მტერზედ მიმოვლი შემწე“
სულხან-საბა

საიქო ცოცხალთაგან მოუხილავი, მიუწვდომელი, ტრანსცენდენტური სამყაროა. და მაინც: ცხადლივ წარმოვიდგინო ხოლმე, რომ დედაჩემი ჩემს ძმიშვილს იქაც ისევე აშველებს ხელს, როგორც აქ, ამ ცოდვიან მინაზე აშველებდა ახალფეხადგმულ ყმაწვილს.

დღეს ორივე, სულხან-საბასეული სინტაგმა რომ მოვიხილო, „მერმის სოფლის“ ბინადარია: ჯუთის გორ გვერდი-გვერდ განისვენებენ ძილა და კვირია...

— **ვასაბიაე!**...
ახლახან ვიპოვე: დედის მიერ წარმოთქმული ეს, ცოტა არ იყოს, არაქართულად მჭიდროდ სიტყვა უბის ნიგნაკში ჩამინერია და მნიშვნელობაც იქვე ამიხსნია: ხელს ვაშველებ, ტანი რომ გაიმაგროს, რომ არ წაიქცეს...

ამ სამი ათეული წლის წინათ სიარულის გასარევში, ფეხის ადგამაში ხელის მსუბუქი შევლებით შველოდა ბებია შვილიშვილს. რაკი ისევე ერთად არიან, ისეთი განცხადება მქვს, ეს მოძრაობა, ეს პროცესი, ფეხის ადგამის ეს გაკვეთილი ჯერ არ დასრულდებოდა. სიცოცხლე სულეთში, სხვა განზომილების უკარსარკმლო, უზეცო, შეცნობელ სივრცეში გრძელდება...

ჟვის კაცები

ჩემი სოფლის მთებზე (პირდაპირაში, ჭერხონვერავზე, შარვანის თავ...) „**ცის ტატანო**“, წელსწორად წამომართული ქვაკაცები — შორიდან მართლაც ერთ ალაგას გაშვებულ, დასაყდრებულ, ქვადქცეულ კაცებს რომ ჰგვანან. მეცხვარეების მიერ მეტწილად მოცალეობის უამს (როცა დასიცხული სამწყსო თევზზე დაყვრება და დამურავდება) სიპით ნაგები, ძირით წვერამდე ყრუ, უღრუო, ადამიანის სიმაღლის პრიმიტიული სვეტები... დროთა დენაში, თაობების თვალწინ სანუთროსულ ჭირსა და ჭაობში შეუმჩნეველად რომ ბერდებოდნენ, იშლებოდნენ, ირღვევიან და, ალბათ, მალე სულაც გაველენ, გადაიკარგებიან თვალსაკვიდიდან...

ნისლსა და წვიმაში, მთისთვის ჩვეულ უამინდობაში ეს საგნობრივი ორიენტირები საჩინო სამსახურს უწევენ მგზავრებს, მწყემსებს, მენვერებს, მონადირებს... ნაცნობი ქვაკაცების წყალობით ხერხდება და იოლდება სწორი გზის აღება; ნაკლებსახვილო გზითა თუ ბილიკით სვლა სწორი, სასურველი მიმართულებით...

(გაბრიელ ჯაბუშანურის „ბალადა ქვაკაცზე“ ქისტის ახალგაზრდების დრამატული სიყვარულის ამბავს გვიყვება, სადაც ქვაკაცა ახმედის — გარდაცვლილი ჯიგიტის — სამარეზე, აკლდამის მხარმარცხნივ, აღიმართება და იმ შემთხვევაში, თუკი აღსრულდა შურისძიება, მაჰმადიანთა წესისამებრ, ქვის ეს ძეგლი უნდა წაიქცეს)...

ქვასვეტთა ფუნქციური თუ დანიშნულებრივი სიფარტოვის მანიშნებელია მათ სინონიმურ სახელდებათა საკმარისი სიმრავლე. ხევსურეთში ქვაკაცას სხვა სახელებითაც მოიხსენიებენ: **ლიგანა, ციხია, საწყევარა**...

თუშეთშიც (ისევე, როგორ ჩვენი ქვეყნის სხვა მთიან კუთხეებში), მის ცერებსა და იალაღებზე, განსაკუთრებით ნაყაიროზე, — პირიქითისა და გომერის ხეობების გამყოფ ზეგანზე და სხვაგანაც, — მრავალადა ანალოგიური ქვასვეტები, რომელთაც ადგილობრივნი „**მილიონაებს**“ ეძახიან...

შაომწავაზა

გულნაზ ხუციშვილის ნაამბობი

ძიანთ იასონი ლარსის სასოფლო საბჭოს საქმიანობის შესამომწებლად მივლინებული ყაზბეგის რაიკომიდან. ზუსტად დილის ათ საათზე ცხადდება დანიშნულების ადგილზე.

საბჭოს თავმჯდომარე, სამუკეთ კოტა, ჯერჯერობით არ ჩანს.

იასონი დგას და ელოდება.

კაი მოდევნებულზე გამორჩევა უდარდო, გულარხინი კოტა. დინჯად, მოზომილად მოაბიჯებს, თითქოს ერთსართულიანი შენობის შესასვლელთან სოფლის მოსახლეობის ნაცვლად ცხვრის ნოტო ანდა ნახირი უცდიდეს...

იასონს მოთმინება უთავდება და ზემდგომი კაცის უფლებრივი აღმატებულობის შეგნებიდან მომდინარე სიმკაცრით

ეკითხება: — **როდის ალებ?** — **როცა მზე ამოვა!** — არ იბნევა თავმჯდომარე. — **მზე თუ არ ამოვიდა?** — **მთლად უკეთესი!** — ლიმილს ვერ მალავს „დამნაშავე“. **ვინ დაგნიშნა თავმჯდომარე?! —** ლამისაა ცეცხლად აბრიალდეს იასონი. — **ჩემმა ძმამ ბათაკამა!**...

მოდი და ნუ გაგეცინება ხორცშესხმული იუმორის ალედ მოარული მოხევის კეთილშობილ უდისციპლინობაზე!

კაცური საუბრის ფორმა

თუ რატომ, მიჭირს ახსნა, მაგრამ რალაცნაირად მეთავისება და ამიტომაც ვეთანხმები რევაზ ინანიშვილის ორიგინალურ თვალსაზრისს, გამოთქმულს ურითომ ლექსთან მიმართებაში: **„მეჩვენება, რომ თანამედროვე კაცური საუბრის ყველაზე ღირსეული ფორმა ურითომ ლექსია“**...

იმედია, გამორჩევა კომპეტენტური, კვალიფიციური მკვლევარი, ვინც არგუმენტირებულად, სათანადო საილუსტრაციო მასალის მოხმობით, მაგალითების დამონებითა და სიღრმისეული ანალიზით დაგვარწმუნებს ყველასთვის საყვარელი მწერლის ამ არაკატეგორიული (**„მეჩვენება...“**) შეხედულების სისწორეში.

უპრიმიტიულესად თუ ვიმსჯელებთ, კლასიკური, კონვენციური ლექსი, თავისი სარიტორიკული სიტყვებითა და სხვა მხატვრული დეტალებით (ფაქტობრივად, სამკაულებით) უფრო ქალური ფენომენია, ვიდრე მამაკაცური...



ხოლო „**კაცური საუბარი**“ რალაც მწვავე, საარდარაო, სადავიდარაბო საკითხის გარჩევასა და გადაწყვეტასაც უსათუოდ გულისხმობს. დინჯი განსჯის გარეშე რთული ვითარების ადეკვატური შეფასება შეუძლებელია. ლამაზი სიტყვა საქმეს ვერ შველის. ემოციის ნაცვლად საჭიროა გონების კარნახით მოქმედება და მეტი რაციონალიზმი, რათა მოჰაქრე თუ სულაც იდეური მონინაღმდეგე შენს სიმართლეში, შენი ნაბიჯის მართებულობაში დააჯერო...

მაინტერესებს ეს თემა და გავიხარებ, თუკი ამ კნინ უპრეტენზიო ოპუსში მონიშნულ ხაზს გაგრძელები და გააგრძელებელი გამოუჩნდება.

დილა იყო უზაყო, ავღრიანი

ლესია თავაძეს, ზაზა აბზიანიძეს და უნივერსიტეტელ ფილოლოგებს ზეთა „**მიედანზე**“ გაუშლიათ ხაკისფერი, მზისგან გახუნებული კარავები. იქვეა იურა ჯაფარიძე — ზამთრისა თუ ზაფხულის ფოლკლორული ექსპედიციების თითქმის უცვლელი (და უზადლო!) ხელმძღვანელი...

ნამგზავრებს ნუხელ გვიანობამდე მოუწიათ კოცონთან ყოფნა (კოცონის ხსენებაზე, მთის კონტექსტში, ბეგრის, ალბათ, შაბურას ლექსიც გაახსენდება: **„დევეების ქვაბში გვენთო კოცონი და ნაქალაქარ გულებს ვითობდით და მას, რაც გვენამდა ანდა მოგვწონდა, ვადღებდებოდით ყანთი თითოთი...“**); ფხის ფხანალი ხვედიან ქშენით ამომდინარ ნისლებთან ბაასი და ახლა, როგორც ვაწყობ, სულაც არ ჩქარობენ გაღვიძებას...

ვეხმანები და ველოდები, ვინ გამოიხედავს წინაინ ნანვიმარი კარვიდან... პიტნის ჩაი (ჟიპიტაურის თანხლებით) და ცხელი

ზისცვარი მართლაც რომ მისწრება იქნება მათთვის. დედაჩემმა მსლოვნებისა და ხორც-შიშუანი კეცეულების თადარიგც რახანია დაიჭირა და მინდა შინ გადავიპატიყო სასურველი სტუმრები, ჩემი უფროსი და უმცროსი მეგობრები, თანამოსაქმეები...

ბურუსში შემალული ჭიუხების მხრიდან თქორის თეთრი ფარდები მოიქპარიან ჯურხამთისაკენ. ცრის სოფელში და სოფლისთავ. ივლისის დილაა და ამ დრო-შამის კვალობაზე გვარიანად გრილა. უამინდობა ლელისპირის ყვავილებსაც დამწენვითა: მოუწყენიათ და ფერებმოლუშულნი საბრალბლად ბაბანებენ...

კარვის ელვა იხსნება და ზაზა აბზიანიძე პირსახოცით ხელში გამოდის გარეთ. ერთმანეთს ვესალმებით. ათიოდე ნაბიჯში უძინარი ნაკადული (რომლის სილამაზეს, სხვათა შორის, ამგვარად ხედავს თემურ ჩალაბაშვილი: **„შენი ბედი ენატრება ოკეანეს, ეხარება შენი სიპატარავე...“**) მორაკაკებს და ხელ-პირის დასაბნად იქითკენ ეშურება. წვიმის ცივი, წვრილი წვეთები ეცემა სახეზე. ჩერდება და ცისკენ იცქირება. დაბლა დანეულ, დამიმებულ ღრუბელს აკრეფისა და აკარების პირი არ უჩანს.

— **პირობითია პირის დაბანა!** — იტყვის ჩვეული ჩალიმილებით და უკანვე, კარვისკენ გაბრუნდება.

სადაგი ყოფის თანმდევი სავალდებულო სადილო რიტუალის მახვილგონივრული სიტყვიერი ფორმულირებით იწყება ჯერ კიდევ წელმავარი ჯუთის ეს მხნე, პერსპექტიული დილა...

ბათლავი

დავლათიანი დილა. იღბლიანი დღე. — სხვა რა შეიძლება დაერქვას ასეთ გათენებას!

ტოლემში გამორჩეული მეკლდეური და მონადირე ლევან სუჯაშვილი მყინვარწვერის მისადგომებისკენ მიმავალ უბალახო ქედს მიჰქადალებს და ათასფრად აფორეჯებულ საჯიხეებს ზეერავს. თანდათან იპყრობს და იმორჩილებს მონადირული აზარტი. მთელ ტან-იოგში უცნაური ცხრო და უჩვეულო მღელვარება ჩაღვრია. ისეთი განცდა დაუფლებია, თითქოს აქ პირველად იყოს და ხამად ხედავდეს ამ ველურ, არამეცხეურიის მადღარ გარემოს... დარწმუნებულია, მისთვის ორპინტე დღესაც გამოიმეტებს არჩის... და, აგერ, ისიც! ნაბლისფერი ბერხენი ციდან ჩამოსულივით მოულოდნელად გაილანდება რუხი კლდის მიბზე და გეზს აღმავალივით, მონადირის მხრიდან ხელმარცხნივ აიღებს. დურბინდის რკალში „**მომწყვდეული**“ ჯიხვი ოდნავ წინამონეულ ბაქანზე შედგება. უტყუარი ცხოველური ინსტინქტით გრძნობს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ეშუქრება... და მონადირის გაკვირება, ახვის დანახვით გამოწვეული სიხარული რომ უსწრებდა წინ, მართლაც რომ ენით გამოუთქმელია: იმ ბაქნიდან, სადაც ქარინი ქარაფების ნებიერი ბინადარი მუხლს ასვენებს, მსხვილი ჯაჭვი ეშვება დაბლა... ბერხენი ბილკს გაუყვება და თვალს მიეფარება... ლევან სუჯაშვილი შეუსვენებლად აათავებს ღონიერ აღმართს. მიადგება შეეულ კლდეს. ფეხი გაიხდის და წინდების ამარა, ჯაჭვზე მოჭიდებით და დიდი რისკის ფასად, უკანმოუხედავად აცოცდება ფრიალოზე... ააღწევს გამოქვაბულამდე, რომლის კარს ლურჯი ყინულის სქელი ფენა შემოსალტვია. სარკმელში შეიხედავს და შიგნით, სანახევრო სიბნელეში, ადამიანთა ყოფნის კვალსა და საგნობრივ ნიშნებს დაინამდვილებს...

ეს ამბავი 1947 წლის შემოდგომაზე ხდება; ამბავი, რომელიც ფარნავაზ მეფის მიერ დევნილი ირმის წყალობით განძის სახიზრად ქცეული გამოქვაბულის მიკვლევის „ქართლის ცხოვრებისეულ“ ვერსიას ნააგავს... და მეორდება ეტალონური მნიშვნელობის ღირებულებათა პოვნის პარადიგმა როგორც მითოში, ისე რეალურ ყოფაში.

გასთვლელმელებული ნოემბრის იმ დღეებში, როგორც გერგეტის მკვიდრი გენო სუჯაშვილი იგონებს, სიზმარეული ქვეყნიდან დაბრუნებულს ჰგავდა მამამისი — ბეთლემის გამოქვაბულის პირველმნიშვნელოვანი მოხვევე.

მომდევნო წელს ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით შედგება მცირე ექსპედიცია, რომელსაც, რასაკვირველია, ლევან სუჯაშვილი მეგზურობს. ექსპედიციის წევრები შეძლებენ გამოქვაბულში შეღწევას და იქ არსებული

ნივთების (მათ შორის ჭედური ხატისა და ბრინჯაოს შანდლის) დათვალიერებას...

ილიას „განდევლიდან“ მკითხველთათვის ნაცნობი მონასტრის (**„გამოუქვაბათ მუნ მონასტერი...“**) აღმოჩენა ზედროული შინაარსით აღავსებს მყინვარის ამ წმინდა, ლეგენდარულ შემოგარენს...

P.S. ბეთლემი მყინვარწვერისა და ბეთლემი ბაგინეთისა, სადაც წინო კაპადოკიელის მხურვალე ლოცვის ძალამ არმაზის კერპები შემუსრა და იქაურობა ღვთიური სხივით შემოსა... საქართველოს საკრალური გეოგრაფიის ორი უმნიშვნელოვანესი პუნქტი — კრძალვით სახსენებელი და ჩოქვით მისახლებელი ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის!

„ნეტავი შენა, წერილო...“
„ვერა, მაინც ვერ ანაცვლებს მონატრებას მონიტორი...“
ნუგზარ ზაზანაშვილი

ერთი მხრივ, ლექსად ნატვიფრი პირადი მიმონერა: **„გაფრინდი, ჩემო წერილო, როგორც მერცხალი დილისა...“** „უნდა დაგწერა, წერილო, მარკა დაგაკრა ჭრელია...“ „ფოსტა არ არის? — წერილი არნივებს გამოატანე...“ „ნეტავი შენა, წერილო, მიებარები წინოსა, უთხრიდი-ღ ჩემსა მაგივრად შენთანად დიდიწინოსა, გადაგიკითხოს მალი-მალ, თან უბეს ჩაგიძვინოსა...“ „დავჯე, დავწერე, წერილო, გზა შორი მიგიდისაო, არხოტში უნდა გაგზავნა, სადაც ხალხია მთისაო...“

და, მეორე მხრივ, ულტრათანამედროვე მესიჯები: **„როგორ ხარ, მენატრები“**. „გოცნი, მიყვარხარ!“ „მომწერე, პაკა...“ „**დამილაითე, გელოდები**...“

პოეზიად ამეტყველებული პირადი ბარათებისთვის თანმდევი უბოდიშო ინტიმსა და სულის აღმავალ მღელვარებას სანახევროდაც ვერ შეწვდება სატელეფონო მესიჯების ცივი, რალაციით ოფიციალური, უაკუსტიკო ტონალობა და ვერც ინტერნეტსივრცის შეუზღუდავი შესაძლებლობანი ააპრობენ აცა-ბაცა ასოებისა და სიტყვების სასრულ მწკრივში ცის მანანად მცვრულ წუხილისა თუ სიხარულის ცრემლს...

წანდობისა თუ ნათესავის, მეგობრისა თუ ოჯახის წევრის ხელით ნაგვირისტები წერილების დღეობით და კვირეობით გაგრძელებულ მოლოდინს და ამ მოლოდინის ემოციურ შინაარსს ვერაფრისდღეობით გაუტოლდება წამებსა და რთებში განხორციელებული ტექნიკური ოპერაციების „მშრალი“, მექანიკური პროცესი!

გაცრეცილ, გადახუნებულ ფურცლებზე შერჩენილ და დღემდე შემონახულ გულეების ფართქალსა და ფორიაქს, შეებასა და ხვამიანს, აბა, რანაირად შეედრება მობილურის ეკრანზე ანდა სხვადასხვა საიტზე მანქანური ოპერატიულობით აკრეფილი ტექსტის „სითბო“, უშუალობა და კომუნიკაბელობის ხარისხი!

უბრალო მოკითხვის, მბობის, სხვისი ტკივილის მომტკივნებისა თუ სიხარულით გახარების დინჯი, დაუძაბობი, ეპიკური სტილი ახალი ამბისა და ინფორმაციის მიწოდების სავალდებულობამ შეცვალა, ხოლო წრფელი მწუხარება — მოჩვენებით-მა თანაგრძობამ.

დრო, რასაც პირადი წერილი ადრესატამდე მიღწევას ანდომებდა, დღეს თვალის დახამხამებით განიზომება; ფიზიკური მანძილი, რის დაფარვისთვისაც ფარატინა ფურცელზე დატანილ ტექსტს, ხშირ შემთხვევაში, ერთი თვეც არ ჰყოფნიდა, ახლა აღარ არსებობს, „ანულირებულია“...

სასწაულებსა და ზებუნებრივ მოვლენებს უთანაბრდება ტექნიკური ცივილიზაციის მიღწევები! შესაბამისად მცირდება ადამიანობის ადგილი და ხვედრითი წილი სტრესებითა და მოულოდნელი კატაკლიზმებით დაღდასმულ თანამედროვე სამყაროში...

და, კი არ ნელდება, დღითი-დღე ღრმავდება და ძლიერდება უფროსი თაობების ნოსტალგია იისფერი მელნით ნანერი სამკუთხა ბარათებისა თუ „კანკერდში გამოკრული“ წერილების მიმართ... კოსმიური სივრცეების დაუფლებისა და „ათვისებისკენ“ კაცობრიობის დაუდგრომელ სწრაფვაში კაცად-კაცობის პოსტულატებიდან თანდათანობითი უკუსვლის სამიში ტენდენციები იკვეთება...

ავტორის ფოტოები

მწერალი

რუსა ამირეჯიბი

მკითხველი, რომელიც ინტერესით ეცნობა თანამედროვე ქართველი მწერლების ახალ ნივთებს და ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებიდანაც ადევნებს თვალს მათ შემოქმედებას, კარგად იცნობს რუსა ამირეჯიბს და მისი პირველი ნივთი — „ხმა“ — ალბათ უკვე გადაშლილი აქვს. და თუკი ასეა, შეუძლებელია, პირველივე მოთხრობიდან არ გასჩენოდა ემოცია თუ გრძობა, რომ რაღაც განსხვავებულს კითხულობს. ასეთი მიზიდულობის ძალა თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშებს, სამწუხაროდ, იშვიათად აქვს. რუსა ამირეჯიბის მოთხრობებს სიუჟეტები თითქოს არ გააჩნია, იქ პერსონაჟები თავიანთ შინაგან ცხოვრებაზე, გრძობებზე, ემოციებზე, აზრების მდინარეებზე თვითონ ყვებიან და ამ დროს, ჩვენთვის უხილავი გზით, მძაფრი, საოცრად ჩამთრევი, ინტერესის აღმძვრელი ამბები იხატება. ნივთი ადამიანის ცხოვრებასავით შვიდ რამეზე — ლალატზე, სიყვარულზე, სიძულვილზე, იმედგაცრუებაზე, შიშზე, გატაცებასა და სიმართლეზეა აგებული. თითოეულ თავს თავისი ფერი აქვს, ავტორი ასე ხედავს ემოციებს ადამიანში. მისთვის ყველაზე საინტერესო სწორედ ადამიანია, და რადგან მის ვნებებს, სისუსტეებს, ძლიერ მხარეებს, ემოციებს, შინაგან მოძრაობას ავტორი ძალიან კარგად იცნობს, მკითხველს ამ ნივთში საკუთარ თავთან შეხვედრა ელის.

რუსა ამირეჯიბსა და მის ნოველებზე საუბარი დიდხანს შეიძლება, მასთან შეხვედრის მერე დიქტოფონზე ჩანერილი ინტერვიუ რომ გავიფიქრო, ვრცელი აღმოჩნდა, 30 ათასი ასო-ნიშანი. და რადგან გაზეთის ფორმატი ორჯერ ნაკლები მოცულობის მასალას ითხოვს, იძულებული გავხდით, ჩვენი საუბარი შემემოკლებინა იმ იმედით, რომ დანარჩენს მკითხველი მისი „ხმიდან“ გაიგებს.

— თქვენი ნივთის წინასიტყვაობაში ვაჟა გიგაშვილი წერს, „ფათურაკიან-თავდასავლიანი“ სიყმაწვილე ჰქონდა, „ღობე-ყორეს იყო მოდებული“, მაგრამ არსად გამოჩენილა მისი მიდრეკილება და სიყვარული ლიტერატურისადმი. როგორ ან როდის დაიწყეთ წერა?

— სიტყვების გადაბმის მცდელობა ბავშვობიდან მქონდა, ჩანახატებსაც ვაკეთებდი, მაგრამ — აბსოლუტურად არასერიოზულად, ბავშვობაში ხომ ზოგი რას წერს, ზოგიც რას. პირიქით, მე ვეძებდი ჩემს თავს სხვადასხვა პროფესიაში, რეჟისორობას ვსწავლობდი, ხელოვნებათმცოდნეობას, ინგლისურს, საქსაფონოზე დაკვრას, ცეკვებს. ყველაფერი ვცადე და კარგადაც გამომდიოდა, მაგრამ შინაგანად მაინც არცერთზე მქონია შეგრძნება, რომ სწორედ ის იყო ჩემი საქმე და უიმი-სოდ თავი ვერ წარმომედგინა.

პარალელურად სულ რაღაცას ვჩხაპნიდი, ასე ვთქვათ. შემდეგ დიდი პაუზა იყო, შვიდი წელი არაფერი დამინერია. მაშინ გერმანიაში ვცხოვრობდი, ყოფილი ქმარი გავიცანი, ორსულად ვიყავი, შვილი გავაჩინე, დაიასახლისობას დეპრესია მოჰყვა, თითქოს საკუთარი თავი დავკარგე, ველ-არ გავიგე, ვინ ვარ. ვფიქრობდი, იმიტომ არ გავჩნდი, მხოლოდ ჩემი ბიოლოგიური ვალდებულება შევასრულო-მეთქი. ბოლოს მომბეზრდა ამაზე წუხილი, ნერვიულობა და საქართველოში დავბრუნდი. მაშინ საერთოდ არაფერი ვწერდი. შემდეგ დედამ მომანოდა იდეა, დამეწყო პროზაში მუშაობა — მოთხრობა, ნოველა დამეწერა. ბავშვობაში და შემდეგ, თინეიჯერობის ასაკში, რაც მანერინებდა, ეს ინტერესი კი არა, ინსტინქტი იყო, უბრალოდ, გარკვეულ დრომდე, ყურადღებას არ ვაქცევდი. როგორც სპორტსმენს, რომელიც არ ივარჯიშებს, კუნთის ატროფია დაეწყება, ვფიქრობ, ასეა მწელობაშიც. როცა წერის მოთხოვნილება ინსტინქტურად, გენეტიკურად გაქვს და არ წერ, ეს შინაგანი ინსტინქტი სტალაქტიდით იყინება, მაგრამ გარკვეული პერიოდის მერე აუცილებლად გადნება და გაათმაგებულად მოგთხოვს თავისი — დამხარჯე, დამწერე, მთქვი. და როცა ეს პერიოდი დამიდა, დედაჩემმა ნამამეწვლა იდეა, ბიძგი მომცა. მაშინვე ავიტაცე. სწორედ ამაზე ამბობს ვაჟა გიგაშვილი წინასიტყვაობაში, ერთბაშად „ექვსი დაანყო“. იმ ერთ-ორ წელიწადში ექვსი კი არა, თხუთმეტამდე ნოველა გამოვაქვეყნე. მიხდოდა, სულ მენერა და მენერა. ასე დავიწყე.

— თქვენს „ხმას“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კრიტიკოსები, ლიტერატორები საუბრობენ წერის განსაკუთრებულ მანერაზე, ლევან ბრეგაძე ლაპარაკობს დახვეწილ ტექსტებზე, სადაც სიტყვაც არ არის ზედმეტი. ვაჟა გიგაშვილი კი წერს — „თვითნაბადმა, შთამბეჭდავმა, უკვე სტილად ქცეულმა უნარმა“ გამოცაო. თქვენი პაპა, ჭაბუა ამირეჯიბი რას ამბობდა, როგორ აფასებდა თქვენს ნაწერს?

— პირველად რომ მივუტანე მოთხრობა, პაპა ვერაფრით მიხედა, რას კითხულობდა. მეორედ, მესამედ ჩემს ტექსტებს თვალი, გონება მიაჩვია. ძალიან უჩვეულო, კარგი სტილი გაქვსო, მიუხეობოდა. მარ-

თალი გითხრათ, საკუთარ თავზე ლაპარაკი არაეთიკურად მიმაჩნია, მითუმეტეს, ჩემი ნაწერი უმეტესად არ მომწონს და თითოეულ მოთხრობას იმდენ ხანს ვა-



„
სიმართლე
თავისუფლებას
გვანიჭებს
“

მუშავებ, ბოლოს ლამის მეზიზღება ხოლმე — ოთხფურცლიანი ტექსტი შეიძლება, ორი-სამი კვირა ვასწორო. ყველაფერი ზედმეტი უნდა მოვაშორო, განელილი, მოსაბეზრებელი არ უნდა იყოს, უნდა მისრი-ალბედეს. ეს არის, ზოგადად, მწერლისად-მი ჩემი განსაკუთრებული მოთხოვნა, ნებ-ისმიერ მწერალს ვალიარებ სწორედ ამ ნიშ-ნით. როგორც კი მომბეზრდება ნაწარმოე-ბი, პირველივე აბზაციც რომ იყოს, აღარ ვაგრძელებ. კარგი მიგნება, კარგი მეტაფორა, ან ფრაზა თუ გაიხელა, იქვე კვდება. ცხრიანში უნდა გაარტყა და გააგრძელო, სულ უნდა ვითარდებოდეს, ასე მასწავლეს. თქვენს კითხვას, მგონი, ვუპასუხებ, გადავხსნი და მეტიც ვთქვი.

— ასე მასწავლესო, თქვით. თქვენ ლიტერატურულ გარემოში იზრდე-ბოდით. დედა, მანანა ამირეჯიბი, მწერა-ლი-ბელეტრისტიკა. როგორც ვიცი, ბატონ ჭაბუას არ გაკვირვებია, უცებ წერა რომ დაიწყეთ, რადგან „მის შთამომავლობა-ში ამ უნარის სადმე გამოვლენება მოუ-ლოდნელობას არ წარმოადგენდა“. რა ისწავლეთ ამ ადამიანებისგან?

— უპირველესად, დედამ წერის ტექნი-კა გამიჩაფა. უამისოდ ვერ წარმომიდგე-ნია, პროზაში როგორ უნდა იმუშაო. ორ-თოგრაფიულ და გრამატიკულ შეც-დომებს ტექსტის აკრეფისას ისედაც არ ვუშვებ — ტექნიკაში ვგულისხმობ სიუჟე-ტის აგებას, კვანძის შეკვრას, მის გახსნას, ზედმეტობებისგან ტექსტის გათავისუ-ფლებას. ეს იმდენად შრომატევადი პრო-ცესია, რომ, როგორც გითხარით, ბოლოს ვამბობ ხოლმე: „როგორღა უნდა გავას-წორო, როცა არ მომწონს“. მაშინ ვანებებ თავს, მთელი კვირა არ ვეკარები და შემ-დეგ უცხო თვალთ, კიდევ ერთხელ „გა-დავუვი“ და მზად არის. პაპამ მასწავლა ასევე ძალიან მნიშვნელოვანი რამ პროზა-ში — თხრობა მუდმივად უნდა ვითარდე-ბოდეს, ავტორი თითოეულ გვერდზე, მონოლოგებშიც კი, საინტერესო გარდა-ტეხებს, რაღაც ახალს უნდა სთავაზობდეს მკითხველს. თავიდან ცოტა არ იყოს ჩახ-ლართული, ბუნდოვანი ფრაზებით ვწერ-დი, პაპაჩემმა იმდენი მიმეორა, სანამ არ

გამომიშუშავა, რომ ტექსტი სადა, მკაფიო და ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. დიდი ბედნიერებაა, გამართლებაა მწ-ერლისთვის, როცა ბავშვობიდან ესმის საუბრები ლიტერატურაზე, ისმენს ჟანსალ კრიტიკას. მახსოვს, დედას გერმანიიდან წერილებს რომ ვწერდი, ნითელი კალმით გასწორებულს უკან მიგზავნიდა, ჩემი შვილი ასე არ უნდა წერდესო. მისგან ვის-წავლე, რომ საინტერესო თემა თუ რაიმე ფაქტი სრულად უნდა შეისწავლო, ყველა მხრიდან გაცნო, რათა მასზე ნებისმიერი რაკურსიდან შეგეძლოს წერა. საერთოდ, მხატვრული ლიტერატურა არ მოითხოვს ავტორისგან ობიექტურობას, ის სრული-ად მიხდობილია მწერლის ფანტაზიას, მა-გრამ ჭაბუა და მანანა ყოველთვის მიუბ-ნებოდნენ, რომ აუცილებელია ნაწარ-მოებში აისახოს ეპოქა, რომელზეც წერ. ეს მასტერკლასები წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ამ მხრივ ძალიან გამიმე-რთლა. იგივე მონაცემებით სხვა ოჯახში რომ დავბადებულიყავი, თუ გავითვალ-ისწინებთ, რომ ძალიან ზარმაცია ვარ, ჩათვალეთ, რასაც ამ დრომდე წერის ტე-ქნიკის თვალსაზრისით მივაღწიე, დროში ძალიან გაინელებოდა.



— მაშასადამე, ჩემი ლიტერატურული ძალაო, თქვენს მიძღვნაში რომ ამბობთ ბატონ ჭაბუაზე, სწორედ ამას გულისხ-მობთ?

— რასაკვირველია. ლიტერატურული ძალა იმიტომ იყო, რომ, როგორც გითხ-არით, დავწერდი მოთხრობას, ნაიკითხავ-და, მოიმარჯვებდა კალამს, დამინერდა შენიშვნებს, ვბრუნდებოდი შინ და იმ შენიშ-ვნების მიხედვით ვამუშავებდი ტექსტს. თვითონ მუშაობდა ძალიან ბევრს, თითო სიტყვას ათამდე სინონიმს აწერდა თავზე. „დათა თუთაშხიაში“, სხვა რომანებშიც ჩანს, რაოდენი ძალა და ენერჯია აქვს ჩადებული ავტორს. ერთხელ „ლიტერ-ატურულ გაზეთში“ ისე გამოვაქვეყნე მოთხრობა, წინასწარ არ წავაკითხე — იქ რამდენიმე ისეთი სიტყვა მენერა, მომერ-იდა. არადა, ამას ზოგჯერ მოითხოვს ტე-ქსტი, მოითხოვს პერსონაჟი. როგორ შეი-ძლება, ყველა ერთნაირად ალაპარაკო, მაშინ ხომ ნაწერი ყალბი გამოვა და არავინ დაგიჯერებს. ჰოდა, გაზეთი რომ ნახა, დამინერა, იქნებ პატივი დამდო და სხვა დროს წინდანინ წამაკითხოო. ჭაბუა პაპა, ასე რამდენიმე სიტყვის გამო მოვიქცი-მეთქი. ნეტავი ერთი შენო, ხელი აქვია. უარგონი, ბარბაროზი, უმანური სიტყვა ლიტერატურას ორგანულად რომ შეერ-წყას, ძალიან ბევრი უნდა იშრომო. დედაჩემ-მა და პაპამ მასწავლეს, ასევე, როგორ არ უნდა დაგენანოს საკუთარი ნაწერის ნაშ-ლა. დედაჩემისგან ვიცი, „თუთაშხიაზე“ მუშაობისას პაპას ასობით ფურცელი ჰქო-ნია გადაყრილი. პაპა ჩემთვის წყაროსავ-ით იყო, მისგან ვსაზრდობდი. როცა გარ-დაიცვალა, მეგონა, აღარასოდეს დაენერ-დი, მაგრამ მერე უარყავი ეს აზრი, პირი-ქით, ბევრი უნდა ვწერო, ნივთიც გამოცე-მეთქი, დავპირდი და იმ დღეების შემდეგ მალევე დავიწყე მუშაობა ნივთზე.

— „ხმა“ ჩვეულებრივი პროზაული კრებული არ არის, რალცნაირი უჩვეუ-ლო ფორმატი აქვს, თითქოს ეს მოთხრობები სხვადასხვა დროს კი არ შეიქმნა და შემდეგ კი არ გაერთიანდა ნივთში, არამედ სწორედ ამ ნივთისთვის დაიწერა. ასე იყო?

— თავიდანვე მქონდა გადაწყვეტილი, დამეწერა ცისარტყელა. ასე ვეძახი ჩემს ნივთს, ვინაიდან მასში შვიდი სხვადასხვა „ფერის“ თავია, ერთი — უფერო. მგონია, რომ რაც დამინერია, „ხმა“ ყველაზე ნალ-დია ემოციურად.

ნივთში შევიდა როგორც ძველი, ისე ახალი ნოველები. ადრინდელ მოთხრობებ-სა და ახლანდელ დანერვილებს მკითხველი თავად გააჩრევს. ვგულისხმობ მკითხველს, რომელიც კარგად იცნობს კლასიკურ ლიტერატურას და, შესაბამისად, ზუსტად გრძობს სიახლეს, თანამედროვე პროზას. ჩემი ადრინდელი ნოველები, წერის მანერ-ით, უფრო კლასიკურ-აკადემიური სტილ-ისკენ იხრება. ახლები უფრო თამამია. თავიდანვე რომ არ ჩამეფიქრებინა ნივთის დაყოფა შვიდ თავად, შვიდ ფერად, ემოციების მიხედვით, მათ სიამოვნებით წარმოვადგენდი სხვა ფორმატითაც: ძველები ცალკე იქნებოდა, ახლები — ცალკე. თუმცა სინთეზმა, მგონი, გაამე-რთლა — ასე მიუხედავად, რომ წარვდექი როგორც, ერთის მხრივ, აბსოლუტურად აკადემიური და ამავ დროს უცნაური, გიჟნარევი თანამედროვე ავტორი. ნივთი იწყება „იდიოტი“, რომელიც ყველაზე ბოლოს დავწერე, მას მოჰყვება ადრინდე-ლი მოთხრობა. ძველებიდან ყველაზე ადრინდელია „მარშუტაკაში“, რომელიც მალხაზ ხარბელიამ ხუთი წლის წინ „ცხე-ლი შოკოლადის“ ლიტერატურულ გვერ-დებზე დაბეჭდა.

— „ხმა“ რატომ დაარქვით?

— პროზა არის ჩემი შინაგანი ხმა, ესე იგი, სიმართლის ხმა. სიმართლე ნებისმი-ერ ადამიანში ციციანთელასავით ანათებს. რაც უნდა არ გინდოდეს მისი დანახვა, მაინც იციმციმებს. სიმართლე თავისუ-ფლებას გვანიჭებს. თუ შინაგანად თავისუ-ფლებას არ ვგრძობ — მაგალითად, თუ ჩემში რაღაც ამბობია, მაშინ ვერაფერს ვწერ. ჩემი მოთხრობები არასოდეს ასახ-ავს ბიოგრაფიულ ფაქტებს ან პრობლემას. პირადი განცდებიც იშვიათია. ნივთი აგე-ბულია შვიდ ემოციაზე, ემოცია ქმნის ხმას, ხმა — სიტყვას, მას კი ძალიან დიდი ძალა აქვს. სწორედ ამაზეა ერთ-ერთი ნოველა, რომლის სახელსაც ნივთი ატარებს. სხვა-თა შორის, სათაურის სამ ვარიანტზე ვფიქრობდი. ირაკლი ჯავახიძე და ვაჟა გიგაშვილი სხვადასხვა ვარიანტს მთავა-ზობდნენ. ბოლოს, მე და ლევან ბრეგაძე ერთხმად მივედით გადაწყვეტილებაზე, „ხმა“ დამერქმია. მგონი, ეს ყველაზე ოპ-ტიმალური გადაწყვეტილება იყო. თანაც იმ „ხმაში“ არის ერთი მნიშვნელოვანი დე-ტალი, რომელიც აჩვენებს, რა დამართა ადამიანს 21-ე საუკუნეში.

— შვიდი თავია, შვიდი ფერი. ლალატი ნითელია, სინანული — მწანე, სიყვარუ-ლი ნარინჯისფერი, სიძულვილი — ყვითელი და ასე შემდეგ, სიმართლე კი უფეროა — რატომ?

— სიმართლე ობიექტურობაა, მას თავისი დანიშნულება აქვს, ის არის დოკუ-მენტური ფაქტი, რაც აღარ შეიცვლება, ვერ გადააკეთებ-გადმოაკეთებ. ტყუილს იმდენად არ ვიყენებ, რომ სიმართლე ჩვეუ-ლებრივი რამ არის ჩემთვის, თავისთავა-დი. შესაბამისად, უფრო მაინტერესებს, სხვებს როგორი დამოკიდებულება აქვთ, როგორ ხედავენ მას, რამდენად აფასებენ, რატომ ტყუიან, რა არ აწყობთ სიმართლე-ში, რატომ არ აწყობთ, ან საერთოდ,



სჭირდებათ თუ არა სიმართლე. მოკლედ, სიმართლე სიმართლეა. მშვენიერების, ანუ ეგზოტიკის კატეგორიაში არ გადის, ის არ ფერადდება — უბრალოდ, საჭიროებაა. მორჩა. რა უნდა ვთქვა?!

— თქვენი ტექსტები არ ჰგავს სხვებისას. პერსონაჟებს მდიდარი შინაგანი ცხოვრება აქვთ, ძალიან კარგად იცნობთ საკუთარ თავს და შესაბამისად — ადამიანს. ამიტომაც თქვენი სიუჟეტები ზედპირული არ არის. როგორც ლევან ბრეგვაძემ ნიგნის პრეზენტაციაზე თქვა, ეს ფიქრების თავგადასავალია. ვაჟა გიგაშვილიც, წინასიტყვაობაში, ძალიან საინტერესოდ საუბრობს თქვენი, როგორც ავტორის, ამ უპირატესობაზე.

— ჩემთვის არ არის საინტერესო მხოლოდ ფაქტები. ყველაფერი ხომ გონებიდან მოდის, ჯერ იქ ხდება და შემდეგ — მოქმედებაში. სულიც იქ არის და გულიც. ჩემი გონებისთვის რაც მისაღებია, რა ღირებულებებიც მას აქვს, იგივე აქვს სულსაც და იმ ღირებულებებიდან გამომდინარე უყვარდება ან სძულს გულს. ჩემთვის არ არის საინტერესო მხოლოდ ამბის მოყოლა. ერთადერთი ასეთი სიუჟეტია, თავგადასავლიანი მოთხრობა „ფეხსაცმელი“ მაქვს. საკითხავადაც სხვა ტიპის ლიტერატურას ვირჩევ. დალაგებულ სიუჟეტებიდან, შესავლით, დასაწყისით, განვითარებით, კვანძების შეკვრით, გასსხებით — მხოლოდ დეტექტივის კითხვა შემიძლია. და თუ ფაქტების წერაზე გადავალ, აუცილებლად ფსიქოლოგიურ დეტექტივს დავწერ, ჩემთვის საყვარელ და ძალიან საინტერესო ჟანრს ავირჩევ.

— იქნებ უკვე წეროთ კიდევ. ამ თემას რომც არ შეხებოდით, ისედაც ვაპირებდი მეკითხა, რომანზე მუშაობას ხომ არ აპირებთ-მეთქი.

— ვაპირებ და დავიწყე კიდევ. ეს იქნება ფსიქოლოგიურ-ფანტასტიკური ჟანრის თრილერი. აბსოლუტურად განსხვავებული სტილის რომანი, თუმცა — ჩემი ბურთი, ცოტა გიჟურ სტილში, ისეთში, „იდიოტსა“ და „ტყუილ-მართალში“ რომ იგონობა. ნაწარმოებს ძალიან მკრთალად გასდევს რელიგიური ხაზი. საუბარია იმაზე, როგორ შეიძლება, რაც ბიბლიაში წერია, ორნაირად გაიგო. რელიგიურ მოტივს სწორედ ამისთვის ვიყენებ. სავარაუდოდ, „ნილი“ ერქმევა. დღის შუქზე ჩვენ ყველაფერს ვმალავთ. და ვაჩენთ მაშინ, როცა არაფერი ჩანს, როცა ხილვადობა ნულის დონეზეა. ნაწარმოებშიც ნისლში ვითარდება მოქმედება, მისტიკურ ნისლში. ვყვები, როგორ იქცევიან ადამიანები, როცა მათ საკუთარი თავის გარდა არაფერი ხედავენ. მაგარია, როცა იცი, რომ არ ჩანხარ და საშუალება გეძლევა, ის გააკეთო, რაც გინდა. ასეთ დროს საკუთარი თავისგან სიურპრიზებსაც უნდა ელოდო. ფინალი კი შოკისმომგვრელი მოვიფიქრე. რასაკვირველია, ახლა ამაზე არაფერს ვიტყვი.

რამდენიმე თავი დაწერილი მაქვს. უბრალოდ, ერთი თვეა, ხელი არ მიხლია, თუმცა სულ ვფიქრობ, სიუჟეტის განვითარების დეტალებიც კი ვიცი. გონება, წარმოსახვა ჩემგან დამოუკიდებლად მუშაობს, იმ მარცვლივითაა, მინაში რომ ჩათესავ და ნელ-ნელა იწყებს ზრდას. ცხოვრებაში არ დავმჯდარვარ და არ მიფიქრია, „აი, ახლა ამ პერსონაჟმა რა უნდა ქნას“, ან „ახლა როგორ გავაგრძელო“. ეს არ მჭირდება. დავიწყე და იზრდება მცენარესავით, ტვინი ჩემ მაგივრად აკეთებს საქმეს, ერთადერთი მრჩევა — ფურცელზე უნდა გადმოვიტანო. ჯერ ვერ მოვიცალე. ამისთვის სადმე წასვლა მჭირდება, მოგზაურობა ყოველთვის მეხმარება წერაში. მალე ნეპალში ვაპირებ გამგზავრებას ბესო სეველიძისთან (თუ არაფერი გადამეღობა), იგლისის ბოლოს ჩემს ოცი წლის უნახავ მეგობართან მივდივარ ამსტერდამში. ერთი სული მაქვს, როდის შევხვდებით ერთმანეთს, ნავილებ ჩემს ლეპტოპს და ვიმუშავებ. ზუსტად ვიცი, რომ ამსტერდამში დავამთავრებ რომანს. იქამდე კი „ლიტერატურულ გაზეთში“ დავბეჭდავ თავებს. იმედოვნებ, რედაქტორს მოეწონება და უარს არ მეტყვის. ვიცი, ტექსტი თუ არ მოეწონა, ვინც უნდა იყო, არ გააგაჭაჭანებს გაზეთის ფურცლებზე.

ესაუბრა თამარ ჟურული

დასასრული

— ახლავე დაახვიეთ აქედან, თქვე გნებო, თორემ ტარაკანებით გაგსრისათ! — ვუყვირე გიჟის სიფათით. პირველი, დაჩლუნგებული გამომეტყველებით, ბორძიკით იცვამდა შარვალს, მეორე ვითომ გატყვილი მყოფი, შეტევაზე გადმოვიდა:

— შენ, ეეე... ცოტა სიტყვებს დაუკვირდი, თორემ... ჩემი დედა მოგტყან...

— ჰოდა, მეც მოგტყან! — შევანწყვტინე ყვირილით, ერთი ხელი ყელში ვტაცე, მეორე საყელში და სავარძელს მოვწყვიტე. ჰაერში ატყორცნილს ისევე მჯდომიარის პოზა ჰქონდა შენარჩუნებული.

— აუ, ვიგუდები, ბოზიშვილი ვიყო... — ხროტინებდა.

ისევე სავარძელზე დავანარცხე, მეორესაც ხელი ვტაცე და ორივე ბინიდან გავყარე.

მეორე კარგახანს არ ცხრებოდა, მემუ-

სოსო მეშველიანი

ბუნოს ტარდეს!

ქრებოდა, ვილაც ნაცნობი „მომავლის“ სახელი მიხსენა. იმ მომენტისთვის პაბლო ესკობარიც რომ მოეყვანა, ფეხებზე მეკიდა.

მერე, როცა დავმშვიდდი, დავფიქრდი მაინც — ეს ის ხალხია, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვთ, ყველაფერზე ნაწილენ. სიფრთხილისთვის ერთ ჩემს ნაცნობს დავურეკე, მომხდარი ამბავი მოვუყვი. ისიც ვუთხარი, ვისი სახელიც მიხსენეს. გაეცინა:


— ე, ბიჭო! შენ პატიოსანი კაცი ხარ, ვილაც დამპალი ნარკომანის გულისთვის ხელს ვინ გახლებს?! მიდი, შენს საქმეს მიხედ, თუ იქით მოვხვდი, უჭყელი განხავ!

დავემშვიდობე. თვითონაც „ნამალზე იჯდა“, მაგრამ ასეთ „გაბომბულებს“ ვერ იტანდა, ისედაც კარგი სახელი ჰქონდა, კარგ „მაყუსაც“ მოულობდა.

ამ აუტანელმა გარემომ უფრო მეტად მიბიძგა იქაურობას გავცლოდი. გეზი ბასკეთისკენ ავიღე, ბილბაოში დავსახლდი. არც იქ დამკლებია თავგადასავლები. საყოველთაო კრიზისის შემდეგ კი მართლა ძალიან გაჭირდა ცხოვრება, განსაკუთრებით ემიგრანტებისთვის.

საქართველოში ვიყავი ჩამოსული სამი თვით. გამიჭირდა ფინანსურად, ახლობელს შევეხმარე ბილბაოში, ისიც შემპირდა, ჩამოდი, რამეს ვიზამთო. ჩავედი, მაგრამ ამოდ, ვერაფერი გავანყვეთ — სრული უმუშევრობა იყო მთელ ქვეყანაში. ემპრეზები იხურებოდა, ქუჩები საპროტესტო აქციებს მოეცვა. უკან დასაბრუნებელი ფული კი მქონდა, მაგრამ იმის მოლოდინში, რომ სამუშაო გამომჩნებოდა, მაინც დარჩენა გადავწყვიტე. ალავის პროვინციაში, ვიტორიის ახლოს, ერთ პატარა სოფელში გადავედი საცხოვრებლად, სადაც შედარებით იაფი იყო ცხოვრება: ორას ევროდ ოთახი ვიქირავე, ადგილობრივებისგან ნატურალურ პროდუქტს ვყიდულობდი იაფად... ულამაზესი სოფელი იყო ალევრია (ესპანურად „სიხარულს“ ნიშნავს), ჭარხლის, ხორბლისა და მზესუმიზის თვალუწვდენელი მინდვრებით გარშემორტყმული. ამ მინდვრებს გაჰყურებდა ჩემი ოთახის ფანჯარა, ეს იყო ჩემი სარკმელი, სამოთხისკენ გაჭრილი, საიდანაც ქართლ დატალღული სიმინდის ყანა ჩანდა, ხასხასა სიმწვანე. ის სურნელოვანი, გრილი ქარი კი, რომელიც ჩემი სარკმიდან პირდაპირ სულში მეღვრებოდა, შოპენის მინორით სამუდამოდ დარჩა ჩემში, სამუდამოდ დაილექა. მომენატრება ხოლმე ჭარხლისა და ხორბლის მინდვრების გამყოფზე ვეება, მომორიაც ალევრის ხეივანი, გზა, რომელიც უზარმაზარ, ძველ, გუმბათებხასვებულ, წეროების ბუდეებით დახუნძლულ კათედრალთან იწყებოდა და ერთ მხარეს ველური ტყემლების, მეორე მხარეს კი, ალაგ მზესუმიზის და ალაგ სიმინდების გავლით, ხელოვნურ ტბასთან მთავრდებოდა. სახლის პატრონმა ოთახის გადასახადი გადამივადა უფულობის გამო. საქმელს

ნაცნობი ქალი მიზიდავდა საკუთარ ბოსტანიდან. ამ დროს, სრულიად შემთხვევით, ხელში მომხვდა მეგობრის ნაჩუქარი ავტოკალამი, რომელიც ზურგჩანთის შიდა ჯიბეში, ძველ „ბლოკნოტებთან“ ერთად იდო. იმ წუთას არც გამხსენებია, მაგრამ შემდეგ ინტერნეტის საძიებელში ჩავეწერე მისი დასახელება — *articulos de eskrita* — და გაოგნებული დავრჩი. ავტოკალამზე მითითებული ფასი 1200 ევრო იყო. მძიმე სიტუაციაში მყოფს არაფერზე მიფიქრია, მაშინვე განვათავსე გასაყიდ საგნებს შორის. ორ-სამ დღეში არა, მაგრამ მალე შემეხმინა ვილაც კაცი. მითხრა, ვიტორიაში ვცხოვრობ, ხილ-ბოსტნეულის მალაზიები მაქვს, ვაჟიშვილისთვის მინდა, დაბადების დღეზე რომ ვაჩუქო. შევეთანხმდით, მე უკვე იმის ფულიც არ მქონდა, ქალაქში ნავსულიყავი. თვითონ მომაკითხა, 800 ევროდ მივეცი — ეს იმ მომენტისთვის წარმოუდგენლად დიდი ფული იყო ჩემთვის. გულზე მომეშვა.



მერე კი, როცა სტაბილური სამუშაო და სოლიდური ხელფასი გამიჩნდა, ჩემი საქციელის შემრცხვა, რომ მეგობრის მიერ ნაჩუქარი ნივთი სამუდამოდ დავკარგე. მაპატიე, ნემო!

ტყუილ, ნადირიშვილი

რამდენ გარენარ და არამზადა კაცს ვიცნობდი ცხოვრების მანძილზე, მარტო თვითკმაყოფაზე რომ იყვნენ, რაც უნდოდათ, იმას უსრულებდნენ საკუთარ თავს, იმის იქით კი სულ ფეხებზე ეკიდათ ყველაფერი — მათ შორის ოჯახიც (სამშობლოზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია), მე კი გაცემული ვიყავი მათი ცოლების ერთგულებით, პატიოსნებით.

ერთი მეგობარი მყავდა, უპატიოსნესი, ბევრისთვის სამაგალითო, ოჯახს გადაყოლილი, ყველაფერი მათთვის უნდოდა, თვითონ ტანსაცმელსაც არ იცვლიდა. ოჯახივით უყვარდა სამშობლოც და ერთხელაც აღმოაჩინა, რომ ცოლი ლაპარაკობს... უცებ გაქრა ეს ყველაფერი მასში, ნადირად იქცა, დიდი ცოდვების ჩადენას გაერიდა, ტყეს მიაშურა, დადის იქ ახლა და მგელივით ყმუის.

მეგობრის მონათხრობი, რომელიც ძალიან ჰგავს ჩემსას

ზოგიერთი მოგონება მომწამლელი აირით გაბერილ ბუშტს ჰგავს, სათუთად შეხებას რომ გაიძულეხს. და ცდილობ, გაბასრული ენა მოარიდო. მახსოვს, როგორი თავზარდამცემი იყო, სრულიად უცხო, უზარმაზარი ქალაქის წინაშე რომ აღმოვჩნდი. მაშინ იქ ერთადერთი მართლმადიდებლური ეკლესია იდგა — რუმინელების, რომლებიც ნამდვილად არ გამოირჩევიან სამაგალითო ყოფაქცევით. იქ უსახლკაროთათვის დღეში ერთხელ მცირედი ულუფა იყო განკუთვნილი. ეკლესია ძირითადად მალაზიებიდან ჩამოწერილი პროდუქტით მარაგდებოდა. მე და ჩემი მეგობარი დღის სხვადასხვა საათებში ვენერებოდით ხოლმე რიგში, რომ შემდეგ ერთმანეთისთვის გაგვენაწილებინა და ასე მაინც გვგონებოდა, რომ დღეში ორჯერ ვჭამდით.

ეს თავიდან იყო. შემდეგ, ქალაქში გაზრდილ კაცთან დამეგობრებულს, საჭმლის ნაკლებობა ნამდვილად არ მიგრძენია. ის ჩემზე ბევრად თავალებული და მოხერხებული იყო. ჩვენი აღნაგობით ურალის ან კურსკის მხარეში იოლად გავგეგონ-

და თავი, აქ კი, ადვილი სულაც არ იყო რამე გამოგვძალა მსოფლიოში სიძუნწით განთქმული კატალონიელი ქალებისთვის. მეორეა კიდევ — უცხო ქვეყანაში ენის უცოდინრობას სჯობს, ენა ამოგლეჯილი გქონდეს, იქნებ ისე მაინც შეეცოდო ვინმეს, თუმცა არა მგონია ცალთვალა ძალზე ან დიაბეტიან კატაზე მეტად. ჩვენთვის კარგად ნაცნობ ქალებს ჩვენთვის აღარ ეცალათ, აქაური ბობოლა კაცების შემთხვევით იყვნენ გადასული — სილამაზით გამორჩეული სლავი ქალებითვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. მათთვის ასაკს მნიშვნელობა არ ჰქონდა, არც იმას აქცევდნენ დიდ ყურადღებას, ძლივს შეკონინებულ ოჯახებს რომ ანგრევდნენ. მხოლოდ მაშინ თუ მოგვისაკლისებდნენ, უკვე ფუფუნებით მადლარნი, მარტონი რომ რჩებოდნენ ლოგინში, დამჭყნარი სხეულის გვერდით.

მიკვირდა კიდევ, როცა ისინი სრულიადაც არ გრძნობდნენ თავს უხერხულად, ქუჩაში რომ დაატარებდნენ თავიანთ ქმრებს კარგად დავარცხნილი, დაკოდილი ძალღებვიით. მათთან შედარებით შეგვეძლო, მოშინაურებულ ლომებად წარმოგვედგინა თავი. ერთი შემთხვევა მახსენდება, რომელსაც შეეძლო, მთელი ჩემი არსება შეეცვალა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ასე არ მოხდა. იქაურ ქალთან პაემანზე მისულს, ქალმა საკუთარი ქმარი გამაცნო. კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე, პირი გამიშრა, ლამის საკუთარი ხორცის სუნი ვიგრძენი უკიდურესობამდე გალიზიანებულმა ყველაფრის მიმართ. მათ იცოდნენ, რომ თავშესაფარი არ მქონდა, ამიტომ მათთან ცხოვრების ფასად, ქმარი საკუთარ ცოლთან სექსზე გამირიგდა — სამს უნდა გაგვეყო სარეცელი. მთელი სხეული დამიბუჟდა, გაქცევის თავიც არ მქონდა.

მოგვიანებით მეგობარი დანვრილებით მომიყვა მსგავს ამბავს, ის მხოლოდ ინტერესის გულისთვის დათანხმებულა. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, თვითონ არსებად ქცეულს, სხვა შემცოდებია — ეს მაშინ მოხდა, როცა მინდორში აფრიკელ უსახლკაროებს ნავაწყდი. შიშველი, მინისფერი ხელებითხრიდნენ კარტოფილს, დამშეულ-ჩამოძონძილნი, ეტყობა ერთი ოჯახი იყო. სიკვდილამდე რა დამავინყებს იმ სურათს, ჩვილბავშვიანი, ყავისფერკანიანი ახალგაზრდა ქალი როგორ კებრდა უმად რძიან ტაროებს. მკვრელზე ჩვენით მიკრული ახალშობილი კი, ამომავალი მზის სხივი რომ უჭუტავდა თვალებს, გამწარებით წოვდა ძუძუს.

გაღიხარა

უცებ აღმოაჩენ და გგონია, რომ ბედისწერა დაგცინის. აბა, როგორ უნდა გაიგო, ხან წარმართულ რიტუალს ესწრები, ხან ტრანსების ზეიმს, ხან ხარაჩოზე დგახარ, ხან სცენაზე, ხან ღია ცისქვეშ ათევ ღამეს, ხან ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, ხან კამერის კედლებს ათვალეოებ, ხანაც — საღვადორ დაღის მუზეუმს... ეს ჩემმა ერთმა ჩანაწერმა გამახსენა: „შენ სასტუმროში ათევ ღამეს, მე ღია ცისქვეშ. რა თავი მოგაქვს ხუთი ვარსკვლავით“.

არაჰაპას სასაფლაო

არავაკას სასაფლაოზე, 1936 წელს, ფრანკოს ბრძანებით დახვრიტეს დიდი ესპანელი მწერალი და მოაზროვნე რამირო დე მასეტუ, რომელმაც სიკვდილის წინ ასე მიმართა მკვლელებს: „თქვენ არ იცით, რისთვის მკლავთ, მაგრამ მე ვიცი, რისთვის ვკვდები: იმისთვის, რომ თქვენი შვილები თქვენზე უკეთესები იყვნენ!“ ამ ფაქტზე ლექსი დაწერე:

მე ვის მივმართო, რომ ვიცოდე — როგორ მივმართო?
ან რომც მივმართო, ხომ ვიცი, რომ არავინ მესვრის.
კუჭს მინავს შიში,
დროა წელში რომ გავიმართო, საფლავის კედარს შევანთხო ბოლმა და გესლო.
და არა სისხლი, როგორც გულში გასულმა ტყვიამ, ხეო ბებერო!
კანქვეშ რა დიდ ტკივილს ინახავ. სამარეს ეძებ? გაიარე!
ამ უკვე ტყინა სასაფლაოზე, და დაფიქრდი, ამ დროს ვინა ხარ.

დასასრული

უცნაურმა გრძობებმა, რომლებიც არასოდეს გამოიძვინდნენ, ასეთ რამეს ალბათ ცხოვრებაში სულ ერთხელ თუ იგრძობს ადამიანი. დიმიტრი? მართლა დიმიტრია? ამდენი წლის შემდეგ? ცოცხალი?

მე და დიმიტრი ერთად გავიზარდეთ, სულ ერთად ვიყავით, გვიყვარდა ერთმანეთი. ერთ სკოლაში დავდიოდით და დავდიოდით ყოველთვის ერთად. ჯერ კიდევ სულ პატარებს ბავშვები დაგვცინოდნენ ხოლმე, მაგრამ დიმიტრის ეს სულაც არ ადარდებდა. ჩემთვისაც, მისი დანახვისთანავე, ყველაფერი სულერთი ხდებოდა. ჩვენ ჩვენი სამყარო გვექონდა და იქ ჩვენს გარდა არავინ იყო.

როდესაც წამოვიზარდეთ, დიმიტრი ძალიან შეიცვალა. ჩემს მიმართ არ შეცვლილა, მაგრამ მაინც სხვანაირი გახდა. ერთმა სულელმა და ცელქმა ბიჭუნამ, რომელიც ყოველთვის ჯამბაზობდა და მხიარულობდა, პირქუშ და შუუპოვარ კაცად დაიწყო ჩამოყალიბება. უამრავი მეგობარი გაიჩინა. ასეთი სწრაფი ცვლილება მეუცნაურებოდა და ვერ გამეგო, რა ხდებოდა. შემდეგ სხეულზე ნაიარევები გაუჩნდა. ერთხელ ახალ ნაჩხურებს, მას და მის მეგობარს, ქუჩაში გადავეყარე. ძალიან მესიამოვნა, როდესაც მიხვდა, რას ვგრძობდი. მითხრა, რომ ყველაფერს მომიყვებოდა მოგვიანებით. ასეც გააკეთა. ჩვენი საყვარელი ადგილი იყო აივანი, ჩემი კორპუსის სახურავზე. იქიდან ქალაქის დასასრული და მთები მოჩანს. საათობით ვმსხდარვართ იქ, ძველ სავარძელში მოკალათებულნი და გვიყურებია მზის ჩასვლისთვის. მეორე დღესაც იქ ავედით და მომიყვა ყველაფერი თავისი ოჯახის შესახებ. ისიც მითხრა, რომ მიცავდნენ. სულელი ბიჭი, თავად კი არა, კარლო გვადევნებდა თვალ-ყურს. ერთი პერიოდი კი მიკვირდა, ბიჭები ყურადღებას რომ არ მაქცევდნენ, მაგრამ ვფიქრობდი, ალბათ იცინა დიმიტრის შესახებ და მისი უპინათ-მეთქი. თუმცა ამას მაინცდამაინც ვერ ვიჯერებდი, რადგან საერთოდ ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა, ვინმეს დიმიტრის რიდი მაინც ჰქონოდა. ეს იყო ძალიან საყვარელი, ლაღი, სიცოცხლით სავსე და ხალისიანი ბიჭი, რომელზეც ჭკუა მეკეტებოდა. ალბათ სწორედ ეს მიზნელებდა გონებას.

ერთხელ დიმიტრის ჩემი მშობლების გაცნობა შევთავაზე, მაგრამ სასტიკი უარი მივიღე. მითხრა, თუ მე შენს მშობლებს გავიცნობ, მაშინ შენც უნდა გაიცნო ჩემები და ეს არ მოხდება.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და უკვე ვიცოდი, რომ დიმიტრის ფათერაკიან ცხოვრებას შეეძლო, ჩემთვისაც დიდი უსიამოვნებები შეექმნა, მაგრამ ეს დრო უტკბესი იყო ჩემს ცხოვრებაში და არავის და არაფრის გამო ჩვენს ურთიერთობაზე უარის თქმას არ ვაპირებდი.

წარკოტიკების გაყიდვა რომ დაიწყეს, მაშინვე მივხვდი. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ვიცოდი, რომ ეგ და მისი მეგობარი, ჯოელი, კარგს არაფერს აკეთებდნენ. ჩემთვის მაინც სულერთი იყო. რატომღაც მჯეროდა, რომ დიდხანს არ გაგრძელდებოდა და ჩაივლიდა. დიმიტრის უნდოდა, დაემტკიცებინა, რომ თვითონ შეეძლო რაღაც საქმის წამოწყება და თავის შენახვა, თავისი ოჯახისა და კარლოს დახმარების გარეშე. ეს თავად არ უთქვამს, მაგრამ ვხვდებოდი. ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვეცნობდა, ამ თემაზე არც კი გვილაპარაკებდა.

შემდეგ ყველაფერი ცუდად წავიდა. მე ლაპარაკის უნარი დავკარგე, დიმიტრის საქმეები ჩავშალა, ჯოელმა მიატოვა. ჩემმა მშობლებმა კი იცოდნენ ჩვენი ურთიერთობის შესახებ და თავიდან არ ნერვიულობდნენ, ალბათ იმიტომ, რომ მდიდარი და შეძლებული ოჯახის შვილი იყო. მაგრამ როცა გაიგეს, დიმიტრი რა საქმეებში იყო გახვეული, დაფრთხნენ. დამელაპარაკნენ და ამისხსნეს, რომ ჩვენი ურთიერთობა ჩემი ტკივილით დამთავრდებოდა, თუმცა მე დიმიტრის მიტოვებას არ ვაპირებდი.

მჯეროდა, რომ თვითონ არასოდეს მომექცეოდა ასე.

მე და დიმიტრის გაუჩერებლად არასოდეს გვილაპარაკია, მაგრამ როდესაც ლაპარაკის უნარი დავკარგე, გადაწყვიტა, რომ თავადაც არასოდეს ამოიღებდა ხმას თუ უკიდურესად საჭირო არ იქნებოდა. და თუ რამეს იტყოდა, ისიც ჩემი თხოვნით, რომ მისი ხმა გამეგო.

ჩვენთვის ყველაფერი მნიშვნელოვანი ორივემ დავკარგეთ, მაგრამ ერთმანეთი დაგვრჩა და ყველაფერი ისევე სულერთი იყო. დავდიოდით ფურცლებით, ბლოკნოტებით, კალმებით, ფანქრებით, ფლომასტრებით და ასე ვუცვლიდით ერთმანეთს სულელურ და არანაორმალურ აზრებს. ქუჩაში, ტრანსპორტში გიჟებივით დავრბოდით და ერთმანეთს წერას არ ვაცვლიდით, ახალი სამყარო აღმოვაჩინეთ, რომელიც ძველს ბევრად სჯობდა. მგონი, აღარც მინდოდა, ავლაპარაკებულყავი, რაში მჭირდებოდა? არაფერში! ჩვენ ისევე ვისხედით ხოლმე აივანზე, ისევე ვუყურებდით მზის ჩასვლას... მზე უკვე არაფერ შუაში იყო, ჩვენთვის ის სავარძელი იყო ყველაზე რბილი და ის აივანი იყო ყველაზე მაღალი.

მირიან რჩეულიშვილი

ასობით მილი და შორს



დრო გავიდა. მე კი, მაგრამ დიმიტრის უკვე აღარაფერი შერჩენოდა არც ბავშვური და არც მოზარდული. მამამისი რომ გარდაიცვალა, აშკარა გახდა ცვლილებები მის ოჯახში. კარლო რომ ტელეფონზე ურეკავდა, სახე აელუნებოდა ხოლმე. თვალეებს დახუჭავდა, გვერდით გავიდოდა და თავჩახრილი ელაპარაკებოდა ისე, რომ მე არ გამეგო. ისევე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ სირთულესაც ერთად გადავლახავდით, ერთად თუ არა, დიმიტრი თავად მოახერხებდა ამ, ჩემთვის უცნობი, წინააღმდეგობების გადალახვას. ის ძლიერი პიროვნება იყო, ხასიათით, სულით. უსაზღვრო ნებისყოფა გააჩნდა. ამ თვისებებს ჩემთან თუ ავლენდა, სხვაგანაც უნდა გამოეყვინა. მაგრამ მე ვცდებოდი, და თურმე წარმოდგენა არ მქონია, რა შეეძლო ამ ბიჭს და რა ხდებოდა მის გულსა და გონებაში.

წავიდა. როდის, როგორ, რატომ... არ ვიცოდი, რა მექნა. ერთი კვირის შემდეგ კარლო ჩემს სახლთან მოვიდა. მითხრა, მანქანაში ჩავმჯდარიყავი. მე მაშინვე ფურცელი გავეუნოდე წარწერით: „დიმიტრი?“ კარლომ თხოვნა გამიმეორა, მეც ჩავვჯექი მანქანაში. ვერ ვითმენდი. ხმასა და სახეზე შევატყე კარლოს, რომ რაღაც ცუდი მოხდა. მეორე ფურცელი მივაჩქევე: „ცოცხალია?“ კარლომ ფურცელი მუჭში მოკუჭა, სათვალეები მოიხსნა, თვალეებამღვრეულმა გადმოხედა და მითხრა: „არ ვიცი. წავიდა.“

ეს იყო უმძიმესი დღე ჩემს ცხოვრებაში. არ ვიცოდი, რა მეთქვა, რა მეფიქრა, რა მერწმუნა. დიმიტრი ადგა, წავიდა — ისე, რომ არ მითხრა. არც გამომემწვიდობა. მისთვის მე არაფერს ვნიშნავდი? ჩვენ ხომ ერთად გავიზარდეთ, ამდენმა დრომ გაიარა, განა, ეს ყველაფერი ტყუილი იყო? ერთად გავიზარდეთ... ოღონდ ცალცალკე? ჩვენ ხომ ასე ვზრუნავდით ერთმანეთზე, როგორ შეძლო ამ ყველაფრის წყალში გადაყრა? ჩემი ბრალია? მე შევიცვალე? თვითონ შევიცვალა? ალბათ მისი ტკივილი ჩვენს სიყვარულზე ძლიერი აღმოჩნდა. ჩვენ ხომ ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთზე, ყოველი დეტალი... როგორ შეძლო? ჩემი სევდისა და დარდის გრძობას გაოცება აუარესებდა.

გავიდა რამდენიმე თვე, არც დიმიტრისგან მსმენია რამე და არც კარლოსგან. თითქოს დავრწმუნდი, რომ ჩვენი სიყვარულის ისტორია სიყალბე იყო და მეტი არაფერი. მაგრამ დრო გადიოდა და წარსულის მოგონებები უფრო და უფრო მკვეთრი ხდებოდა. არა, ჩვენი სიყვარული არ იყო ყალბი და მე მაინც ვერ გამეგო, რა მოხდა. ანდა... იქნებ, უბრალოდ, აღარ უნდოდა დამუნჯებულ გოგოსთან ყოფნა?

და თვალეებს. დავეუნერე ფურცელზე: „მე ველარ ვიხსენებდი შენს სახეს და თვალეებს.“ დახედა ნანერს, ფურცელი დაკუჭა. თავისი გამჭოლი მზერა მომაპყრო, ხელი ლოყასთან ნელა მომიტანა, ჩემი სახე მის თითებში ჩაიკარგა, მომეფერა და რაღაც მითხრა თავისი ჩამწყდარი ხმით. ხმა, რომელმაც გამახსენა ბავშვობა, ჩვენი სიყვარული, ის აივანი, სავარძელი, ჩვენი თამაშები. ხმა, რომელმაც გამახსენა თითქმის ყველაფერი, რაც კი ოდესმე უთქვამს ჩემთვის. ჩანწყვეტილი, მაგრამ ისევე რბილი და გულიანი. მერე დააყოლა:

— მახსოვხარ, ყოველთვის მახსოვდი და არც არასდროს დამავიწყებდი. არ გასულა დღე, არ გასულა საათი, რომ შენზე არ მეფიქროს. მე გავიხსენე ჩვენი ერთად გატარებული ყოველი დღე და ამ ბლოკნოტში ჩავწერე ყველა დეტალი.

მხოლოდ ახლა შევნიშნე მაგიდაზე უზარმაზარი ბლოკნოტი. არა, შეუძლებელია, მე ასე არ შემიძლია. დიმიტრი წავიდა თავისი თავის გამო. ჩემზე რომ ეფიქრა, ასე არ მოიქცეოდა. კაცი, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისთვის იბრძვის, კაცი არაა. მისი ხელი მოვიცილე, ბლოკნოტი ავიღე, გადავშალე ბოლო გვერდზე და დავწერე: „არა, დიმიტრი, შენ აღარ ხარ ის ადამიანი, ვისაც მე ვიცნობდი. საერთოდ არ ვიცი, ვინ ხარ ახლა. შენ ნახვედი წლების წინ და აღარ დაბრუნებულხარ, მე არ მახსოვს, როგორი იყავი. გიყურებ და ვერ გცნობ. კაცი, რომელიც ჩემს წინ ზის, სრულიად უცხოა და მე მასთან საერთო არაფერი მაქვს.“

დიმიტრი ადგა, სახეზე თითები მომიტათუნა, ბლოკნოტი აიღო და სახლიდან გავიდა.

ბორისი, მშენებლობა

— ერთი ამათ დამიხედე! რას უზიხართ, ბიჭებო?! აეთრიეთ ფეხზე! სამუშაოდ მოხვედით თუ საყურებლად! ჯოელ, სადაა შენი ჩაფხუტი? ხო, თავზე რომ უნდა გეხელოს! რას იჩეჩავ მხრებს?! ნახე, შეხედე! მუნჯმა თავისი მისცა... მერე შენ რა ჩემს ფეხებს დაიხურავ?! ესეც მხრებს იჩეჩავს! გადამიყვანთ ჭკუიდან, თქვენ ვინ ყოფილხართ! ეს რა ხალხი მომითრია მონტემ, გაუხმეს თავი, ან სად გიპოვათ!? თქვენ რა უნდა ააშენოთ, თქვენი შემყურე აშენებული დაინგრევა... ნახე, დასხდნენ ისე! ეს რა ხალხი ხართ, საიდან მოხვედით?! დიმიტრი, მე ვიყო არაკაცი, შენ თუ აქ არ გაგათენებინო ღამე! რა გაცინებს, შე საცოდავო?! ხალხი ოცნებობს ამ სამუშაოზე. ჩემმა შვილმა, ჯერ ათი წლისაა და, გუშინ ძალღს სახლი აუშენა ეზოში! ძალღს სახლი კი არა, ორი ქვა ვერ დაგვიდათ ერთმანეთზე! ვაი თქვენს პატრონს! ჰო, ჰო ადექით! გაინძერით, თქვე დაღუნებულებო! ჯოელ, რომ გეზრდებდა ეგ ღიბი ჯეკპოტივით, მიდი, შენც ანე ტრაკი! ჰო, ეგ ურიკა აგურებით, იქით მიუტანეთ მუშებს... ასე არ ანო, დაგეყრება! უკნიდან ნუ წევ. ნახე, დაეყარა... მონტი, ჩემი მტერი ჩავარდეს შენს ვალში! ვინ არიან, ეს რა ხალხია. თუ არაფერს აკეთებ, სხვის გაკეთებულს მაინც ნუ აფუჭებ! ვადით! მოცილდით აქედან! დღეს თავისუფლები ხართ! აღარ დამენახოთ, თორემ ცოცხლად დავმარხავთ აქ! ეგ ჩაფხუტიც არ დამიპარგოთ, სირცხვილია, თქვენ რომ გახურავთ თავზე! დენის, გაატარე ეგ ორი იმბეცილი! გაატარე-მეთქი, თორემ გადაგავლე ეს ცემენტი თავზე! ვახ, რა ხალხთან მიწევს მუშაობა! ეს ვინ ყოფილან!

— ბოს! ეგენი საშობი ხალხია, ამბობენ, ჯოელმა დონ ლუკასი მოკლაო.

— ჯოელმა? ეგ თუ ლუკასის მკვლეელია, მაშინ მე კარლოს დაკარგული ძმა ვყოფილვარ! რას უყურებთ ერთმანეთს გაოცებულები, თქვენ რაღაცისთვის ყური მოგიკრავთ და გგონიათ, მე დავყრუვდი? ძალიან გაინტერესებთ, ვინ არიან ესენი? უსაქმურები და მეტი არაფერი! აქ დიდხანს არ გაჩერდებიან, წავლენ, თანაც ძალიან მალე, და ძალიან შორს. მორჩა მუსაიფო! საქმეს მიხედეთ, საქმეს!..

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com